www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 21 ივლისი, 2004 წელი. №171 (720)

ფასი 50 თეთრი

### პოლიტიკა

## რუსულ-ოსური ხრიკების საპასუხოდ



"ყველანაირ ზომებს მივიღებთ, რათა რუსეთიდან კონფლიქტის ზონაში დამატებით არ შემოვიდეს მძიმე ტექნიკა," - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ.

A2

### ეკონომიკა

## სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო "შავი სიის" გამოქვეყნებას აპირებს

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ახალი ხელმძღვანელი გიორგი მელაძე აპირებს, პროკურატურას გადასცეს იმ საწარმოთა და სახელმწიფო მოხელეთა სია, რომლებიც მის "შავ სიაში" მოხვდება.

A4

### უცხოეთი

## პუტინი ჰამბურგის პროფესურამ "ჩაჭრა"



პუტინისთვის ჰამბურგის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ხარისხის მინიჭების გადაწყვეტილებას ამავე უნივერსიტეტის 35 პროფესორი აპროტესტებს.

A5

### სამართალი

## თბილისის პოლიციის ახალი ძველი სახეები



ერთი და იგივე მაღალჩინოსანი პოლიციელები, ბოლო თვეების განმავლობაში, გამუდმებით უცვლიან ერთმანეთს თანამდებობებს.

A7

### ამინდი

| | 21/7 | 22/7 |
|---|---|---|
| თბილისი | 29 | 29 |
| ქუთაისი | 31 | 32 |
| ბათუმი | 29 | 29 |
| სოხუმი | 29 | 27 |
| ფოთი | 29 | 29 |
| თელავი | 28 | 28 |
| ზუგდიდი | 31 | 31 |
| გორი | 27 | 26 |
| ახმეტა | 28 | 28 |
| ჭიათურა | 30 | 30 |
| გაგრა | 28 | 25 |
| სამტრედია | 31 | 31 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8950 |
| ევრო | 2.3583 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5281 |
| რუბლი | 0.0652 |

# მძიმე მემკვიდრეობა

## საქართველოს საგარეო ვალი



*ერთხელ კიდევ ეცდება საქართველოს ფინანსთა მინისტრი საგარეო ვალების გადავადებას, იქნებ ბოლო იყოს ამგვარი მცდელობა.*

იური ლობოდინის ფოტო

თამარ ხორბალაძე

*დღეს ცნობილი გახდება "პარიზის კლუბის" ვერდიქტი საქართველოს "ვადადამდგარი" საგარეო ვალების რესტრუქტურიზებასთან დაკავშირებით. ამჟამად კლუბში საქართველოსთვის 200 მილიონის გადავადების ბედი წყდება. რევოლუციაგამოვლილ საქართველოში ეჭვი ალარავის ეპარება, რომ სსფ-სთან აღდგენილი ურთიერთობისა და ახალი ხელისუფლებისადმი გაზრდილი საერთაშორისო ნდობის პირობებში, ნოღაიდელს პარიზის კლუბში წარმატების იმედი უნდა ჰქონდეს. თუმცა, გუშინ ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, ზუსტად რა პირობებით მოხდებოდა საქართველოს ვალების რესტრუქტურიზება. სამაგიეროდ, უკვე ცნობილია პარიზის კლუბში "წარმატებების" ძველი და ახალი საიდუმლო, რაც ყოველთვის რუსეთისადმი გარკვეულ დათმობებს*

გაგრძელება A3 გვერდზე

## გამოიკვეთა რუსული სამხედრო დაზვერვის კვალი

### ცხინვალის რეგიონში მოსკოვი ახალ პროვოკაციებს ამზადებს

გიორგი ასანიშვილი

*მიუხედავად იმისა, რომ ქართული სოფლების მიმართულებით სროლები შეწყდა, მშვიდობა საკმაოდ მყიფეა და დაძაბულობა რეგიონში მაინც იგრძნობა. ცხინვალის რეგიონში რუსული სამხედრო დაზვერვისა და ახალი პროვოკაციების კვალიც გამოიკვეთა.*

კონფლიქტის ზონაში პრეზიდენტ სააკაშვილის ამასწინანდელი სტუმრობა ოსური მხარისთვის, როგორც ჩანს, შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. ცხინვალში ღიად გამოხატავენ უკმაყოფილებას იმასთან დაკავშირებით, რომ რეგიონში თავისი ჩასვლის თაობაზე სააკაშვილმა სამშვიდობო ძალები საქმის კურსში არ ჩააყენა. **"საქართველოს პრეზიდენტმა, რომელიც კონფლიქტის ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს, თავისი სტუმრობის შესახებ სამშვიდობო ძალების სარდალს ტელეფონითაც კი არ აცნობა,"** - პროტესტს გამოთქვამს ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი ბორის ჩოჩიევი.

გაგრძელება A2 გვერდზე

## აჭარის პარლამენტი ახმიანდა

ნინო გომართელი

აჭარის ახლადარჩეული უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა ყველა დადგენილი წესის დაცვით ჩატარდა, თანაც, ასლან აბაშიძის პერიოდის შეკრებების მსგავსად - ბათუმის თეატრის დარბაზში.

სხდომა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გახსნა და თავის 45-წუთიან გამოსვლაში ქვეყანაში მიმდინარე ყველა მოვლენა მიმოიხილა, ისაუბრა აჭარის პრობლემებსა თუ მომავალზე და, ქართულ-ოსური კონფლიქტის ხსენებისას, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებელია ყველაფრის მშვიდობიანი გზით მოგვარება.

საქართველოს პირველმა პირმა აჭარის უმაღლეს საბჭოს ავტონომიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ლევან ვარშალომიძის კანდიდატურა წარუდგინა.

**"ვარშალომიძემ უკვე დაამტკიცა, რომ ის წესიერი ადამიანია და თუ ის დეპუტატებსაც დაეკითხება, წარმატებული თავმჯდომარე იქნება,"** - ასე დაულოცა გაზა ვარშალომიძეს პრეზიდენტმა.

გაგრძელება A2 გვერდზე

ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" ჩანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ევროისტორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განუმარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს ოფიციალურ დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმომწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მოწოდების სტაბილურობა.

24 საათი

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10.
საბანკო რეკვიზიტები: "თბილისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 28467440.

A2 ამბები | A3 მთავარი თემა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 პროექტი | A7 სამართალი | A8 ექსპერტი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 "ხალხის პირისპირ" | B6 ევროისტორია | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# აჭარის პარლამენტი ახმიანდა



აჭარის ახალი დროშა.

პირველი გვერდიდან

უმაღლესმა საბჭომ გაიზიარა პრეზიდენტის გადაწყვეტილება და მთავრობის თავმჯდომარედ ლევან ვარშალომიძე 28 ხმით დაამტკიცა. კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია "რესპუბლიკელების" ორ წევრს.

საგულისხმოა, რომ აჭარის უმაღლესი საბჭოს სხდომას სწორედ სააკაშვილის გუნდის ყოფილი წევრი, დეპუტატი კობა დავითაშვილი ესწრებოდა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ, ავტონომიის საკითხზე პლებისციტის ჩატარებისა და ხელისუფლების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის გადაცემის მოთხოვნით მოსახლეობის ხელმოწერებს აგროვებდა.

სააკაშვილი ასევე შეეხო რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობას და აღნიშნა, რომ შემოსავლები რეგიონშივე უნდა დარჩეს, რათა მოსახლეობას მუშაობის სტიმული არ დაეკარგოს, დღევანდელი ხელისუფლების მთავარი ამოცანა კი უმთავრესი სოციალური პრობლემების ეფექტურად გადაწყვეტა იქნება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე, 27 ხმით, სახელისუფლებო პარტია "სააკაშვილი - გამარჯვებული აჭარას" პირველი ნომერი, პროფესორი მიხეილ მახარაძე იქნა არჩეული, თუმცა ამას წინ უსწრებდა ის ფაქტი, რომ თავმჯდომარეობის მეორე კანდიდატმა, კობა ხაბაზმა საკუთარი კანდიდატურა მოხსნა.

მართალია, ოპოზიციური "რესპუბლიკური პარტია" სწორედ მახარაძის კანდიდატურას უჭერდა მხარს, მაგრამ მათში გაღიზიანება ხაბაზის ქმედებამ გამოიწვია. უზენაესი საბჭოს "რესპუბლიკელმა" დეპუტატმა მურმან დუმბაძემ მის ქმედებას თეატრალური სანახაობაც კი უწოდა. უკმაყოფილებას გამოთქვამდა ასევე თბილისიდან ოპოზიციონერთა დასახმარებლად ჩასული დეპუტატი კობა დავითაშვილი.

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კი ნეიტრალური პოზიცია დაიკავა და ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისთვის ერთნაირად მისაღები იყო როგორც კობა ხაბაზის, ისე მიხეილ მახარაძის კანდიდატურა. თუმცა, ხაბაზი, მისივე გადაწყვეტილებით, მაინც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს აჭარის აღმასრულებელ ხელისუფლებაში.

მიხეილ მახარაძის აღნიშნულ თანამდებობაზე დამტკიცებით ძალზე კმაყოფილი აღმოჩნდა "რესპუბლიკური პარტიის" საპარლამენტო ლიდერი დავით ბერძენიშვილი: **"მიხეილ მახარაძე ჩვენი კანდიდატია, პრეზიდენტმა სააკაშვილმა გაითვალისწინა, რომ საზოგადოებასთან კონფლიქტს ურთიერთობის შერბილება სჯობს. ვინც უკეთესია "ნაციონალურ მოძრაობაში, თანამდებობასაც ის იკავებს - ასეთია ხელისუფლების ხედვა, რომელმაც ძალიან დააშავა არჩევნების დროს და ახლა, როგორც იკვეთება, ამის გამოსწორებას ცდილობს."** მას ჯერჯერობით უჭირს გადაჭრით იმის თქმა, მოახერხებენ თუ არა "რესპუბლიკელები" აჭარის უმაღლეს საბჭოში ფრაქციის ჩამოყალიბებას, თუმცა აცხადებს, რომ ამ ეტაპზე ამას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს.

**"არსებითი მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ როდის ჩამოვაყალიბებთ ფრაქციას, რადგან ამჟამად სხდომა სწორედ ჩვენს ორ დეპუტატს მიჰყავს,"** - აღნიშნავს ხელისუფლებაზე არჩევნების გამო გამწყრალი ბერძენიშვილი.

აჭარის უმაღლეს საბჭოში სულ ხუთი კომიტეტი იმუშავებს.

საფინანსო, საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე მერაბ ქიძინიძის წარდგენამ სხდომაზე "რესპუბლიკელების" უკმაყოფილება გამოიწვია. მურმან დუმბაძე აცხადებდა, რომ მერაბ ქიძინიძე ერთ-ერთი იმათგანია, ვინც "აღორძინების" წესდების შექმნაში მონაწილეობდა და, აქედან გამომდინარე, **"მას არ ჰქონდა უფლება, რომ კომიტეტი ჩაებარებინა".**

რასაკვირველია, მერაბ ქიძინიძემ აღნიშნული ბრალდება უარყო და, საბოლოოდ, 26 ხმით იგი საფინანსო, საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს.

დანარჩენ კომიტეტებსაც ასევე სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენლები დაეპატრონენ.

აღსანიშნავია, რომ კენჭისყრებში მონაწილეობა არ მიიღო რესპუბლიკური პარტიის ორმა წარმომადგენელმა - მურმან დუმბაძემ და გიორგი მასალკინმა, ასევე სახელისუფლებო პარტიის წევრმა ბეჟან გობაძემ, რადგან ისინი ფარულ კენჭისყრას ითხოვდნენ, თუმცა მათი წინადადება არ დაკმაყოფილდა.

აჭარის უმაღლესმა საბჭომ გუშინ გამართულ პირველ სხდომაზე ავტონომიის დროშაც დაამტკიცა. მასზე გამოსახულია 7 ლურჯი და თეთრი ზოლი, ხოლო ზედა კუთხეში - საქართველოს ხუთჯვრიანი სახელმწიფო დროშა. ლურჯი ზოლი ზღვას გამოხატავს, თეთრი - სიწმინდეს.

"რესპუბლიკური პარტიის" ორმა დეპუტატმა კი უმრავლესობასთან საერთო ენა ამ საკითხშიც ვერ გამონახა.

# "აზოტი" ხანძრის რეალურ შედეგებს მალავს

მაია მოსიაშვილი

დღეს რუსთავის საქალაქო სასამართლო განიხილავს ქვემო ქართლის მხარის შრომის ინსპექციის ხელმძღვანელის, ელგუჯა მღებრიშვილის სარჩელს, რომელიც 13 ივლისს სააქციო საზოგადოება "აზოტში" მომხდარ ხანძარს შეეხება. მღებრიშვილის თქმით, "აზოტის" ხელმძღვანელობა ცდილობს დამალოს ხანძრის რეალური შედეგები და, ასევე - ისიც, რომ არაერთმა ადამიანმა იქ სერიოზული დაზიანებები და მოწამვლა მიიღო.

**"კანონით ჯგუფური უბედური შემთხვევა ადგილობრივმა ტექნიკურმა კომისიამ დაუყოვნებლივ უნდა გაარჩიოს, რაც "აზოტში" არ გაუკეთებიათ. მათ იგნორირება გაუკეთეს მხარის ტექნიკური ზედამხედველობისა და შრომის ინსპექციას. ქალაქის საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში მოთავსებული დაზარალებულები თენგიზ გობეჯიშვილი და ნოდარ თოდაძე სასწრაფოდ სახლებში გადაიყვანეს. არიან მოწამლულებიც. ქარხანაში აცხადებენ, რომ ცეცხლი უმნიშვნელო იყო, არადა რუსთავი ბეწვზე გადაურჩა მასშტაბურ მოწამვლას. ჩემი აზრით, ამას დამალვა ჰქვია. ტექნიკური კომისია ვალდებულია, რეალური შეფასება მისცეს მომხდარს და გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები,"** - განუცხადა "24 საათს" ელგუჯა მღებრიშვილმა, რომელიც დღეს სასამართლოში თავისი პოზიციის დასაბუთებას აპირებს და მოითხოვს, უფლება მისცენ, დამოუკიდებლად გამოიკვლიოს ხანძრის მიზეზები და შედეგები. მღებრიშვილმა პარალელურად პროკურატურასაც მიმართა. "აზოტის" მიერ იგნორირებული შრომის ინსპექციის უფროსი თავის სიმართლეში დარწმუნებულია და აცხადებს, რომ ბოლომდე დაიცავს დაზარალებული ადამიანების ინტერესებს.

ელგუჯა მღებრიშვილის ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ უბედური შემთხვევა დაფიქსირდა ასევე რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ტერიტორიაზეც, სადაც 55 წლის გურამ კაპანაძეს რკინა-ბეტონის შენობის დაშლის დროს ფეხზე არმატურა დაეცა. კომბინატის საავადმყოფოში გადაყვანილ მუშას ფეხის ამპუტაცია გაუკეთეს. არსებობს მოსაზრება, რომ კაპანაძე ვილაცამ დაიქირავა აღნიშნული არალეგალური სამუშაოს შესასრულებლად, თუმცა ეს ვერსია მხოლოდ ვერსიად რჩება. მღებრიშვილის თქმით, მან საავადმყოფოში მოინახულა ფეხმოჭრილი მუშა, რომელიც ირწმუნება, რომ ქარხნის ტერიტორიაზე საკუთარი ინიციატივით შევიდა და არავისთან პრეტენზიები არ აქვს.

# დაბადების მოწმობები უფასოდ

ამიერიდან საქართველოს მოქალაქეები დაბადების მოწმობებს უფასოდ მიიღებენ. იუსტიციის მინისტრი გიორგი პაპუაშვილი გუშინ მცხეთის სამშობიარო სახლს ეწვია და დედებს საჩუქრებთან ერთად მათი ახალშობილების დაბადების პირველი უფასო მოწმობები გადასცა.

პაპუაშვილის განცხადებით, იმის გამო, რომ დაბადების მოწმობები ფასიანი იყო, მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეები მათ აღებას ვერ ახერხებდნენ, რაც მრავალი სახის პრობლემას წარმოშობდა.

"მოხარული ვარ, რომ საქართველოს მთავრობამ და პარლამენტმა მხარი დაუჭირეს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივას და ყველა მოქალაქეს მიეცა საშუალება, მოწმობები უფასოდ აიღოს", - ბრძანა მინისტრმა და დასძინა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონებისთვის, რომელთა მოსახლეობას ყველაზე მეტად უჭირს.

საქართველოს მოქალაქეებს დღემდე დაბადების მოწმობებში შვიდი ლარის გადახდა უწევდათ.

*ინტერ-პრესი*

# რუსულ-ოსური ხრიკების საპასუხოდ

*"ყველანაირ ზომებს მივიღებთ, რათა რუსეთიდან კონფლიქტის ზონაში დამატებით არ შემოვიდეს მძიმე ტექნიკა, რადგან გვაქვს სერიოზული ეჭვები, რომ ეს ტექნიკა სეპარატისტების ხელში აღმოჩნდება," - ეს განცხადება გუშინ საღამოს, პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ გააკეთა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან საგანგებო შეკრების დასრულების შემდეგ.*



ვახო ბესელიას ფოტო

*ნინო ბურჯანაძე: "ჩვენი ხელისუფლება საქართველოს სახელმწიფოებრიობას არავის შეალახვინებს".*

გუშინ პრეზიდენტის კაბინეტში პარლამენტის თავმჯდომარე და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები ოსეთში არსებული ვითარების შესახებ თათბირობდნენ.

გენშტაბის უფროსის გივი იუკურიძის თქმით, რუსეთიდან კონფლიქტის ზონაში 19 ერთეული ქვეითთა საბრძოლო მანქანაა შემოტანილი. **"ცოცხალი ძალა პერიოდულად მიდი-მოდის... უახლოეს დროში მივაღწევთ იმას, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების ძალებით შემოწმდება შემოტანილი ტექნიკა და ამის შემდეგ დადგება მათი გაყვანის საკითხი... რუსეთში მითითება-შეტყობინება გავგზავნეთ და ამ ეტაპზე ტექნიკის შემოტანა შეჩერებულია,"** - ასეთი კომენტარი მისცა პრესას გივი იუკურიძემ.

პარლამენტის თავმჯდომარემ და მინისტრებმა შეშფოთება გამოხატეს რუსეთის სამშვიდობოების თვითნებობის და რუსეთიდან იარაღის შემოტანის გამო.

პარლამენტის თავმჯდომარე გამოეხმაურა შერეული სამშვიდობო ჯარების სარდლის გენერალ ნაბზდოროვის განცხადებას, თითქოსდა რუსეთი ტექნიკის შეცვლას ახორციელებს. ბურჯანაძეს ნაბზდოროვისეული ვერსიისა ნაკლებად სჯერა: **"თუ ძველ ტექნიკას ახლით ცვლიან, მაშინ იგივე ტიპის მანქანები უნდა შემოიყვანონ, რასაც გაიყვანენ. რაც მთავარია, ეს პროცესი ღია და გამჭვირვალე უნდა იყოს, საქართველოს ხელისუფლება ყველაფრის საქმის კურსში უნდა ჩააყენონ."**

ქალბატონი ბურჯანაძე გუშინ საკმაოდ კატეგორიული იყო: **"ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ იმას, რომ სამშვიდობოები საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეუთანხმებელ ქმედებას ახორციელბდნენ. ჩვენი ხელისუფლება საქართველოს სახელმწიფოებრიობას არავის შეალახვინებს".**

გუშინვე კანცელარიაში უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი აშშ-ს კონგრესის ნატო-ს კომიტეტის თავმჯდომარეს ბრიუს ჯექსონს შეხვდა. როგორც ჯექსონმა ჟურნალისტებს განუცხადა, საუბრის ძირითადი თემა საქართველოში და სამხრეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტები იყო. ჯექსონი საქართველოს ხელისუფლების პოზიციას იწონებს, რომელიც კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებას ითვალისწინებს. ბრიუს ჯექსონმა უკვე მოინახულა აფხაზეთი და პანკისის ხეობა, დღეს კი სამხრეთ ოსეთს ეწვევა. ბურჯანაძის განმარტებით, ჯექსონის ვიზიტი გეგმიურია და საგანგებო ხასიათს არ ატარებს.

*ვერიკო თევზაძე*

# გამოიკვეთა რუსული სამხედრო დაზვერვის კვალი

პირველი გვერდიდან

მისი განცხადების პასუხად, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა აღნიშნავს, რომ **"საქართველოს პრეზიდენტის უსაფრთხოებაზე მისი პირადი დაცვა აგებს პასუხს. რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილებას, მიხეილ სააკაშვილი ამ საკითხს არავისთან შეათანხმებს. პრეზიდენტი თავად გადაწყვეტს, სად, როდის და ვისთან ერთად წავა,"** - განუმარტავს ოს კოლეგას გოგა ხაინდრავა.

თუმცა, საქართველოს პრეზიდენტს თავისი მინისტრის გამოსარჩლება არ სჭირდება: გუშინ, ბათუმში ყოფნის დროს, ცხინვალის რეგიონში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, მიხეილ სააკაშვილმა რამდენიმე მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა.

პრეზიდენტის თქმით, ქართულ მხარეს გააჩნია იმის დამადასტურებელი აუდიო, ვიდეო და სხვა სახის დოკუმენტური მასალები, რომ კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამხედრო დაზვერვის თანამშრომლები საქმიანობენ. მეტიც, სააკაშვილის განცხადებით, დასტურდება, რომ სწორედ რუსმა მზვერავებმა ჩაატარეს ქართველი პოლიციელების დაკავებისა და ცხინვალის ცენტრალურ მოედანზე მათი დაჩოქების ოპერაცია.

საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, უშიშროების მინისტრის მოადგილე გიგი უგულავა კი ამტკიცებს, რომ რუსეთის სამხედრო დაზვერვა "მიღწეულით" დაკმაყოფილებას არ აპირებს და ახალ პროვოკაციას გეგმავს. კერძოდ, განზრახულია ვლადიკავკაზში დისლოცირებულ 58-ე არმიაში არსებული უვარგისი, ჩამოწერილი "ბეტეერების" ცხინვალში შეყვანა, რის შემდეგაც ედუარდ კოკოითი განაცხადებს, რომ ამ "შეიარაღებას" ჯართად აბარებს და ამიტომ, ქართული მხარეც უნდა განიარაღდეს და კონფლიქტის ზონიდან პოლიციელები გაიყვანოს.

**"დიდი და პატარა ლიახვის ხეობიდან პოლიციელების გაყვანას არ ვაპირებ. რამდენიმე წლის წინათაც გამოგვაყვანინეს ძალოვანები გაგრიდან და სოხუმიდან და ვიცით, როგორ დამთავრდა ეს ყველაფერი. ჩვენ თავს არავის ვესხმით, პროვოკაციებს თავად კოკოითი აწყობს. პოლიცია რომ გავიყვანოთ, ვის ვენდოთ - ნაბზდოროვს თუ სხვა რუს ოფიცრებს?!"** - რუსებისა და ოსების მხრიდან მორიგი ღალატის მოლოდინშია პრეზიდენტი სააკაშვილი. მისი თქმით, თუ ქართული მხარე მათ ანკესზე წამოეგება, გენერალ ნაბზდოროვს ისღა დარჩება გასაკეთებელი, რომ **"ისეთივე საზღვარი დააფიქსიროს, როგორიც ენგურის ხიდზე უკვე არსებობს".**

საქართველოს პრეზიდენტი იმითაც არის აღშფოთებული, რომ რუსი სამშვიდობოები გორიდან, სულ რაღაც, ათი წუთის სავალით დაშორებულ სოფლებში ქართული დროშის აღმართვას კრძალავენ. სააკაშვილი რუსებს **"ენაზე კბილის დაჭერას და მუხრუჭების ჩართვას"** ურჩევს. ამასთან, გარემოებათა შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტი შევარდნაძის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებების დენონსაციასაც არ გამორიცხავს.

ამ განცხადებამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ედუარდ კოკოითი შიშობს, რომ ეს ნაბიჯი რეგიონში სიტუაციის დაძაბვას გამოიწვევს და, შესაძლოა - საომარი მოქმედებების განახლებასაც. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაკეთებულ განცხადებაში კი ხაზგასმულია, რომ **"ეს ხელშეკრულებები წლების განმავლობაში მუშაობდნენ და მათში ჩადებულია მშვიდობისა და სტაბილურობის მექანიზმები".**

რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტის ბრალდებებს, რუსი სამხედროები მას, ცხადია, კატეგორიულად უარყოფენ.

**"მიხეილ სააკაშვილის განცხადება, კონფლიქტის ზონაში რუსი სამხედრო მზვერავების ყოფნის შესახებ, უსაფუძვლოა და სინამდვილეს არ შეესაბამება,"** - აღნიშნავს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრის ხელმძღვანელი ვიაჩესლავ სედოვი.

უმანკო კრავის პოზა აქვს მიღებული რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილესაც. გენერალ ნიკოლაი კორმილცევის თქმით, **"ქართული მხარის ბრალდებები აბსურდულია, რადგან რუსეთი კონფლიქტის ზონაში ჯავშანტექნიკის შეყვანას არ აპირებს".**

საინტერესოა, რომ რუსი სამხედროებისგან განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს რუსული დიპლომატიური სამსახურის წარმომადგენელი. როდესაც ამ ფაქტთან (ცხინვალის რეგიონში ჯავშანტექნიკის შეყვანა) დაკავშირებით, საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი საქართველოში რუსეთის ელჩს, ვლადიმერ ჩხიკვიშვილს დაუკავშირდა, ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ **"ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ტექნიკის შეყვანა შერეული საკონტროლო კომისიის ოქმის საფუძველზე ხდება".**

ვიდრე ოფიციალური მოსკოვი და თბილისი "აზრთა გაცვლა-გამოცვლით" არიან დაკავებულნი, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება წვრილმანი ხრიკებით ცდილობს სიტუაციის გამწვავებას: გუშინ დილიდან, ოსი ძალოვნები ცხინვალის შესასვლელ-გასასვლელთან იყვნენ მობილიზებულნი და ლიახვის ხეობაში მცხოვრები იმ ქართველების მანქანებს, რომლებიც ცხინვალშია გაფორმებული, დე ფაქტო რესპუბლიკის ძველ სანომრე ნიშნებს ხსნიდნენ და ავტომობილის მფლობელებს მათ ახლით შეცვლას აიძულებდნენ (ახალ ნომრებზე თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სამფეროვანი დროშაა გამოსახული).

თავად ცხინვალი და ზოგიერთი ოსური სოფელი კი, ორშაბათიდან მოყოლებული, ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი. ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების ინფორმაციისა და ბეჭდვის კომიტეტის თავმჯდომარე ირინა გაგლოევა ამაში ქართულ მხარეს ადანაშაულებს. მისი განცხადებით, სოფელ აჩაბეთთან ქართველმა სამართალდამცავებმა ელექტროგადამცემი ხაზი დაცხრილეს და მისი შეკეთება დღემდე ვერ მოხერხდა.

**"ამჟამად დენი სამთავრობო შენობების კომპლექსსაც კი არ მიეწოდება,"** - წუხს ქალბატონი გაგლოევა.

# ინციდენტი ეკონომიკის სამინისტროს წინ



იური ლობოდინის ფოტო

*ეკონომიკის სამინისტროსთან მიმდინარე მიტინგი მწვავე ინციდენტში გადაიზარდა.*

საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს შენობის წინ მიმდინარე მიტინგზე, რომელსაც ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ქვრივი მანანა არჩვაძე-გამსახურდია ხელმძღვანელობდა, ინციდენტი მოხდა. მომიტინგეების მტკიცებით, ისინი დაარბიეს და ამ აქციაში უშუალოდ მონაწილეობდა ეკონომიკის მინისტრის კახა ბენდუქიძის დაცვა. თუმცა, თვითმხილველების განცხადებით, მომიტინგეები თავად დაესხნენ თავს მინისტრის მანქანას და ქოლგებს ურტყამდნენ.

ეკონომიკის სამინისტროს შენობის წინ მიტინგი უკვე ერთი კვირაა, მიმდინარეობს. მომიტინგეები აპროტესტებენ კახა ბენდუქიძის პოლიტიკას, რომელიც, მათი შეფასებით, "ყველაფრის გაყიდვას" ითვალისწინებს, და მინისტრს "ქვეყნის გამყიდველს" უწოდებენ.

გუშინ ეკონომიკის სამინისტროს წინ შეკრებილ მომიტინგეებთან ეკონომიკის მინისტრი კახა ბენდუქიძე გავიდა. მომიტინგეებმა მინისტრის ამ ჟესტს, არც მეტი, არც ნაკლები, სახეში შეფურთხებით უპასუხეს.

მინისტრი შეკრებილთა აგრესიულობით შეშფოთებულია.

**"ისინი მთელი ერთი კვირის განმავლობაში აქ მიტინგს მართავენ, მაგრამ დღეს უკვე ზღვარს გადავიდნენ. მე ვიცოდი, რომ მათ ფულს უხდიდნენ და საჭიროდ არ ჩავთვალე, მათი აქ დგომა შემეფერხებინა, მაგრამ დღეს უკვე ხულიგნობა დაიწყეს,"** - განაცხადა ეკონომიკის მინისტრმა. მისი თქმით, მომიტინგეების დაშლა არა ეკონომიკის სამინისტროს, არამედ პოლიციის პრეროგატივაა და მათ **"რაიმე ზომები უნდა მიიღონ".**

აღსანიშნავია, რომ მომიტინგეებს რამდენიმე პოლიტიკური პარტიის ლიდერიც შეუერთდა.

*24 საათი*

# პირველი ქართველი ქრისტიანების სამარხები

ივნისის ბოლოს ბორჯომის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სოფელ კლდეში არქეოლოგიური სამუშაოები დაასრულა. არქეოლოგები მიიჩნევენ, რომ პირველი ქრისტიანების სამარხებს მიაკვლიეს. **"ასეთი მნიშვნელოვანი ძეგლები ამ ტერიტორიაზე არ დადასტურებულა. არსებობდა მხოლოდ ისტორიული წყაროები. ახლა შევეცდებით, ეს ყველაფერი ისტორიულ წყაროს დაუკავშიროთ",** - აღნიშნა ექსპედიციის ხელმძღვანელმა ირინა ღამბაშიძემ.

აღმოჩენილია შუასაუკუნოვანი და გვიან ანტიკური ხანის ვერცხლის, ოქროს სამკაულები და ჭურჭელი, რომელიც რესტავრაციას საჭიროებს; გაითხარა 53 სამარხი, ამათგან ზოგი წარმართულია, ზოგიც - შერეული. ერთი სამარხია განსხვავებული, რომლის მსგავსიც საქართველოში არ დაფიქსირებულა. იგი ლოტოსის ფორმისაა და მისი გამოკვლევა ამჟამად მიმდინარეობს.

*თამარ დვალი*

## ოფიციოზი

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №641

*2004 წლის 19 ივლისი ქ.თბილისი*

ი.კოტეტიშვილის საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს ირაკლი კოტეტიშვილი საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილედ.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №642

*2004 წლის 19 ივლისი ქ. თბილისი*

კ. საყვარელიძის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს კახაბერ საყვარელიძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ.

*ზურაბ ჟვანია*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეებს გიორგი გომიაშვილს, კონსტანტინე ქავთარაძეს და ლაშა ჟვანიას საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი მიენიჭათ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა ექსმინისტრი სერგეი შამბა აცხადებს, რომ მხარს უჭერს მოძრაობა "ერთიანი აფხაზეთის" მიერ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე წარდგენილ სერგეი ბაღაფშის კანდიდატურას. მიუხედავად იმისა, რომ "ერთიანმა აფხაზეთმა" თავად შამბა პრეზიდენტობის კანდიდატად არ წარადგინა, პოლიტიკური ასპარეზიდან წასვლას არ აპირებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გალის რაიონში დაბრუნებულ დევნილთა რაოდენობის დასადგენად შემუშავებულ პროექტზე მუშაობა გაგრძელდება. გუშინ სოჭში გამართულ შეხვედრაზე, რომელშიც აფხაზეთში დევნილთა დაბრუნების საკითხებზე მომუშავე საქართველოს, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის და რუსეთის სამთავრობო სამუშაო ჯგუფები, ასევე გაერო-ს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენელი საქართველოში ჰაიდი ტალიავინი და გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, მხარეები გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ შემუშავებული ამ პროექტის სრულყოფაზე და განხორციელებაზე შეთანხმდნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე, რომელიც, სავარაუდოდ, აგვისტოს პირველ რიცხვებში გაიმართება, შესაძლოა, აფხაზეთის დეპუტაციის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი დადგეს. ამ საკითხის დაყენება იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის წევრმა გიგა ბოკერიამ მოითხოვა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის წევრი ბეჟან ხურციძე კომიტეტის გასვლითი სხდომის ცხინვალის რეგიონში ჩატარებას ითხოვს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტმა ჟურნალ-გაზეთების გამოწერაზე უარი თქვა. საკანონმდებლო ორგანო ეკონომიის გაკეთებას ამ საშუალებით ცდილობს. კომიტეტებსა და ფრაქციებს პრესის ყიდვა საკუთარი ხარჯით მოუწევთ, თუ გაზეთის წაკითხვის სურვილი გაუჩნდებათ. აღნიშნული გადაწყვეტილება ხაზინადართა საბჭომ მიიღო. საბჭოს თავმჯდომარის, ვიცე-სპიკერ მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, პარლამენტში გაზეთები მხოლოდ ბიბლიოთეკაში მივა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ერევანი.** საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, სალომე ზურაბიშვილი ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ოთხშაბათს სომხეთს ეწვევა. ზურაბიშვილი ერევანში სომხეთის პრეზიდენტს რობერტ ქოჩარიანს, პარლამენტის სპიკერს არტურ ბაგდასარიანს, პრემიერ-მინისტრს ანდრანიკ მარგარიანს და თავის სომეხ კოლეგას ვარდან ოსკანიანს შეხვდება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტში ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისია არ შეიქმნება. პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ არ დააკმაყოფილა დეპუტატების - ზვიად ძიძიგურისა და კახა კუკავას შესაბამისი თხოვნა და განმარტა, რომ პარლამენტის რეგლამენტი ამგვარი კომისიის ჩამოყალიბებას არ ითვალისწინებს. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# მძიმე მემკვიდრეობა

## დღეს საქართველოსთვის 200 მილიონის გადავადების ბედი გადაწყდება

პირველი გვერდიდან

უკავშირდებოდა.

### პარიზის კლუბი - 2001

პირველად "პარიზის კლუბის" მეშვეობით საქართველოს საგარეო ვალის რესტრუქტურიზაცია 2001 წლის 6 მარტს განხორციელდა.

ამას წინ უძღოდა საქართველოს მძიმე მოლაპარაკებები პარიზის კლუბის მონაწილე ერთ-ერთ მხარესთან - რუსეთთან, რომელიც საქართველოსთვის 170-მილიონიანი ვალის რესტრუქტურიზებაზე უარს აცხადებდა. რუსეთის პოზიცია განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი გახლდათ იმის გამო, რომ საქართველოს უკვე ჰქონდა დაურეგულირებელი საკრედიტო ურთიერთობა თურქმენეთთან, ორი კრედიტორის უარი კი პარიზის კლუბში საქართველოს წარუმატებლობის საფუძველი გახდებოდა.

საქართველოს ხელისუფლება მაშინ "ნულოვანი ვარიანტის" რატიფიცირებას დათანხმდა. ეს ნიშნავდა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, რუსეთის თანხმობის სანაცვლოდ, უარი თქვა სსრკ-ს აქტივებზე, რომლებიც სხვადასხვა გათვლებით, 5 მილიარდს აღწევდა.

არც დღეს და არც მაშინ ცალსახა პასუხს ვერავინ იძლევა იმაზე, რამდენად თანაბარწონიანი იყო ეს გაცვლა, თუმცა ფაქტია, რომ მაშინ, გარდა რუსეთის პოზიციისა, საკმაოდ მკაცრი იყო სსფ-ს პოზიციაც, რომელსაც ყველა არგუმენტი ჰქონდა საქართველოსთვის ვალების რესტრუქტურიზებაზე უარის სათქმელად და რომლის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაც სწორედ რუსეთთან შეთანხმების მიღწევა გახლდათ.

2001 წლის 6 მარტს "პარიზის კლუბის" წევრ კრედიტორ ქვეყანათა გადაწყვეტილე-

**2003-2006 წლებში გასასტუმრებელი ვალები**

| კრედიტორი | კრედიტის აღების წელი | კრედიტის ვალუტა | სულ |
|---|---|---|---|
| სომხეთი | 1996 | USD | 11 756 800 |
| აზერბაიჯანი | 1997 | USD | 12 951 658 |
| ჩინეთი | 1998 | CHF | 1 910 507 |
| ირანი | 1996 | USD | 9 619 596 |
| ყაზახეთი | 1996 | USD | 16 664 400 |
| კონტროლბანკი ავსტრია | 1997 | EUR | 19 512 628 |
| რუსეთი | 1997 | USD | 89 633 190 |
| თურქეთი | 1998 | USD | 22 879 024 |
| აშშ | 1999 | USD | 571 893 |
| აშშ | 1997 | USD | 3 062 842 |
| აშშ | 1998 | USD | 2 270 001 |
| KFW | 1994 | EUR | 293 992 83 |
| ნიდერლანდები | 1996 | EUR | 447 376 |
| სულ | | USD | 196 683 452 |

*დღეს პარიზის კლუბში ამ ვალების რესტრუქტურიზების ბედი გადაწყდება

ბით, საქართველოს საგარეო ვალის რესტრუქტურიზება განხორციელდა "გაუმჯობესებული ჰიუსტონის" პირობებით - კრედიტის მთლიანი ხანგრძლივობა განისაზღვრა 20 წლით, მათ შორის შეღავათიანი პერიოდი - 3 წლით, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი არა უმეტეს 4 პროცენტისა, (ძირითადად, ეს მაჩვენებელი, ქვეყნებთან ორმხრივი მოლაპარაკებების შედეგად, 3 პროცენტამდე ჩამოვიდა). სულ, 2001-2002 წ.წ. რესტრუქტუირებულმა თანხამ 242.69 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

### პარიზის კლუბი - 2004

ერთი კვირაა, პარიზში იმყოფება საქართველოს ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, რომელიც საკითხს განხილვისთვის ამზადებს.

იგი "პარიზის კლუბში" მონაწილე კრედიტორი ქვეყნების მთავრობების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებს მართავს. ნოღაიდელი შეეცდება ვალების რესტრუქტურიზაციაზე სომხეთი, აზერბაიჯანი, ჩინეთი, ირანი, ყაზახეთი, ავსტრია, რუსეთი, თურქეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და ნიდერლანდები დაითანხმოს. რესტრუქტურიზება შეეხება 2003-2006 წ.წ გადასახდელ თანხებს, რომელთა საერთო ოდენობა 196 683 452 აშშ დოლარს შეადგენს.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ რუსეთთან პრინციპული შეთანხმება უკვე მიღწეულია მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებამ 2004 წლის გაზაფხულზე მიიღო გადაწყვეტილება, უარი თქვას პრეტენზიის წაყენებაზე სსრკ-ს პერიოდის "ვნეშეკონომბანკში" განთავსებულ ანაბრებზე, რომლებიც საქართველოს იურიდიულ და ფიზიკურ პირებს ეკუთვნით. ფინანსთა მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის განმარტებით, ეს გადაწყვეტილება გულისხმობს იმას, რომ თავად საქართველოს ხელისუფლება "ვნეშეკონომბანკის" ანაბრებზე რიცხული თანხის მოთხოვნის ინიციატორი არ იქნება. იმ შემთხვევაში კი, თუ პრეტენზიას უშუალოდ ანაბრების მფლობელები განაცხადებენ, სახელმწიფო მოლაპარაკებების პროცესში ჩაერთვება.

ისევე, როგორც სსრკ-ს დროინდელი აქტივების შემთხვევაში, ზუსტი ციფრი ამ ანაბრებთან დაკავშირებითაც არ არსებობს, თუმცა სხვადასხვა დაანგარიშებით ეს თანხა 35 მილიონიდან 50 მილიონამდე აშშ დოლარს შეადგენს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ "პარიზის კლუბში" საქართველოს საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციის საკითხის დასმა 2004 წლის 4 ივნისს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭოს მიერ, საქართველოში ფონდის პროგრამის აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებით გახდა შესაძლებელი.

დაბოლოს, ცხრილის სახით გთავაზობთ

## თურქეთის კრედიტი

*საქმე ეხება 11 წლის წინათ, მაშინდელი ხელისუფლების მიერ აღებულ 41-მილიონიან თურქულ კრედიტს, რომელიც 1993 წელს, ქართულ მხარესთან ანკარაში გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების თანახმად, სამ წელიწადში უნდა დაფარულიყო. აღსანიშნავია, რომ კრედიტი საკმაოდ მძიმე პირობებით იქნა აღებული, თუმცა საქართველოს ხელისუფლება ამ კრედიტის აღებას პოლიტიკური მოტივებით ამართლებდა და ამბობდა, რომ ეს იყო პირველი კრედიტი, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებას "ანდეს".*

ეთერ მამულაშვილი

კრედიტი მთლიანად განკუთვნილი იყო ქართველი იმპორტიორების მიერ თურქეთიდან საქონლის შემოტანის დასაფინანსებლად. შეთანხმების თანახმად, თურქეთიდან შემოტანილი პროდუქციის 50 პროცენტი ადგილობრივი წარმოების უნდა ყოფილიყო. 43-მილიონიანი კრედიტი რვა სუბიექტს შორის განაწილდა. ამ დროისთვის ვალის ძირითადი ნაწილი არც ერთ კრედიტორს არ აქვს გასტუმრებული. მეტიც, რიგ შემთხვევაში, კრედიტორის დღეს არსებული დავალიანება თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე ეს 12 წლის წინ იყო. მაგალითად, "კოკა-კოლას" დღემდე 7.6 მილიონი დოლარი დაუგროვდა, კავშირგაბმულობის სამინისტროს დავალიანება 9,0 მილიონ დოლარზე მეტია, პურპროდუქტების კორპორაციას 26,8 მილიონ დოლარზე მეტი დაუგროვდა, "გევას" ვალი 9,5 მილიონ დოლარს აჭარბებს, შულავერის მატყლის გადამამუშავებელი ფაბრიკის ვალი კი 5 მილიონამდე აღწევს. ზოგიერთი კრედიტორი დღეს უკვე ფიზიკურად აღარ არსებობს და, ჯერჯერობით, მათი სამართალმემკვიდრეების ვინაობაც გაურკვეველია. ძირითადად, ეს გაუქმებულ სახელმწიფო უწყებებს ეხება.

ცნობისათვის - ამ კრედიტის დაფარვა ცენტრალური ბიუჯეტიდან ხდება, თავის მხრივ, ხსენებული მეწარმეები და სამინისტროები ვალდებულნი არიან, ვალი ნაწილ-ნაწილ ბიუჯეტში გადაიხადონ წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. მეზობელ სახელმწიფოსთან ნაკისრმა ვალდებულებამ, კრედიტის დაბრუნების თაობაზე, დათქმულ ვადას უკვე ცხრა წლით გადააცილა. მთელი ამ დროის განმავლობაში ძირითად ვალს წლიურ სარგებელთან ერთად საურავებიც ერიცხებოდა და თურქეთის მიმართ დავალიანება ამ დროისთვის ქართულ ლარებში უკვე 156 მილიონ ლარს აჭარბებს.

სხვათა შორის, თურქული კრედიტის განაწილებისა და მისი დახარჯვის საკითხით წინა მოწვევის პარლამენტი საკუთარი მოღვაწეობის ბოლო წელს დაინტერესდა და მაშინდელი ფინანსთა სამინისტროსგან ოფიციალური ინფორმაციაც მოითხოვა. დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის დემურ გიორხელიძის შეფასებით, სახელმწიფოს ასეთი გულგრილი დამოკიდებულება არც ერთი კრედიტის მიმართ არ გამოუჩენია. **"თურქული კრედიტი აბსოლუტურად გაუაზრებლად იყო აღებული, თუმცა მთავარი უბედურება ისაა, რომ სახელმწიფო ამ ვალს ბიუჯეტიდან, ასეა თუ ისე, იხდის. ხოლო ის სუბიექტები, რომლებმაც ეს თანხები წაიღეს, მის უკან დაბრუნებაზე დღეს არც კი ფიქრობენ,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს გიორხელიძემ.

ფინანსთა სამინისტრო ვალის ამოღებას მევალე ორგანიზაციებისგან სასამართლოს ძალით იწყებს. ამჟამად უზენაეს სასამართლოში დევს სამინისტროს სარჩელი "კოკა-კოლას" და "რუსთავცემენტის" წინააღმდეგ. უახლოეს მომავალში სამინისტრო მსგავსი შინაარსის კიდევ რამდენიმე სარჩელის მომზადებას აპირებს, როგორც კი დღეს უკვე არარსებული კრედიტორების სამართალმემკვიდრის ვინაობა გაირკვევა.



## საინვესტიციო კრედიტები

### ვინ დახარჯა 922 მილიონამდე აშშ დოლარი?

*საქართველოს მიერ 1994 წლის პირველი იანვრიდან 2004 წლის 19 ივლისის ჩათვლით მიღებული საინვესტიციო კრედიტების საერთო მოცულობა 921 მილიონ 827,462 აშშ დოლარია, აქედან ათვისებულია 654 მილიონ 348,929 აშშ დოლარი. ეს არის სწორედ ის თანხა, რომელიც საქართველოს ეკონომიკის აღორძინებაზე უნდა წასულიყო.*

სოფიკო ოხანაშვილი

საინტერესო სურათი იკვეთება კრედიტების მიმღები უწყებების განხილვისას. ყველაზე მეტი კრედიტის მიმღები ფინანსთა სამინისტროა. ამ უწყებამ 10 წლის განმავლობაში სხვადასხვა საერთაშორისო დონორისგან სხვადასხვა სექტორში პროექტების განსახორციელებლად 450,510,000 აშშ დოლარი მიიღო, აქედან მხოლოდ 372,270,328 აშშ დოლარის ათვისება მოახერხა. ფინანსთა სამინისტროს, მიღებული კრედიტების მოცულობის თვალსაზრისით, ენერგეტიკისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროები მოსდევს.

მართალია, კრედიტის მიმღებები, ძირითადად, სამინისტროები არიან, მაგრამ მათ მიერ მიღებულ თანხებს, როგორც წესი, სხვადასხვა დეპარტამენტები და წვრილ-წვრილი უწყებები ხარჯავენ. მაგალითად, საავტომობილო გზების რეკონსტრუქციისათვის მსოფლიო ბანკისა და კუვეიტის ფონდის მიერ გამოყოფილი კრედიტების მიმღები ეკონომიკური განვითარების სამინისტროა, თუმცა ამ კრედიტებს რეალურად საგზაო ფონდი განკარგავს. ამიტომ, თითოეული კრედიტის ხარჯვისთვის თვალის მიდევნება ერთ საგაზეთო სტატიაში, პრაქტიკულად, წარმოუდგენელია. თუმცა, რამდენიმე ციფრის მოტანა შეიძლება:

ახლანდელი მდგომარეობით, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მსოფლიო ბანკის პროექტით გათვალისწინებული 55 მილიონი დოლარის სარეაბილიტაციო სამუშაოებიდან 41,2 მილიონი დოლარის სამუშაოები შეასრულა. კრედიტის დაფარვის ვადა 35 წელია 0,75 წლიური საპროცენტო განაკვეთით. აქედან, 10 წელი შეღავათიანი პერიოდია. მსოფლიო ბანკის კრედიტის დაფარვა 2010 წელს უნდა დაიწყოს და 2035 წელს დასრულდეს.

რაც შეეხება კუვეიტის კრედიტს - დღეისთვის შესრულებულია 8,3 მილონი დოლარის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ხელშეკრულება 24 მილიონ 200 ათასი დოლარის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას ითვალისწინებს. კუვეიტის ოთხწლიანი კრედიტის დაფარვის ვადა 20 წელია, 1,5 წლიური საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაფარვა 2004 წლის სექტემბრიდან დაიწყება და 2020 წელს დასრულდება. ოთხი წელი შეღავათიანი პერიოდია.

ასევე საინტერესო სურათი იკვეთება დონორთა დამხმარებების მეურნეობის დარგების მიხედვით განხილვისას. პრიორიტეტული სექტორების პირველ ხუთეულში სახელმწიფო ბიუჯეტის მხარდაჭერა, სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი და სახელმწიფო სექტორის რეფორმა შედის.

საქართველოს სახელმწიფო საგადამხდელო ბალანსის მხარდასაჭერად საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოყოფილი დახმარების მოცულობა, დაახლოებით, 470 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. ეს თანხა საქართველოში ფართომასშტაბიანი ეკონომიკური და სტრუქტურული რეფორმების გატარებას გულისხმობდა.

სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი 1997 წელს დაიწყო, რისთვისაც მსოფლიო ბანკმა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდმა, შესაბამისად, 15 მილიონი აშშ დოლარი და ექვსი მილიონ 480 ათასი აშშ დოლარი გამოყვეს. 2001 წელს დაიწყო ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტი, რომლის მთლიანი ღირებულება 32,5 მილიონ დოლარს შეადგენს. აქედან 27 მილიონი აშშ დოლარი მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი თანხაა. 2000 წლიდან ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტი, რომლის მთლიანი ღირებულებაც 12,4 მილიონი დოლარია, საიდანაც 7,5 მილიონი დოლარი მსოფლიო ბანკმა გამოყო.

სექტორი, რომლის განვითარებისთვისაც თითქმის ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია გამოყოფს თანხებს - ენერგეტიკაა. საქართველოს ენერგეტიკის რეაბილიტაციის პროექტი 1997-2000 წლებში განხორციელდა. პროექტის მთლიანი ღირებულება 68,4 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. აქედან, მსფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი თანხა 52 მილიონ 300 ათასი დოლარია, ხოლო 14,8 მილიონი დოლარი გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის სახსრებია.

დასრულდა ნავთობის ინსტიტუციონალური მშენებლობის პროექტიც, რომლის დასაფინანსებლად მსოფლიო ბანკმა 1,4 მილიონი დოლარი გამოყო. 2001 წელს დაიწყო ენერგომატარებლებს ტრანზიტის ინსტიტუციონალური განვითარების პროექტი, რისთვისაც მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილმა სახსრებმა ცხრა მილიონ 630 ათასი დოლარი შეადგინა. იმავე წელს დაიწყო ელექტროენერგიის ბაზრის მხარდამჭერი პროექტი, რისთვისაც მსოფლიო ბანკმა და გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკმა, შესაბამისად, 27,4 მილიონი დოლარი და 12 მილიონ 550 ათასი დოლარი გამოყვეს.

ქვეყანაში მიმდინარე სტრუქტურული რეფორმების მხარდაჭერის მიზნით მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი სახრების საერთო მოცულობამ 316,9 მილიონი დოლარი შეადგინა, საიდანაც ბიუჯეტში 280 მილიონი დოლარი ჩაირიცხა.

აღნიშნული სფეროების გარდა, საერთაშორისო დონორები მილიონობით დოლარებს გამოყოფდნენ ისეთი სფეროების დასაფინანსებლად, როგორიცაა, კერძო სექტორის განვითარება, ჯანდაცვა და სოცუზრუნველყოფა, თავდაცვა და სახელმწიფო უზრუნველყოფა, განათლება, დემოკრატია და სამართალი, გარემოს დაცვა, ძირითადი ინფრასტრუქტურის განვითარება, ფინანსური და საბანკო სექტორი, მიწის მართვა, დევნილები და პოსტ-კონფლიქტური ზონები, კულტურა, სპორტი და სხვა.

## თურქმენეთის ვალი

*ყველაზე ბევრი საქართველოს თურქმენეთის რესპუბლიკისა მართებს. 1996 წლისთვის, როცა ამ დავალიანების რესტრუქტურიზება განხორციელდა, თურქმენეთის ვალის ძირითადი თანხის ოდენობა 393 მილიონ 567 ათასი აშშ დოლარით განისაზღვრა. ეს თანხა, ძირითადად, საქართველოსთვის მოწოდებული ბუნებრივი აირის საფასურის გადაუხდელობით არის დაგროვებული. 2004 წლისთვის კი, ანუ ვალის აღიარებისა და "მომსახურების" რვა წლის თავზე, ვალის მოცულობა 240 მილიონ ამერიკულ*




ეთერ მამულაშვილი

1998 წლიდან მოყოლებული, საქართველოს მხარე თურქმენეთის მიმართ არსებულ დავალიანებას სამი ადგილობრივი კომპანიის დახმარებით ისტუმრებს. ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, თურქმენეთის ვალს ემსახურება ს.ს. "თბილავიამშენი", ს.ს. "ქართული შაქარი" და შპს. "თ.ჯ. თრეიდი".

საგარეო ვალის ამ გზით გასტუმრების შესახებ შეთანხმებას საქართველოს მთავრობამ დღემდე მხოლოდ თურქმენეთის სახელმწიფოსთან (2000 წელს) მიაღწია. შესაძლებელია, რომ მსგავსი შეთანხმება წელს კიდევ რამდენიმე სახელმწიფოსთან იქნეს მიღწეული. ფინანსთა სამინისტროს საგარეო ვალის დეპარტამენტის ინფორმაციით, ამ საკითხზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს რუსეთთან, სომხეთთან და ყაზახეთის რესპუბლიკასთან.

ვალის გასტუმრების პროცესში ჩართულ თითოეულ კომპანიას, მათ მიერ დაფარული საგარეო ვალის სანაცვლოდ, წლის ბოლოს ცენტრალური ბიუჯეტიდან ერიცხება დისკონტირებული თანხები. მარტივად ეს ნიშნავს, რომ ხსენებული კომპანიები თურქმენეთის რესპუბლიკას საკუთარ პროდუქციას ან მომსახურებას აწვდიან, რომლის საფასურს საქართველოს მთავრობა იხდის. თუმცა, ამ შემთხვევაში კომპანიების მიერ გაწეულ მომსახურებას ფინანსთა სამინისტრო ფასდაკლებით ანაზღაურებს (ანაზღაურება შესაბამისი ეკვივალენტით ეროვნულ ვალუტაში ხდება).

თურქმენული ვალის შემთხვევაში, ს.ს. "თბილავიამშენსა" და "თ.ჯ. თრეიდს" ფინანსთა სამინისტრო შესრულებული სამუშაოს ღირებულების 70 პროცენტს უხდის, ხოლო "ქართულ შაქარს" - 75 პროცენტს. ეს უკანასკნელი საკუთარი პროდუქციით, ძირითადად, საჯარიმო პროცენტების დაფარვას ახორციელებს.

ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის შეფასებით, "ქართული შაქარის" შემთხვევაში დისკონტირებული თანხა ძალიან მაღალია და თურქმენეთის მთავრობასთან ვალის ამ ნაწილის რესტუქტურიზაციის თაობაზე მოლაპარაკება შესაძლებელია.

წელს კი ფინანსთა სამინისტროში იმედოვნებენ, რომ საქართველოს მთავრობა თურქმენეთის ვალიდან, სულ ცოტა, კიდევ 100 მილიონის ჩამოწერას მოახერხებს, თუკი კომპანიები სამინისტროს შემოთავაზებას შეასრულებენ. სამინისტრო კომპანიებს სთავაზობს, რომ თითოეულმა მათგანმა, შარშანდელთან შედარებით, ორ-სამჯერ მეტი ღირებულების პროდუქცია და მომსახურება მიაწოდოს თურქმენეთის რესპუბლიკას, რის საფასურსაც სამინისტრო ორი-სამი წლის პერიოდში აანაზღაურებს (ბუნებრივია, დისკონტირებულ ფასებში).

ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურების დეპარტამენტის თავმჯდომარის, სოსო სხირტლაძის ინფორმაციით, საქართველოს მთავრობის მიერ 393 მილიონი აშშ დოლარის გასტუმრების პირობები პარიზის კლუბთან შეთანხმებულია. სხირტლაძის განცხადებით, "თბილავიამშენმა" წელს თურქმენეთიდან გამოგზავნილ ამორტიზებულ თვითმფრინავებს 10 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების რემონტი ჩაუტარა. საწარმომ, ამ ვალის დაფარვის პროგრამით, 2000 წლიდან 80 მილიონი აშშ დოლარის ტექნიკური სამუშაოები შეასრულა. გარდა ამისა, მიმდინარე წელს სამეწარმეო საქმიანობით თურქმენეთის მიმართ გასტუმრებული ვალიდან 10 მილიონი აშშ დოლარი სს "ქართულმა შაქარმა", ხოლო 1 მილიონ 600 ათასი - "თი ჯი თრეიდმა" გადაიხადა. დღემდე თურქმენეთის ვალის გასტუმრების დინამიკას "24 საათი" დიაგრამის სახით გთავაზობთ.

## სახელმწიფო გარანტიით მიღებული კრედიტები

*კერძო კომპანიების მიერ ვალების სახელმწიფო გარანტიით აღების მავნე პრაქტიკა საქართველოში დღეს, პრაქტიკულად, თითქმის აღმოფხვრილია, თუმცა 90-იან წლებში სესხის ეს ფორმა საკმაოდ გავრცელებული გახლდათ. - საქართველოს სახელმწიფო საკმაოდ აქტიურად უდგებოდა "თავდებად" სხვადასხვა კერძო სუბიექტებს, რომელთაგანაც ბევრმა, ცხადია, ამ "ნდობით", ანუ "გარანტიით" ბოროტად ისარგებლა. სამაგალითოდ თუნდაც 1998 წლისთვის "თბილუნივერსალბანკის" ირგვლივ ატეხილი სკანდალიც კმარა, როცა მაშინდელმა ფინანსთა მინისტრმა ნოღაიდელმა ბანკის კრედიტის ბიუჯეტით გასტუმრებაზე უარი თქვა. საინტერესოა, რომ თავის დროზე სახელმწიფო გარანტად დაუდგა კერძო კომპანიების მიერ აღებულ დაახლოებით 70 მილიონ აშშ დოლარს და 45,6 მილიონ ევროს. დღეისთვის სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტის მოცულობა 89.469.000 ამერიკული დოლარია. სამართლიანობისთვის აქვე უნდა ითქვას, რომ კრედიტების მიმღებთა დიდი ნაწილი დღეს თავის ვალებს თავად ემსახურება.*

**სახელმწიფოს გარანტიით აღებული კრედიტები**

| [illegible] | წყარო | ვალუტა | ოდენობა | ათვისებული |
|---|---|---|---|---|
| [illegible] | EBRD | USD | 38,750,000 | 12,156,370 |
| [illegible] | EBRD | USD | 18,100,000 | 18,094,202 |
| [illegible] | EBRD | USD | 3,000,000 | 3,000,000 |
| [illegible] | EBRD | USD | 3,000,000 | 2,435,000 |
| [illegible] | EBRD | USD | 1,000,000 | 1,000,000 |
| [illegible] | EBRD | USD | 2,000,000 | 1,836,400 |
| [illegible] | EBRD | USD | 3,000,000 | 2,678,308 |
| [illegible] | EBRD | USD | 11,000,000 | 10,999,876 |
| [illegible] | EBRD | EUR | 20,000,000 | 19,984,318 |
| [illegible] | KFW | EUR | 3,323,197 | 3,323,197 |
| [illegible] | KFW | EUR | 10,225,837 | 10,147,389 |
| [illegible] | KFW | EUR | 5,112,918 | 5,106,918 |
| [illegible] | KFW | EUR | 6,646,794 | 6,646,794 |
| [illegible] | KFW | EUR | 20,451,675 | 20,451,675 |

## ექსპერტები

*პარიზის კლუბი დღეს მხოლოდ 200 მილიონი აშშ დოლარის რესტრუქტურიზების ბედს გადაწყვეტს. თუმცა, 200 მილიონი მხოლოდ წვეთია იმ საგარეო ვალში, რომლის დაგროვებაც საქართველოს სახელმწიფომ დამოუკიდებლობის წლებში "მოახერხა". დღეს საქართველოს მევალეებს შორის არის როგორც დიდი საფინანსო ინსტიტუტები, ასევე 15 სახელმწიფო - რუსეთით და აშშ-თი დაწყებული, და ჩვენი მეზობელი სომხეთითა და აზერბაიჯანით დასრულებული. საქართველოს საგარეო ვალის საერთო რაოდენობა, 31 ივნისის მონაცემებით, 1 მილიარდ 821 აშშ დოლარს შეადგენს. ცხადია, ამ ვალების ხარჯვასთან დაკავშირებით არსებობს ბევრი შეკითხვა, რომლებზე პასუხის გაცემაც, ძირითადად, მაკონტროლებელი ორგანოების პრეროგატივაა. დღეს კი "24 საათის" შეკითხვებს, ვალების ხარჯვის მიზნობრიობასა და ახალი ვალების აღების მიზანშეწონილებასთან დაკავშირებით, ეკონომიკის ექსპერტების პასუხობენ:*

**ნიკო ორველაშვილი (ეკონომიკური ექსპერტი)**: წინა წლებში აღებული თანხები პირდაპირი მნიშვნელობით განიავდა და დროა, ამას ბოლო მოეღოს. ვალი ქვეყანამ მხოლოდ გამოუვალ შემთხვევებში უნდა აიღოს. ასევე, ვალის აღების პროცედურა სრულიად გამჭვირვალე უნდა იყოს, ხოლო აუდიტი პერიოდულად უნდა ტარდებოდეს და ყველაფერ ამას შეფასება ეძლეოდეს. დონორების დახმარებას როგორ შეიძლება ცუდი ვუწოდოთ, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში, ეს ასეა. ამან მორალურად გარყვნა საზოგადოება, განსაკუთრებით კი - მმართველი ელიტა. თუ უცხოური პროგრამებით განხორციელებულ დახმარებებს ანალიზს გავუკეთებთ, მათ დახმარებები ძალიან პირობითად შეიძლება ვუწოდოთ. ამ ე.წ. დახმარებების დაახლოებით 80 პროცენტი საქართველოში არც შემოდიოდა, პირდაპირ ხელფასებად, ჰონორარებად და ა.შ. ირიგებდნენ. რატომ ერქვა ამას დახმარება, გაურკვეველია. ჩემი აზრით, "პარიზის კლუბი" ვალების გადახდის თარიღს წელსაც გადაგვივადებს, ეს კი, პირველ რიგში, საქართველოსადმი კარგი დამოკიდებულებით, ჩვენდამი დახმარების სურვილით აიხსნება. რეალობა კი სულ სხვაა. ამით ე.წ. დონორ ორგანიზაციებს საქართველოში თავისი ყოფნის გახანგრძლივების საშუალება მიეცემათ. ისინი, საქართველოს დახმარების დროშით, საკუთარ თავს და საკუთარ ბიუროკრატიას დაეხმარებიან. იმ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო კრედიტების ხარჯვა გამჭვირვალეა და შედეგზე ორიენტირებული, როგორც წესი, დონორი ორგანიზაციების ოფისები თავს ასე კომფორტულად ვერ გრძნობენ, საქართველოში კი მათი უმრავლესობა გასართობად დაიარება.

**შოთა გვენეტაძე (პარლამენტარი)**: აქამდე, "პარიზის კლუბთან" ურთიერთობა შეიძლება დადებითად შეფასებულიყო, მაგრამ წინა მთავრობის დროს იყო პერიოდი, როცა საერთოდ აღარ აინტერესებდათ საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი ვალდებულებები, მათ შორის, "პარიზის კლუბის მიმართ. ასეთ სიტუაციაში, მივიღებდით თუ არა რევოლუციამდე ვალების რესტრუქტურიზაციის გარანტიას, ვერავინ იტყოდა. ახლა კი სიტუაცია სხვაგვარია. ის დათმობები, რაც ჩვენ ამ კლუბთან გვქონდა, ცალმხრივი არასოდეს არ ყოფილა, საქმე ორმხრივ მოლაპარაკებებთან გვქონდა. ვალების აღება ციკლური პროცესია და არა ერთჯერადი. ვთქვათ, ახლა გარკვეული ვალების რესტრუქტურიზაცია მოხდა, შემდეგ წელს სხვა ვალების გადავადება მოხდება. ასეთი დახმარებები საქართველოს, რასაკვირველია, შემდგომშიც დასჭირდება.

**გიორგი ლალიაშვილი (ეროვნული ბანკი)**: "პარიზის კლუბის" დახმარება ჩვენთვის ძლიერ მნიშვნელოვანია. ეს, პირველ რიგში, ბიუჯეტისთვის ტვირთის შემსუბუქებაა. მე ამ კლუბთან ურთიერთობას ნაწილობრივ დადებითად ვაფასებ. როგორც ვიცი, წელს "პარიზის კლუბთან" მთავარი წინაპირობა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან საფინანსო პროგრამის აღდგენა იყო. შედეგი მიღწეულია - პროგრამა აღდგენილი და ხელმოწერილია, აქედან გამომდინარე, პრობლემებსაც არ უნდა ველოდოთ. უნდა აღვნიშნო, რომ საგარეო ვალის აღება ქვეყნის ეროვნულ კურსზე არანაირად არ მოქმედებს. ვალუტის კურსთან ვალებს არანაირი კვეთა არ აქვს. არის დახმარებების კატეგორია, რომლის აღებაც ქვეყანამ უნდა შეწყვიტოს და არის ისეთიც, რომლის მიღებაც საქართველომ უნდა განაგრძოს. სამომავლოდ როგორ მოიქცევა ხელისუფლება, ამაზე შესაბამისი სიტუაციის მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ.

*ჩაიწერა დიანა ჩაჩუამ*

## მთავარი მევალე - ხალხი

**დათო პაიჭაძე (ჟურნალისტი)**: სახელმწიფოს მიერ აღებული საგარეო ვალები, რა თქმა უნდა, არამიზნობრივად გამოიყენებოდა. თუმცა, მთლიანობაში ვერ გავიზიარებ იმ აზრს, რომ მთელი კრედიტები ჩინოვნიკების საკეთილდღეოდ დაიხარჯა. ცხადია, მათ ბევრი მოიპარეს, მაგრამ ისიც ნათელია, რომ კრედიტების ნაწილი ნამდვილად ქვეყნის საკეთილდღეოდ დაიხარჯა. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ეს ქვეყანა, ასე თუ ისე, არსებობს და არ გამქრალა. ცხადია, საქართველოს კიდევ მოუწევს მსგავსი ვალების აღება, განურჩევლად იმისა, გვინდა ჩვენ ეს თუ არა. სასურველია, რომ ვალი ნაკლები გვქონდეს, მაგრამ საქართველოსნაირ ქვეყანას ეს არ გამოუვა, უახლოეს წლებში მაინც. ამ ხელისუფლების შემყურეს მგონია, რომ მომავალში ფულის ისეთ უნამუსო ფლანგვას, რასაც ადრე ჰქონდა ადგილი, ვეღარ ვნახავთ.

**ვახო ბაბუნაშვილი (მუსიკოსი)**: ჩემი აზრით, ის ვალები, რომლებსაც ჩვენ ვიღებდით, არამიზნობრივად და პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად გამოიყენებოდა. მე, რა თქმა უნდა, სურვილი მაქვს ჩვენი ქვეყანა ისე განვითარდეს, რომ საგარეო ვალები აღარ დაგვჭირდეს, მაგრამ ეს, ალბათ, მხოლოდ მომავალში გველირსება. მე ვერ წარმომიდგენია, ქვეყნის დანგრეული ეკონომიკა ისე აღდგეს, რომ დახმარება არ დასჭირდეს. ვალი უნდა ავიღოთ, მაგრამ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ ამ ვალების გასტუმრება მომავალ თაობებს არ გადავაბაროთ.

**ნოდარ ანდღულაძე (მომღერალი)**: ვალები დანიშნულებისამებრ აშკარად არ გამოიყენებოდა. თუ კარგად ვიმუშავებთ, რაღაც პერიოდის მერე ამ დახმარებების გარეშე ცხოვრებას შევძლებთ. შემდგომში უნდა ავიღოთ თუ არა ვალები, ალბათ, სხვადასხვა შესაბამის გარემოებებზე იქნება დამოკიდებული.

**დათო ოქიტაშვილი (მერიის კულტურის, სპორტის და ტურიზმის საქალაქო სამსახურის უფროსი)**: იმედია, ის, რაც ხდებოდა წინა მთავრობის დროს, ახლა აღარ განმეორდება. ახლა სხვა რეალობა მოვიდა და ხალხის საკეთილდღეოდ გამოყოფილი თანხები არავის შერჩება. ჩვენ გარდამავალი ეტაპის ქვეყნად ვითვლებით და ამიტომ, უახლოეს მომავალში მაინც იქნება საჭირო გარკვეული დამხმარე თანხები. ქვეყანაში ეკონომიკა აშკარად ფეხზე წამოდგომას იწყებს. თუმცა, სახელმწიფო ვერ იარსებებს, თუ მისი არსებობა გრანტებზე იქნება დამოკიდებული. ვფიქრობ, რომ ასეთი სიტუაცია შეიძლება რამდენიმე წელი გაგრძელდეს. რაც შეეხება "პარიზის კლუბს, საქართველოს ურთიერთობას მასთან საკმაოდ დადებითად შევაფასებ.

**მარინა ღუდუშაური (ღუდუშაურის კლინიკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი)**: როგორც კლინიკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, სადაც მსოფლიო ბანკის კრედიტი და გრანტია მიღებული, ვაცხადებ, რომ ყველაფერი ადგილზეა. ანუ, კერძოდ ჩვენს შემთხვევაში ვალის აღების პრაქტიკამ გაამართლა. აიღოს თუ არა მომავალში ვალი ქვეყანამ, ეს უკვე ხელისუფლების განსასაზღვრია. მაგრამ თანხები იმ გაანგარიშებით უნდა იქნეს მიღებული, რომ მისი გასტუმრება შესაძლებელი იყოს.

*ჩაიწერა დიანა ჩაჩუამ*

## დიკ ჩეინის ყოფილი კომპანია ბიზნესს ირანში ეწევა?

თორნიკე შარაშენიძე

აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის, დიკ ჩეინის ყოფილი კომპანია "ჰელიბერტონი" ახალ სკანდალში გაეხვა. "ჰელიბერტონს" ამჟამად ბრალად ედება ირანთან ფარული თანამშრომლობა, ანუ თანამშრომლობა ქვეყანასთან, რომლის წინააღმდეგაც ამერიკული სანქციები მოქმედებს. არსებობს ეჭვი, რომ დიკ ჩეინის ყოფილი კომპანია ირანში კაიმანის კუნძულებზე (ოფშორული ზონა) დარეგისტრირებული თავისი შვილობილი ფირმის მეშვეობით მოღვაწეობდა. აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ უკვე მოითხოვა ამ ფირმის მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტაცია. თუკი გავითვალისწინებთ, რომ პარალელურად, "ჰელიბერტონის" ერაყული და ნიგერიული საქმიანობის შესახებ გამოძიება მიმდინარეობს, ცხადი გახდება, რომ კომპანიას საქმე არც ისე კარგად აქვს.

სკანდალი "ჰელიბერტონის" გარშემო რამდენიმე თვის წინ დაიწყო, როცა ეს კომპანია აშშ-ს შეიარაღებული ძალებისათვის საწვავის ზედმეტ ფასში მიყიდვაში დაადანაშაულეს. პენტაგონიდან წარგზავნილი აუდიტორები აცხადებენ, რომ "ჰელიბერტონმა" ამ უკანონო ოპერაციით ამერიკულ არმიას ნორმაზე 61 მილიონი დოლარით მეტი გადაახდევინა. ჯერჯერობით, კომპანიას მხოლოდ იმაში ედება ბრალი, რომ ნავთობისათვის იგი ადგილობრივ ქვე-კონტრაქტორს ზედმეტს უხდის.

მაგრამ პენტაგონთან დაახლოებული წყაროები ირწმუნებიან, რომ ეს უწყება "ჰელიბერტონის" ერაყში მოღვაწეობით საკმაოდ შეშფოთებულია. კერძოდ, არის ინფორმაცია, რომ კომპანია 67 მილიონით მეტის გადახდას აპირებდა სხვა კონტრაქტში, რომელიც საკვებით უზრუნველყოფას შეეხება.

ეს ფაქტები პრეზიდენტ ბუშისათვის ნამდვილად უდროო დროს ამოტივტივდა, იმის გათვალისწინებით, რომ იგი ბოლო ხანს ერაყის გამო სერიოზული კრიტიკის სამიზნედ იქცა. აღსანიშნავია, რომ "ჰელიბერტონის" ერაყული საქმიანობის შესახებ განგაში დემოკრატმა კონგრესმენებმა ატეხეს.

"ჰელიბერტონი" ერაყული აღმშენებლობის პიონერია. მისი ქვეყანაში დაშვება, პრაქტიკულად, ჯერ კიდევ მაშინ მოხდა, სანამ მოკავშირეთა ჯარები ბაღდადს აიღებდნენ. ჯერჯერობით, "ჰელიბერტონის" ირანულ მოღვაწეობაზე ცნობილი ბევრი არაფერია. წლიური ანგარიშის მიხედვით, კაიმანის კუნძულებზე დარეგისტრირებული ფირმის ოპერაციებით კომპანია არც ისე ბევრს იგებს (0,5 პროცენტი 16.3-მილიარდიანი შემოსავლიდან). "ჰელიბერტონი" ირწმუნება, რომ მას კანონი არ დაურღვევია, მაგრამ კაიმანის კუნძულებზე ფირმის დარეგისტრირება უკვე საკმაოდ საჩოთირო საკითხია და საარჩევნო ბატალიებში ამას დიდი ყურადღება დაეთმობა, მით უმეტეს, თუკი ოფშორული ზონის მეშვეობით ირანში ოპერაციები მართლაც ხორციელდებოდა. აშშ ხომ ამ ქვეყანასთან საქმიან ურთიერთობებს ყველას უკრძალავს.

## სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო "შავი სიის" გამოქვეყნებას აპირებს

*სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ახალი ხელმძღვანელი გიორგი მელაძე აპირებს, პროკურატურას გადასცეს იმ საწარმოთა და სახელმწიფო მოხელეთა სია, რომლებიც მის "შავ სიაში" მოხვდება.*

გიორგი თუხარელი

რა არის ეს "შავი სია"? როგორც გიორგი მელაძემ განგვიმარტა, იგი სააგენტოს ვებ-გვერდზე განთავსდება და დაინტერესებულ პირებს იმ საწარმოებს და "ჩინოვნიკებს" გააცნობს, რომლებმაც სახელმწიფო უწყებებთან დადებული ხელშეკრულება დაარღვიეს და სახელმწიფო თანხების არარაციონალურ ხარჯვას ხელი შეუწყვეს. მან, აგრეთვე, აღნიშნა, რომ ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების დიდი ნაწილი დღემდე ჩრდილოვანი იყო და მათი ხარჯვა არ კონტროლდებოდა. ამის მიზეზი კი 1999 წლის 1 ივლისს მიღებული კანონის არაეფექტურობა გახლდათ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ყოველწლიურად 250-300 მილიონი ლარის შესყიდვები ხორციელდება, ნათელი ხდება, რა რაოდენობის გაფლანგვაზეცაა საუბარი.

გიორგი მელაძე: **"2 წლის წინ საწარმო "კაბადონმა" დადო ხელშეკრულება საგარეო საქმეთა სამინისტროსთან. ამის შედეგად, მას ვიზების გაცემა ევალებოდა. დარღვეული ხელშეკრულობის გამო კი დაზარალდა მოსახლეობა, მათ ვიზები ვერ მიიღეს. ასევე, სახელმწიფოს ზარალი მიაყენა საფოსტო ბანკმაც. ასე რომ არ გამეორდეს, ჩვენ ყველა მინისტრს, გამგებელს, რწმუნებულს მივმართეთ: თუ მათგან არ იქნება მოწოდებული ანგარიში, სახელმწიფო თანხების მიზნობრივი ხარჯვის შესახებ, გატარდება შესაბამისი მოქმედებები, ჩატარდება ექსპერტიზა და საქმე პროკურატურას გადაეცემა. გარდა ამისა, ჩვენ დახურულ ტენდერს, რომელიც კორუფციის წყაროა, ღია ტენდერით ვცვლით. ეს უკანასკნელი თანაბარი კონკურენციის შექმნის აუცილებელი პირობაა."**

როგორც გავარკვიეთ, ამ ეტაპზე სააგენტოში მიმდინარეობს მიმწოდებელთა რეგისტრაცია. ამის შემდეგ კი ინფორმაცია ნებისმიერი მეწარმის, როგორც მიმწოდებლის შესახებ სააგენტოს ვებ-გვერდზე მოთავსდება და ეს ერთგვარად თანაბარ კონკურენტულ გარემოს შექმნის.

გიორგი მელაძე გვპირდება, რომ თვის ბოლოს საზოგადოებისათვის ცნობილი გახდება "შავი სიის" პირველი "დამამშვენებელნი". თუმცა სავარაუდო სია უკვე არსებობს, მაგრამ, ჯერჯერობით, იგი საჯარო არ არის.

## ეროვნული ზარაფხანა საპრივატიზაციო ნუსხაში აღმოჩენას აპროტესტებს

გიორგი ინასარიძე

ეროვნული ზარაფხანის წარმომადგენელთა და საწარმოთა მართვის სააგენტოს დაპირისპირება გრძელდება. გუშინ საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ეროვნული ზარაფხანის ასამდე თანამშრომელმა მშვიდობიანი საპროტესტო აქცია მოაწყო დევიზით **"მორჩეს საწარმოთა მართვის სააგენტოს აღვირახსნილი პროვოკაცია"**.

**"საწარმოთა მართვის სააგენტომ, ყოველგვარი შეთანხმების და ნებართვის გარეშე, უკანონოდ, ეროვნული ზარაფხანის სამეთვალყურეო საბჭოს სამი თანამშრომელი გაათავისუფლა, მათ შორის - საბჭოს თავჯდომარე გია ხუციბერიძე,"** - განაცხადა ზარაფხანის გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ.

ლორთქიფანიძის თქმით, მათ ადგილზე საწარმოთა მართვის სააგენტომ თვითნებურად დანიშნა ახალი წევრები, რომლებიც **"საბოლოოდ გამოუთხრიან ძირს ეროვნულ ზარაფხანას და გაყიდიან"**.

ზარაფხანის თანამშრომელთა მიმართვის მეორე ადრესატია პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია.

**"მე არ მინდა დავიჯერო, რომ ეს ყველაფერი ბატონი ზურაბის კერძო ინტერესებში შედის და მისი დავალებით ხდება,"** - აღნიშნა დავით ლორთქიფანიძემ. იგი პრემიერ-მინისტრს შეხვედრას სთხოვს და იმუქრება: **"იმ შემთხვევაში, თუ შეხვედრა არ შედგება, მე ვიტყვი ყველაფერს"**. რა დგას "ყველაფრის" უკან, უცნობია. თუმცა ცნობილია, რომ: **"სიმართლე მეტად მტკივნეული იქნება ყველასთვის, მათ შორის, ბატონ ზურაბ ჟვანიასთვის"**.

**"სამეთვალყურეო საბჭოს უკვე ყოფილი თავმჯდომარე გია ხუციბერიძე ამერიკაში საქმიან შეხვედრაზე იმყოფებოდა, როცა გადაყენების ცნობა მიიღო. რა თქმა უნდა, ეროვნული ზარაფხანისათვის მეტად მნიშვნელოვან კონტრაქტზე მუშაობა ჩაიშალა და, შესაძლოა, ხუციბერიძემ პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვოს,"** - დასძინა დავით ლორთქიფანიძემ.

მისივე თქმით, ეროვნულ ზარაფხანას გასხვისებისაგან იცავს 1996 წლის 22 ივლისს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება - **"საქართველოს ეროვნული ზარაფხანის საქმის შესახებ"**. **"აღნიშნული ბრძანებულების თანახმად, ეროვნული ზარაფხანა აღიარებულია საქართველოსათვის მეტად მნიშვნელოვან ობიექტად. არც ერთ ძლიერ ქვეყანაში ზარაფხანა კერძო მფლობელობაში არ არის. ასეთი პრაქტიკა ჩემთვის უცნობია. ჩვენ ყველა კანონიერ გზას მივმართავთ, მით უმეტეს, რომ ყველა კანონი ჩვენს მხარეზეა,"** - აცხადებს დავით ლორთქიფანიძე.

## იუსტიციის სამინისტრომ ეკონომიკური კანონმდებლობის გადახედვა დაიწყო

*იუსტიციის სამინისტრომ, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის მიზნით, სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" ორი დღის წინ დაწყებული მრგვალი მაგიდების სერია გუშინაც გააგრძელა. ამჯერად, განხილვის თემას სააქციო საზოგადოების მარეგულირებელი კანონმდებლობა წარმოადგენდა.*

სოფიკო ოხანაშვილი

იუსტიციის სამინისტროს მიერ წამოწყებულ ინიციატივას - სააქციო საზოგადოებების მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწა - მსოფლიო ბანკის ტექნიკური პროექტის IFC-ის, GTZ-ის, GEPLAC-ის, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების, კერძო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც შეუერთდნენ.

გუშინდელი შეხვედრა ზოგად და გაცნობით ხასიათს ატარებდა. ყველამ აღიარა, რომ სააქციო საზოგადოების მარეგულირებელი კანონმდებლობა სერიოზულ გადახედვას საჭიროებს. შეთანხმდნენ ჯგუფის შექმნაზე, რომლის მუშაობის პროცესშიც სააქციო საზოგადოებების მარეგულირებელ კანონმდებლობებში არსებული ხარვეზები და დასარეგულირებელი საკითხები გამოიკვეთება.

გუშინ არ დაუკონკრეტებიათ, როდის დასრულდება ცვლილებებზე მუშაობა (შეგახსენებთ, რომ სააქციო საზოგადოებების საქმიანობას მეწარმეთა და ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონები არეგულირებს).

იუსტიციის სამინისტროს პარლამენტთან ურთიერთობის, სამართალშემოქმედებისა და სამართლის ჰარმონიზაციის დეპარტამენტის უფროსის დიმიტრი ძაგნიძის განმარტებით, პირველ რიგში, იუსტიციის სამინისტრო სააქციო საზოგადოებების სფეროში სასამართლო პრაქტიკას გადახედავს. სააქციო საზოგადოებების მარეგულირებელი კანონების გადახედვის აუცილებლობას იუსტიციის სამინისტროში საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისა და დასავლურ სტანდარტებთან ჰარმონიზაციაში მოყვანის მიზნით ხსნიან. ცნობისთვის, მეწარმეთა შესახებ კანონი პარლამენტმა 1994 წელს მიიღო, ცვლილებები კი 1999 წელს განიცადა.

IFC-ის პროექტის წარმომადგენლები კონკრეტულ პრობლემებზე საუბრობენ. მათი შეფასებით, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია დაცული იყოს ინვესტორის მიერ ამა თუ იმ ქართულ საწარმოში ჩადებული ინვესტიცია. ასევე, სასურველია უფრო გარკვევით იყოს დარეგულირებული დირექტორატის საქმიანობა, მსხვილი გარიგებების დროს ღია და გამჭვირვალე გახდეს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი. IFC-ის პროექტის წარმომადგენლების მტკიცებით, მეწარმეთა შესახებ კანონი აქციონერთა უფლებების დაცვის კუთხითაც მნიშვნელოვან ხარვეზებს შეიცავს. კერძოდ, არ არის დარეგულირებული სამეთვალყურეო საბჭოში აქციონერების წარმომადგენლების - წევრობის კანდიდატების წამოყენების პროცედურა. გაუმჯობესებას მოითხოვს საერთო კრების გამოცხადებისა და მასზე ხმის მიცემის პროცედურები და ა.შ. **"ერთი მხრივ, საჭიროა შეიქმნას უცხოური კაპიტალისთვის სახარბიელო გარემო და, მეორე მხრივ, ქართული კომპანიები დაცული აღმოჩნდნენ მაკონტროლებელი ინვესტორის მიერ ძალაუფლების უზურპაციისგან,"** - განაცხადა IFC-ის პროექტის მენეჯერის მოადგილემ ირინა გორდელაძემ.

### ს.ს.ი.პ. საქართველოს ტელერადიომაუწყებლობა აცხადებს კონკურს შემდეგ თანამდებობებზე:

**ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამების წამყვანები**

**ფუნქციები და მოვალეობები**
- საინფორმაციო პროგრამის წაყვანა;
- წამყვანის ტექსტის და დიალოგების მომზადება.

**მოთხოვნები**
- ასაკი 25-დან 40 წლამდე;
- სასიამოვნო გარეგნობა;
- სასიამოვნო ხმის ტემბრი;
- ქართული, რუსული, ინგლისური ენების კარგი ცოდნა;
- გამართული სწორი მეტყველება;
- უმაღლესი განათლება (სასურველია ერთზე მეტი სპეციალობა);
- ეთერში მუშაობის გამოცდილება (სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი);
- ორგანიზებულობა;
- კომუნიკაბელობა;
- გუნდური მუშაობის უნარი.

**რადიოს მუსიკალურ-გასართობი და მხატვრულ-კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულებების პროდიუსერები (2 ვაკანსია)**

**ფუნქციები და მოვალეობები**
- შესატყვისი მიმართულების კონცეფციისა და სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობა;
- მიმართულების შესატყვისი პროექტების შერჩევა;
- პროექტების განხორციელების კოორდინაცია, მონიტორინგი და მენეჯმენტი

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები**
- უმაღლესი განათლება შესაბამის სფეროში
- სასურველია დამატებითი განათლება მენეჯმენტში
- სასურველია უცხო ენის ცოდნა
- სასურველია რადიოში მუშაობის გამოცდილება
- სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის გამოცდილება
- ორგანიზებულობა
- კომუნიკაბელობა
- გუნდური მუშაობის უნარი

მსურველებმა უნდა შეავსონ ანკეტები ს.ს.ი.პ. საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის მოქალაქეთა მისაღებში 22 ივლისიდან 6 აგვისტომდე. წამყვანის ვაკანსიის პრეტენდენტებმა დამატებით უნდა მოიტანონ 3 ფოტო (9X13) - პორტრეტი, სამ სხვადასხვა რაკურსში, დასაშვებია მხატვრული ფოტოებიც.

**მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 68**




# პუტინი ჰამბურგის პროფესურამ "ჩაჭრა"

"საპატიო დოქტორის" ხარისხით რუსეთის პრეზიდენტის დაჯილდოების გადაწყვეტილება ჰამბურგის უნივერსიტეტის პრეზიდიუმმა ჯერ კიდევ ზაფხულის დასაწყისში მიიღო. თუმცა, ამ გადაწყვეტილებას მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდა ადგილობრივი 35 პროფესორის სახით, რომლებიც პუტინისთვის მეშვიდე სამეცნიერო ხარისხის მინიჭების გადაწყვეტილებას აპროტესტებენ.

როგორც გერმანული გაზეთი "დი ველტი" იუწყება, საპროტესტო პეტიციას ხელი უკვე 35-მა პროფესორმა მოაწერა. საპროტესტო ნოტის ინიციატორი სოციოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, პოლიტოლოგი მიხაელ გრევენია, რომელიც მხოლოდ სიტყვიერი პროტესტით არ დაკმაყოფილდა.

რეზოლუციაში, რომელიც თვით დეკანმა შეადგინა, ნათქვამია, რომ პრეზიდენტ პუტინისთვის საპატიო დოქტორის ხარისხის მინიჭება შეუძლებელია რამდენიმე მიზეზის გამო. როგორც პეტიციაშია ნათქვამი, პუტინს ეკისრება მთელი პასუხისმგებლობა "ჩეჩნეთში მიმდინარე ომზე, რომელიც საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევაა და მას ყოველდღიურად უამრავი ადამიანი ეწირება მსხვერპლად". გარდა ამისა, "პუტინს რეგიონული სტაბილურობის ხელშეწყობა არ შეუძლია". პეტიციაში ასევე ხაზგასმულია, რომ კგბ-ს ყოფილი ოფიცრის მმართველობისას "რუსეთის ახალგაზრდა დემოკრატია სულ უფრო მეტად ემსგავსება ავტორიტარულ რეჟიმს, რასაც ქვეყანაში პირდაპირ პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ მასმედიაზე განხორციელებული ზეწოლაც ადასტურებს".

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობისა, პრეზიდენტ პუტინის ბიოგრაფიის სამეცნიერო ხარისხებით გამრავალფეროვნების მომხრეთა რაოდენობა ჰამბურგის უნივერსიტეტში არცთუ ისე მცირეა.

ოფიციალური განცხადების თანახმად, პუტინი დაჯილდოებულ უნდა იქნეს "სანკტ-პეტერბურგის საბაზრო ეკონომიკური გზით განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის". პუტინის ოფიციალურ ბიოგრაფიაში წერია, რომ იგი არის ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. 1997 წელს სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე "საბაზრო ურთიერთობების ფორმირების პირობებში რეგიონის მინერალური ნედლეულის ბაზის წარმოების სტრატეგიული დაგეგმვა".

დაჯილდოების იდეა შემთხვევითი სულაც არ არის. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ სანკტ-პეტერბურგი და ჰამბურგი პარტნიორი-ქალაქები არიან და, მეორეც, უნივერსიტეტის რექტორატის გადაწყვეტილება უფრო თავაზიანობის ჟესტს ჰგავს. შარშან ანალოგიურ ფორუმზე, სანკტ-პეტერბურგში, ვლადიმირ პუტინმა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის მეცნიერებთან ერთად საპატიო დოქტორის ხარისხი გერმანიის კანცლერ გერჰარდ შრიოდერს მიანიჭა. გარდა ამისა, შრიოდერს შანხაის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ხარისხიც აქვს მინიჭებული.

ჰამბურგის უნივერსიტეტის გეგმის თანახმად, პუტინისთვის საპატიო დოქტორის ხარისხის მინიჭების ცერემონია შემოდგომაზე უნდა ჩატარებულიყო, რაც ემთხვეოდა ჰამბურგში სამოქალაქო საზოგადოების თემაზე დაგეგმილ გერმანულ-რუსულ ფორუმს, რომელიც "პეტერბურგის დიალოგის" სახელით არის ცნობილი. ამ ფაქტმა გრევენისა და მისის თანამოაზრეების გაღიზიანება გამოიწვია.

სამეცნიერო საბჭოს მისამართით გაგზავნილ წერილში გრევენი ასეთ დამთხვევას "ბოროტ პოლიტიკურ ცინიზმს" უწოდებს. "დი ველტთან" ინტერვიუში პროფესორმა ხაზგასმით აღნიშნა იმ ორმაგი სტანდარტების არსებობა, რომელსაც მმართველი გერმანული კოალიცია (მას გრევენი "წითელ-მწვანეს" უწოდებს) ჩინეთსა და რუსეთთან მიმართებაში იყენებს. გერჰარდ შრიოდერის პოლიტიკა ვერ ნიღბავს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის იოშკა ფიშერის გამოსვლებს, რომლებშიც იგი ჩინეთისა და რუსეთის წარმომადგენლებს ადამიანის უფლებების დარღვევას საყვედურობს. პროფესორ გრევენის სიტყვებით, ასეთი "პოლიტიკური ცინიზმის გამართლება შეუძლებელია".

გერმანელი პოლიტოლოგის აზრით, მოკლევადიან პერსპექტივაში ამგვარი მიდგომა შესაძლოა ეკონომიკური თვალსაზრისით მომგებიანი იყო, მაგრამ საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში ასეთი პოლიტიკური ხაზი იმ ნდობას უთხრის საფუძველს, რომელზეც პოლიტიკის შენება ხდება.

ისეთი ცინიკური სახელის მქონე ინიციატივას, როგორიცაა "პეტერბურგის დიალოგი", თამაშის წესებიც ირონიულობამდე პრიმიტიული აქვს, რადგან გერმანული მხარე გერმანიაში არსებულ სამოქალაქო საზოგადოებაზე საუბრობს, ხოლო რუსული მხარე - რუსეთში არსებულ სამოქალაქო საზოგადოებაზე. თუმცა, ამ ე.წ. ფორუმებზე არავინ სვამს უხერხულ კითხვას: არსებობს კი რეალურად რუსეთში სამოქალაქო საზოგადოება? "ერთი რამ უდავოა, აუცილებელია რუსეთ-გერმანიის პოლიტიკაში მორალური პრინციპების დაბრუნება", - მიიჩნევს გერმანელი პოლიტოლოგი.

როგორც ცნობილია, პუტინს უკვე ექვსი საპატიო ხარისხი აქვს. 2000 წლის 13 იანვარს პუტინს სანკტ-პეტერბურგის იურიდიული ფაკულტეტის საპატიო დოქტორის ხარისხი მიანიჭეს. ნახევარი თვის შემდეგ კი (2000 წლის 29 იანვარი), იგი სამხედრო-სამედიცინო აკადემიის საპატიო დოქტორი გახდა. იმავე წლის მაისში თურქმენეთის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის საპატიო დოქტორის ხარისხი პუტინს თურქმენბაშმაც მიანიჭა. იმავე პერიოდში მიანიჭეს რუსეთის პრეზიდენტს ანალოგიური ხარისხები ჯავახარლალ ნერუს, ბაქოს სლავურმა და ლევ გუმილიოვის სახელობის უნივერსიტეტებმა. გარდა ამისა, პრეზიდენტი "გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაციონალური სახალხო არმიის წინაშე დამსახურების გამო", აღმოსავლეთ-გერმანული საპატიო მედლისა და საბჭოური "ღირსების ორდენის" მფლობელია, აგრეთვე, ძიუდოს კლუბის "იავარ-ნევასა" და სანკტ-პეტერბურგის ძიუდოს ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი.

ამდენად, მოემატება თუ არა რუსეთის პრეზიდენტს კიდევ ერთი სადოქტორო ხარისხი, ძნელი სათქმელია. პუტინს საპატიო დოქტორის ხარისხის მინიჭებისას არც ერთ შემთხვევაში ამდენი წინააღმდეგობა დღემდე არ შეხვედრია.

*24 საათი*



REUTERS

*პუტინისთვის ჰამბურგის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ხარისხის მინიჭების გადაწყვეტილებას ამავე უნივერსიტეტის 35 პროფესორი აპროტესტებს*

# ნატო სერბეთსა და ჩერნოგორიას მოთხოვნებს უყენებს

"მშვიდობისათვის პარტნიორობის" პროგრამაში სერბეთისა და ჩერნოგორიის მიღების ძირითად პირობებს ჰააგის ტრიბუნალთან თანამშრომლობა, ომის დანაშაულებში ბრალდებული ყველა პირის ტრიბუნალისთვის გადაცემა და 1999 წელს იუგოსლავიის დაბომბვაში ნატო-ს წინააღმდეგ ევროპის იუსტიციის სასამართლოში შეტანილი სარჩელის გამოტანა წარმოადგენს. სწორედ ამის შესახებ განაცხადა ორი დღის წინ ბელგრადში ჩასულმა ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰუპ სხეფერმა. სხეფერი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივნის პოსტის დაკავების შემდეგ ოფიციალური ვიზიტით სერბეთსა და ჩერნოგორიაში პირველად იმყოფება.

სერბეთისა და ჩერნოგორიის პრეზიდენტთან, სვეტოზარ მაროვიჩთან შეხვედრის შემდეგ იაპ დე ჰუპ სხეფერმა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ "ბელგრადის ჰააგის ტრიბუნალთან თანამშრომლობის გაღრმავების დიდი იმედი აქვს". სიტყვებით, "არავის აქვს უფლება ხალხი მძევლად ჰყავდეს აყვანილი და თავს უდანაშაულოდ მიიჩნევდეს", ნატო-ს გენერალურ მდივანს სერბეთისა და ჩერნოგორიის პრეზიდენტიც დაეთანხმა. როგორც ცნობილია, ტრიბუნალი რატკო მლადიჩის გადაცემას მოითხოვს, რომელიც შესაძლოა თავს ისევ სერბეთისა და ჩერნოგორიის ტერიტორიას აფარებდეს. თუმცა, ნატო-ს გენერალურმა მდივანმა მლადიჩის ადგილსამყოფელის შესახებ ნატო-ს ინფორმაციის კომენტარისაგან თავი შეიკავა.

ნატო-ს გენერალური მდივნის განცხადებით, ალიანსი ბალკანეთში სტაბილური გარემოს შექმნით და "პარტნიორობა მშვიდობისათვის" და სხვა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სერბეთისა და ჩერნოგორიის შეერთებითაა დაინტერესებული.

სერბეთ-ჩერნოგორია, ყოფილი იუგოსლავიის ფედერაციის სამართალმემკვიდრე, სუსტი კავშირების მქონე გაერთიანებაა, რომელშიც ოფიციალურად ორი რესპუბლიკა - სერბეთი და ჩერნოგორია (იგივე მონტენეგრო), და ორი ავტონომიური პროვინცია - კოსოვო და ვოევოდინა შედის.

## ორი სიტყვით

**უკრაინა.** დონეცკის ოლქში, ქვანახშირის მაღაროში კიდევ ერთი კატასტროფა დაფიქსირდა, რომელმაც 31 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. უკრაინის ვიცე-პრემიერმა ანდრეი კლიუევმა ბრიფინგზე განაცხადა, რომ სახელმწიფო კომპანიის მფლობელობაში მყოფ "კრასნოლიმინსკაია"-ს მაღაროში ორშაბათს დილით მეთანის აფეთქება მოხდა. მომხდართან დაკავშირებით სახელმწიფო საგამოძიებო კომისია შეიქმნა. უკრაინის ვიცე-პრემიერის სიტყვებით, მაღაროში ხანძრით გამოწვეული დიდი ტემპერატურის და კვამლის გამო, დაღუპულთა გვამების ამოტანა ვერ ხერხდება. უკრაინის ქვანახშირის მაღაროები, უბედური შემთხვევების მხრივ, მსოფლიოში ყველაზე საშიშ ადგილად ითვლება. უბედური შემთხვევების გამო, ყოველწლიურად, საშუალოდ 300-400 მაღაროელი იღუპება. ექსპერტების აზრით, უკრაინისათვის ქვანახშირის იმპორტირება უფრო იაფი დაჯდებოდა, ვიდრე საკუთარი მაღაროების ექსპლუატაცია. მსოფლიო ბანკის რეკომენდაციით უკრაინამ მოქმედი 220 მაღაროდან თითქმის ნახევარი უნდა დახუროს. **24 საათი**

■ ■ ■

**ირანი.** ირანის ისპაჰანის პროვინციის მართლწესრიგის დაცვის ძალებმა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე მუსიკის მოსმენა აკრძალეს. აღსანიშნავია, რომ ისპაჰანის პროვინცია ისლამური რესპუბლიკის ერთ-ერთ უდიდეს ტურისტულ ცენტრად ითვლება. "დღეიდან ირანის კულტურისა და ისლამური ორიენტაციის სამინისტროს ნებართვის გარეშე აკრძალულია მუსიკის მოსმენა სტუმრების მისაღებ დარბაზებში, შეკრებებზე, საზოგადოებრივ ტრანსპორტში და სხვა მასობრივი თავშეყრის ადგილებზე", - ნათქვამია მართლწესრიგის დაცვის ძალების მიერ გაკეთებულ განცხადებაში. გარდა ამისა, საზოგადოებრივ ადგილებში ქალებს ისლამური ნორმებისათვის მიუღებელი ტანისამოსის ტარება ეკრძალებათ. **ნიუს.რუ**


# განცხადება

## საქართველოს თავდაცვის სამინისტრო პირადი შემადგენლობის სურსათით უზრუნველყოფის მიზნით კვების პროდუქტების შესყიდვაზე აცხადებს ღია ტენდერს

**შესყიდვის ობიექტი:**

| N | პროდუქციის დასახელება | ზომის ერთ. | რაოდენობა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1. | [illegible] | | | მიწოდება: |
| | ლოტი N1 | კგ. | 232 000 | ქ. თბილისი |
| | ლოტი N2 | კგ. | 48 400 | ქ. ქუთაისი |
| | ლოტი N3 | კგ. | 39 600 | [illegible] |
| | ლოტი N4 | კგ. | 22 000 | [illegible] |
| | ლოტი N5 | კგ. | 29 100 | [illegible] |
| | ლოტი N6 | კგ. | 6 000 | [illegible] |
| | ლოტი N7 | კგ. | 20 000 | [illegible] |
| | ლოტი N8 | კგ. | 4 000 | [illegible] |
| | ლოტი N9 | კგ. | 1 500 | [illegible] |
| 2. | [illegible] | | | მიწოდება: |
| | ლოტი N1 | კგ. | 198 600 | ქ. თბილისი |
| | ლოტი N2 | კგ. | 41 200 | ქ. ქუთაისი |
| | ლოტი N3 | კგ. | 33 700 | [illegible] |
| | ლოტი N4 | კგ. | 18 700 | [illegible] |
| | ლოტი N5 | კგ. | 25 000 | [illegible] |
| | ლოტი N6 | კგ. | 5 100 | [illegible] |
| | ლოტი N7 | კგ. | 17 000 | [illegible] |
| | ლოტი N8 | კგ. | 3 400 | [illegible] |
| | ლოტი N9 | კგ. | 1 300 | [illegible] |
| 3. | [illegible] | კგ. | 8 000 | ქ. თბილისი |
| 4. | [illegible] | კგ. | 28 000 | ქ. თბილისი |
| 5. | [illegible] | კგ. | 32 000 | ქ. თბილისი |
| 6. | [illegible] | კგ. | 29 986 | ქ. თბილისი |
| 7. | [illegible] | | | |
| | ლოტი N1 | კგ. | 23 000 | ქ. თბილისი |
| | ლოტი N2 | კგ. | 23 000 | ქ. თბილისი |
| | ლოტი N3 | კგ. | 23 000 | ქ. თბილისი |
| | ლოტი N4 | კგ. | 11 000 | [illegible] |
| | ლოტი N5 | კგ. | 20 000 | ქ. ქუთაისი |
| 8. | [illegible] | | | |
| | ლოტი N1 | კგ. | 23 000 | ქ. თბილისი |
| | ლოტი N2 | კგ. | 23 000 | ქ. თბილისი |
| | ლოტი N3 | კგ. | 23 000 | ქ. თბილისი |
| | ლოტი N4 | კგ. | 11 000 | [illegible] |
| | ლოტი N5 | კგ. | 20 000 | ქ. ქუთაისი |
| 9. | [illegible] | | | |
| | ლოტი N1 | კგ. | 59 520 | ქ. თბილისი |
| | ლოტი N2 | კგ. | 20 400 | [illegible] |
| | ლოტი N3 | კგ. | 10 080 | ქ. ქუთაისი |
| 10. | [illegible] | კგ. | 40 000 | ქ. თბილისი |
| 11. | [illegible] | კგ. | 12 000 | ქ. თბილისი |
| 12. | [illegible] | კგ. | 13 380 | ქ. თბილისი |
| 13. | [illegible] | კგ. | 48 000 | ქ. თბილისი |
| 14. | [illegible] | კგ. | 46 000 | ქ. თბილისი |
| 15. | [illegible] | კგ. | 16 000 | ქ. თბილისი |
| 16. | [illegible] | [illegible] | 16 000 | ქ. თბილისი |
| 17. | [illegible] | კგ. | 4 000 | ქ. თბილისი |
| 18. | [illegible] | კგ. | 14 667 | ქ. თბილისი |
| 19. | [illegible] | [illegible] | 34 800 | ქ. თბილისი |
| 20. | [illegible] | კგ. | 13 333 | ქ. თბილისი |
| 21. | [illegible] | კგ. | 20 000 | ქ. თბილისი |
| 22. | [illegible] | [illegible] | 1 733 | ქ. თბილისი |
| 23. | [illegible] | კგ. | 400 | ქ. თბილისი |
| 24. | [illegible] | კგ. | 573 | ქ. თბილისი |

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ იურდიულ და ფიზიკურ პირს.

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2004 წლის განმავლობაში შემსყიდველის მიერ ყოველთვიურად წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, **DDP** პირობით თავდაცვის სამინისტროს რეგიონალურ ბაზებში, ან სამხედრო ნაწილებში სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ მისამართებზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ქართულ ენაზე თარგმანი) შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 0177, უნივერსიტეტის ქ. N2ა, თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N609, 2 აგვისტოდან 4 აგვისტოს 16 საათამდე.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

■ ცნობას ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა; (უცხო ქვეყნის მოქალაქეებიის მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან).

■ ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია; (უცხო ქვეყნის მოქალაქეებიის მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან)

■ ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით; (უცხო ქვეყნის მოქალაქეებიის მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან)

**ფიზიკური პირებისათვის:**

■ ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედითუნარიანია.

■ ცნობა, შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ და სამსახუროებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის.

■ ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების საქმის წარმოება.

დამატებითი მოთხოვნები: ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან).

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებული იქნება პრეტენდენტად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის (ხუთასი ლარი) გადახდის შემდეგ, 9 აგვისტოდან 11 აგვისტოს 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქN2ა, თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტი. ოთახი N609.

პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება უნდა შედგეს ცალკეული ლოტების მიხედვით. შეფასება მოხდება ლოტების მიხედვით. სატენდერო წინადადება შეიძლება შეიცავდეს ერთ ან რამოდენიმე ლოტს.

ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

დასაშვებია ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენა.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების მიზნით გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი. დეტალური ინფორმაცია გარანტიის პირობების შესახებ მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირებს - ნუგზარ ღონიაშვილს ან გაიოზ მენთეშაშვილს. (ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქN2ა, თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტი. ოთახი N610, N609) ტელ: 294-384.

# განცხადება

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო პირადი შემადგენლობის სურსათით უზრუნველყოფის მიზნით სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვაზე აცხადებს ღია ტენდერს.

**შესყიდვის ობიექტი:**

| N | პროდუქციის დასახელება | ზომის ერთ. | რაოდენობა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| | | | | მიწოდება: |
| 1. | [illegible] | კგ. | 20 000 | ქ. თბილისი |
| 2. | [illegible] | კგ. | 16 000 | ქ. თბილისი |
| 3. | [illegible] | ცალი | 311 536 | ქ. თბილისი |
| 4. | [illegible] | კგ. | 12 000 | ქ. თბილისი |
| 5. | [illegible] | | | |
| | ლოტი N1 | კგ. | 8 000 | ქ. თბილისი |
| | ლოტი N2 | კგ. | 8 000 | ქ. თბილისი |
| 6. | [illegible] | | | |
| | ლოტი N1: [illegible] | კგ. | 58 400 | ქ. თბილისი |
| | [illegible] | კგ. | 17 520 | ქ. თბილისი |
| | [illegible] | კგ. | 27 740 | ქ. თბილისი |
| | [illegible] | კგ. | 40 880 | ქ. თბილისი |
| | [illegible] | კგ. | 3 200 | ქ. თბილისი |
| | [illegible] | კგ. | 4 380 | ქ. თბილისი |
| | [illegible] | კგ. | 2 920 | ქ. თბილისი |
| | ლოტი N2: [illegible] | კგ. | 21 600 | ქ. ქუთაისი |
| | [illegible] | კგ. | 6 480 | ქ. ქუთაისი |
| | [illegible] | კგ. | 10 260 | ქ. ქუთაისი |
| | [illegible] | კგ. | 15 120 | ქ. ქუთაისი |
| | [illegible] | კგ. | 1 200 | ქ. ქუთაისი |
| | [illegible] | კგ. | 1 620 | ქ. ქუთაისი |
| | [illegible] | კგ. | 1 080 | ქ. ქუთაისი |
| 7. | [illegible] | | | |
| | ლოტი N1 | კგ. | 113 150 | ქ. თბილისი |
| | ლოტი N2 | კგ. | 113 150 | ქ. თბილისი |
| | [illegible] | | | |
| | ლოტი N1 | კგ. | 41 850 | ქ. ქუთაისი |
| | ლოტი N2 | კგ. | 41 850 | ქ. ქუთაისი |



ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ იურდიულ და ფიზიკურ პირს.

ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2004 წლის განმავლობაში შემსყიდველის მიერ ყოველთვიურად, წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, **DDP** პირობით თავდაცვის სამინისტროს რეგიონალურ ბაზებში, ან სამხედრო ნაწილებში სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ მისამართებზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ქართულ ენაზე თარგმანი) შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 0177, უნივერსიტეტის ქ. N2ა, თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N609, 2 აგვისტოდან 4 აგვისტოს 16 საათამდე.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

■ ცნობას ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა; (უცხო ქვეყნის მოქალაქეებიის მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან).

■ ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია; (უცხო ქვეყნის მოქალაქეებიის მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან)

■ ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახუროებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით; (უცხო ქვეყნის მოქალაქეებიის მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან)

**ფიზიკური პირებისათვის:**

■ ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედითუნარიანია.

■ ცნობა, შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ და სამსახუროებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის.

■ ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების საქმის წარმოება.

დამატებითი მოთხოვნები: ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან).

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებული იქნება პრეტენდენტად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის (ხუთასი ლარი) გადახდის შემდეგ, 9 აგვისტოდან 11 აგვისტოს 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქN2ა, თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტი. ოთახი N609.

პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება უნდა შედგეს ცალკეული ლოტების მიხედვით. შეფასება მოხდება ლოტების მიხედვით. სატენდერო წინადადება შეიძლება შეიცავდეს ერთ ან რამოდენიმე ლოტს.

ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

დასაშვებია ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენა.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირებს - ნუგზარ ღონიაშვილს ან გაიოზ მენთეშაშვილს. (ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქN2ა, თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტი. ოთახი N610, N609) ტელ: 294-384.



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

## საინფორმაციო ომი არ დამთავრებულა...

გვინდა შევეხოთ აფხაზეთის პრობლემის ინფორმაციული უზრუნველყოფის საკითხს და ამ საქმეში მასმედიის როლსა და მნიშვნელობას. მასმედიის ყველა საინფორმაციო საშუალებაში 10-12 წლიანმა ანალიტიკურმა და პრაგმატულმა მიდგომამ, იმ პროდუქციის შესასწავლად და ანალიზმა, რომელიც აფხაზეთის პრობლემატიკას ეხებოდა, მოგვცა იმის თქმის საშუალება, რომ თავიდან უნდა აგვეცილებინა ის შეცდომები, ხარვეზები, რაც ქვეყნის პოლიტიკურ ვითარებას ნეგატიურ ფონს უქმნიდა.

თუ პრესის ტირაჟისა და რეიტინგის შესანარჩუნებლად, როგორც წესი, სენსაციები და ნაღმის ტოლფასი მასალა სჭირდებოდა, მედიის ელექტრონული საშუალებების საინფორმაციო გადაცემებში პოლიტიკური ისტებლიშმენტის წარმომადგენლები ერთმანეთისადმი ლაფის სროლაში ეჯიბრებოდნენ. სხვა შემთხვევაში ასეთ რამეებზე შეიძლებოდა აქცენტი არ გაგვეკეთებინა, მაგრამ როცა ეს ეხება ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას და ზოგიერთი პოლიტიკოსის წინდაუხედავი "ზედმეტი გულახდილობა" ხშირად სტრატეგიული მნიშვნელობის საიდუმლოს გაცემის ტოლფასი გამხდარა, წაყრუება შეუძლებელია. გასულ წლების მასმედიაში პოლიტიკოსებიცა და ჟურნალისტებიც მკითხველზე და მსმენელზე ეფექტის მოსახდენად ფრაზებით მანევრირებდნენ და ზოგჯერ აბსურდამდეც კი მიდიოდნენ (მაგალითად, "საქართველო, როგორც სახელმწიფო, არის მეტაფორა.") სენსაციურობაზე იყო გათვლილი პრესაში დამკვიდრებული - პუბლიკაციების შინაარსისგან დაცილებული, სიმართლისგან შორს მდგარი მყვირალა სათაურები ("საქართველო ომისთვის ემზადება", "კოდორში ომი იწყება", "ალმაშენებელი და სტალინი რომ გააცოცხლო, აფხაზეთს ვერცერთი ვერ დაიბრუნებს", "წართმეული ტერიტორიების დაბრუნება რომ არ შეგვიძლია, დედლები, ცვედნები ვართ"). რომ არაფერი ვთქვათ ნიჰილიზმზე, იმაზე მაინც უნდა დავფიქრდეთ როგორ ვმოქმედებთ მასების ეროვნულ ცნობიერებაზე. ხომ არ ვუწყობთ ხელს "დამარცხებულის სინდრომის" გაღრმავებას? გარდა იმისა, რომ გამაღიზიანებლად და დამრთგუნველად ვმოქმედებდით მკითხველზე, ეს ყოველივე არასერიოზული და ზნეობრივად და პოლიტიკურად გაუმართლებელი იყო. პარტიებსა და პოლიტიკურ ფიგურებს შორის დაპირისპირება, ერთმანეთის დისკრედიტირება და კომპრომატების "ფრიალი" არათუ ხელს უწყობდა აფხაზეთის პრობლემის გადაჭრისაკენ მიმართულ ძალისხმევას, უფრო მეტად ამუხრუჭებდა და ბუნდოვანს ხდიდა სამომავლო პერსპექტივას. სიტყვის თავისუფლება ჩვენში ცოტა სხვაგვარად იყო აღქმული. ითქმებოდა და იწერებოდა ყველაფერი ღიად და დაუფარავად, ყოველგვარი შინაგანი ცენზურისა და მუხრუჭის გარეშე. ეთიკური მუხრუჭების არქონა და საინფორმაციო პოლიტიკის წარმმართველი მექანიზმის არარსებობა დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლების დამკვიდრებად ინათლებოდა.

ცალკე საუბრის თემაა აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებულ საკითხებში ურთიერთგამომრიცხავი, ზოგჯერ დაუზუსტებელი ინფორმაციული წყაროს მოტანა, ტოპონიმების შეცდომით ხმარება, ანგარიშისა და პოლიტიკური მიზნის მისაღწევად აფხაზეთის თემის ხელოვნურად წინ წამოწევა, თემით სპეკულირება და ანგაჟირებულობა. სამწუხაროა, რომ ეს ტენდენციები, მიუხედავად ქვეყანაში სასიკეთო და იმედის მომცემი ძვრებისა, ჯერაც შეინიშნება.

აფხაზეთის ინფორმაციის სამინისტროს მიზნად არა აქვს დასახული, რომ მასმედიის მიერ აფხაზეთის პრობლემის გაშუქების მარტო უარყოფითი მხარეები წარმოაჩინოს. პირიქით, სამინისტრომ ბევრი საინტერესო ღონისძიება ჩაატარა მასმედიის წარმომადგენლებთან ერთად, რომლებიც აფხაზეთის თემატიკის ინფორმაციულ უზრუნველყოფაშია ჩართული და ამ პრობლემასთან დაკავშირებულ მიმდინარე პოლიტიკური ვითარების საკითხებს ეძღვნება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის სამინისტროს შემადგენლობა ჰქონდა და აქვს საინფორმაციო საშუალებების სტრატეგია, რომელიც ეხმარება პრიორიტეტებისა და მიმართულებათა განსაზღვრაში, მაგრამ წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილებიდან გამომდინარე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ პატარა სახელმწიფოში იმდენი საინფორმაციო წყარო ანუ ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა საშუალებებია და იმდენად დაქსაქსული, რომ აფხაზეთის პრობლემის ინფორმაციულ უზრუნველყოფაც ასევე დაქსაქსულია, ყველა თავის სამრეკლოდან რეკავს, რაც საბოლოო ჯამში გვაძლევს ურთიერთგამომრიცხავ, ხშირ შემთხვევაში დაუზუსტებელ ინფორმაციას. ეს ყოველივე კი ინფორმაციული ვაკუუმის გარღვევის ნაცვლად წრეზე მოძრაობას ჰგავს.

საქართველოში სხვადასხვა ორგანიზაციების, ასევე აფხაზეთის ინფორმაციის სამინისტროს მიერ საინფორმაციო საშუალებებით აფხაზეთის მოვლენების ინფორმაციული უზრუნველყოფის თაობაზე სოციალური გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა უმეტესობას არ აკმაყოფილებდა მასმედიის მიერ აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების გაშუქება. მასმედიის საინფორმაციო საშუალებებისადმი ნდობის რეიტინგი, სამწუხაროდ, დღესაც არადამაკმაყოფილებელია. ამ დისბალანსის აღსადგენად და აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებული საკითხების ინფორმაციული უზრუნველყოფისათვის საჭიროა კოორდინირებული მუშაობა. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღსადგენია, შემოძარცვული ტერიტორიები დასაბრუნებელია და ამასთან დაკავშირებით საინფორმაციო სივრცეში ამ კუთხით არსებული ვაკუუმი შესავსებია, ხომ არ დადგა დრო საქართველოში ძლიერი, მობილური მაკოორდინირებელი ორგანოს შექმნისა? თუ ეს საკითხი დადებითად გადაწყდება, ვფიქრობთ, რომ აფხაზეთის ინფორმაციის სამინისტრო, როგორც ერთ-ერთი რგოლი ამ კოორდინირებული მუშაობისა, თავის აგურს დადებს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხში.

**ანზორ ახალაია**

*აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ინფორმაციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი*

## ეს ამბავი ხუთი წლის წინათ მოხდა

*ცნობილი სოხუმელი ნეიროქირურგი, ნაპოლეონ მესხია ცოტა ხნის წინ ზუგდიდში გავიცანი. სოხუმში ცხოვრების პერიოდში მას მრავალი პაციენტისთვის აქვს ოპერაცია გაკეთებული. ცნობილ დასტაქარს აფხაზეთში ყველა იცნობდა და პატივს სცემდა. მასთან მეგობრობდნენ ჩინისა და ეროვნების მიუხედავად. სხვათა მსგავსად, ამჟამად იგიც დევნილია და მიუხედავად ყველაფრისა, აქტიურადაა ჩართული სახალხო დიპლომატიის საქმიანობაში. ბატონ ნაპოლეონს მტკიცედ სჯერა, რომ ქართველებსა და აფხაზებს არაფერი გვაქვს გასაყოფი, ჩვენ შევრიგდებით და ისევ ერთად ვიცხოვრებთ. ეს ცხოვრებისეული ისტორიაც მისგან მოვისმინე.*

ლელა მარგიანი

ეს ამბავი ხუთი წლის წინ მოხდა. დამირეკეს და მითხრეს, ერთ აფხაზ კაცს უნდა თქვენთან შეხვედრა ენგურის ხიდზეო. მე არც კი ვიცოდა ვის უნდა შევხვედროდი, დათქმულ დროს მივედი ენგურის ხიდთან და მხოლოდ მაშინ აღმოვაჩინე, რომ ჩემთან შეხვედრა ძველ ნაცნობს ნდომია. მას მე დიდი ხანია ვიცნობდი, მშვიდობიანობის დროს ვძმაკაცობდით კიდეც (სამწუხაროდ, იგი ომის დროს აფხაზების ერთ-ერთ ბატალიონს ხელმძღვანელობდა, მისი ბიძაშვილი ქალი კი 1989 წელს მანქანაში იჯდა და ისე ესროდა ქართველებს).

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ადამიანი ვისაც ჩემთან შეხვედრა ასე ძალიან უნდოდა, ცნობილი ტუნა ხიბა აღმოჩნდა. იგი მე რამდენიმე წელია არ მენახა.

შეხვედრისას თავი ვერ შევიკავე და ვკითხე, - "Туна, что с тобой случилось?" - რატომ იბრძოდი ჩვენს წინააღმდეგ-მეთქი. მან მიპასუხა, აბა, რა უნდა მექნა, თქვენ ტანკებით შემოხვედით და მეც თავს ვიცავდიო...რა პასუხი უნდა გამეცა?! შემდეგ ჩვენს შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

**- რამ გაიძულა, აქ რომ მომიყვანე?**

- ერთი პრობლემა მაქვს, Астамуру плохо! (ასტამური მისი შვილია, რომელსაც ჯერ კიდევ ბავშვობაში გავუკეთე ოპერაცია. ავარიის შემდეგ უგონო მდგომარეობაში მყოფი მომიყვანეს. სასწრაფო ოპერაცია გავუკეთე, ხელოვნურ სუნთქვაზე იყო ერთი კვირა. ცდა არ დამიკლია და ბიჭი სიკვდილს გამოვტაცე ხელიდან. იმის მერე კარგა ხანი გავიდა. არ მენახა, მაგრამ ვიცოდა, რომ კარგად იყო)

**- რა მოუვიდა?**

- ხშირი ეპილეფსიური გულყრები აქვს. მოსკოვში წავიყვანე, ბურდენკოს კლინიკაში. ტვინში კისტა აღმოაჩნდა, სასწრაფოდ ოპერაცია უნდა გაუკეთდეს!

**- ბურდენკოს კლინიკაში გყოლია და იქ ოპერაცია ვერ გაუკეთეს?!**

- Нет, он не хочет, чтобы ему в Москве операцию сделали. Так сказал, пусть дядя Напо меня оперирует! - ასე მიპასუხა ტუნამ. მერე მითხრა, თუ აქეთ ჩამოხვალო, მე ყველას შევუთანხმდებიო (არძინბასაცო). თუ სოხუმში ვერ გაუკეთებ, მაშინ სადაც გინდა იქ წაიყვანე ჩემი შვილი და იქ გაუკეთე ოპერაციაო. გაბარებ ჩემს შვილს, გენდობიო...

რა უნდა მეთქვა?! რა თქმა უნდა, წამოვიყვანე მისი შვილი სხვა გვარით. იმ დროს, ხუთი წლის წინათ, ზუგდიდში უფრო დაძაბული ვითარება იყო. იმ ბავშვმა კი არც ქართული იცის, არც მეგრული. რუსული აქცენტი აქვს. ყველა მიხვდებოდა, რომ აფხაზია. ბავშვი ხობში წავიყვანეთ და ხობის საავადმყოფოში გავუკეთე ოპერაცია. კისტა მოვაშორე. ძალიან ვნერვიულობდი, საკმაოდ რთული ოპერაცია იყო, რადგან შეიძლებოდა ნევროლოგიური გართულებები მოჰყოლოდა. ღმერთმა გადმოგვხედა! ყველაფერი კარგად დამთავრდა. მერვე დღეს ძაფები ამოვუღე, მეთორმეტე დღეს საღსალამათი მამამისს ჩავაბარე ენგურის ხიდზე. მერე სოხუმშიც ვიყავი, პურ-მარილზე დამპატიჟეს. ძალიან გახარებულები იყვნენ, რომ ბავშვი გადარჩა და გართულებებიც არ მოჰყოლია ოპერაციას.

სოხუმში სუფრაზე მთავრობის ხალხსაც შევხვდი. ბიჭის მამიდაც იქ იყო, სწორედ ის თამარა ხიბა, ადრე რომ ქართველებს ესროდა. ძმისშვილის კარგად ყოფნით გახარებულმა, მაშინ ასეთი სიტყვები მითხრა: "Шалвович, эта такая-же ваша земля, как наша! Мы должны вместе жить на этой земле!".

მე ბედნიერება შევიტანე იმ ოჯახში, რომელშიც დაბრუნდა ავადმყოფობის გამო ოჯახიდან შვილთან ერთად წასული რძალი. ჩემი წყალობით, ცოლ-შვილი დაუბრუნდა მამას. ბაბუა ბედნიერი იყო იმით, რომ შვილიშვილი თავისთან ჰყავდა. მოკლედ, ყველანი ძალიან ბედნიერები იყვნენ.

აი, ასეთი ამბები გვაახლოებს ჩვენ და აფხაზებს. ეს ნაბიჯები მოგვცემს საშუალებას, რომ კვლავ ერთად ვიცხოვროთ.

## "ტომი და ჯერის ეფექტი" ეთნოტერიტორიული კონფლიქტის სურათში

განთქმულ მულტსერიალში "ტომი და ჯერი" მთავარ გმირთა დაპირისპირების სქემა შემდეგი თავისებურებებით ხასიათდება: ა) ფსიქოლოგიური ოპოზიცია "აგრესორი-მსხვერპლი" თავდაპირველად მოსალოდნელი როლური განაწილების დარღვევის შედეგად იძენს ინფორმატიულობას, დინამიზმსა და სიხალისეს; ბ) მაყურებლის სიმპათია და მხარდაჭერა უფრო სუსტისა და მცირის მხარეზეა, რომელიც გონებამახვილურად პოულობს რესურსებს, რათა უფრო დიდსა და ღონიერს გაუმკლავდეს; გ) დაპირისპირებას თამაშის ხასიათი აქვს: ხორცის მანქანაში გატარების ან მძიმე პრესის ქვეშ გაბრტყელების შემდეგ, მოწინააღმდეგე არამც თუ სახიჩრდება ან ზარალდება, არამედ ხდება ადრინდელ პარამეტრებში მისი სწრაფი რეაბილიტაცია, და საერთოდ, მაყურებელი არანაირ დისკომფორტს არ განიცდის; დ) თამაშს, განსაზღვრების თანახმად, დაბოლოება არა აქვს - ის ვირტუალური მტრის დაჯაბნის თავდაპირველად ჩადებული სტერეოტიპული სქემის განუსაზღვრელი გაგრძელებაა, საიდანაც მაყურებლის დაკომპლექსებულმა ფსიქიკამ კომპენსაცია უნდა მიიღოს.

თანდათან, მაყურებელში იზრდება გაღიზიანება იმის გამო, რომ ჯერი ყოველთვის უფრო გამჭრიახი და ძლიერია ტომზე, ხოლო შედეგი, მოსაბეზრებლად, წინასწარ განსაზღვრული. მიუხედავად ამისა, ან სწორედ ამიტომ, სერიალის დრამატურგიული ყაიდა ვერ შეიცვლება; იცვლება მხოლოდ კონკრეტული სიტუაციები (ასეთივე თავისებურებები ახასიათებს "Ну погоди!"-ს და სხვა "რეფლექსიებს" იგივე თემაზე). მხოლოდ შემდგომ ხდება გაცნობიერება იმისა, რომ ამ დაპირისპირებაში თაგუნია ჯერი წარმოადგენს იმთავითვე ძლიერ მხარეს, რომელსაც შეუძლია სადისტურად გააწამოს მსხვილი, მაგრამ მოუქნელი კატა ტომი. უფრო მეტიც, ჯერის ტომთან შედარებით მონსტრის რესურსები გააჩნია. სერიალისადმი მაყურებლის მიდრეკილება კი მასში განდევნილი ქვეცნობიერი აგრესიის დაკმაყოფილებაა.

დავაკვირდეთ ახლა იმას, თუ რა თავისებურებები ახასიათებს მსოფლიოში არსებულ ეთნოტერიტორიულ კონფლიქტებს. კონფლიქტის განვითარებაში, როგორც წესი, მრავალი ფაქტორი და აქტორი მონაწილეობს; ამავე დროს, კონფლიქტი სტრუქტურულად ფოკუსირდება ქვეყანაში მცხოვრებ ორ ეთნიურად იდენტიფიცირებად და მკვეთრად არათანაბარ ჯგუფზე. კონფლიქტი ვითარდება ერთ-ერთ მხარეში დაჩაგრულობის შეგრძნების, არასრულყოფილების კომპლექსის გაღვივების და უფრო დიდ მეტოქესთან გატოლების ფონზე, ასევე უფრო ძლიერი და მრავალრიცხოვანი მეტოქისგან ასიმილირების ან აგრესიის განხორციელების მოლოდინში. კონფლიქტი შეიარაღებულ ფაზას აღწევს უფრო ძლიერ და მრავალრიცხოვან მხარეში იმ განწყობის ფონზე, რომ ქვეყანაში მოხდა აჯანყება და ქვეყნის ერთი ნაწილის სეცესიაზე რეაგირება და კონფლიქტამდელი მდგომარეობის აღდგენა ადვილად მისაღწევია, ხოლო აჯანყებული ჯგუფი ადვილად "მოსავლელი". მოულოდნელად, ერთის შეხედვით, სუსტ და მცირერიცხოვან მხარეს საკმარისი რესურსი აღმოაჩნდება ხოლმე იმისათვის, რომ არა მხოლოდ შიდა კონსოლიდაცია მოახდინოს და წინააღმდეგობა გაწიოს, არამედ კონფლიქტის ხანგრძლივ და გაჭიანურებულ ფაზაში გადაყვანას ხელი შეუწყოს, და ზოგ შემთხვევებში, სამხედრო წარმატებასაც მიაღწიოს. აქ უკვე ნათლად ჩანს "ტომი და ჯერის ეფექტის" ქმედება: სუსტის მოულოდნელი გაძლიერება, ძლიერის დამამცირებელი მარცხი და გარე სამყაროს ("მაყურებლის") ე.წ. სუსტი მხარისადმი თანაგრძნობა, მიუხედავად იმისა, თუ რა სამართლებრივი შეფასება აქვს მათ შორის დავას. მართალია, აქ ახალი პერსონაჟებიც ერთვებიან (ძაღლი, ლომი, სპილო...), რომელთა მხრიდან მომდინარეობს "ჯერის" გაძლიერება,

ნებისმიერი კონფლიქტის ზონის გარშემო ყალიბდებიან ის გავლენის ჯგუფები, რომელნიც დაინტერესებულნი არიან ან კონფლიქტის მოგვარებაში, ან კონფლიქტის მოუგვარებლობაში. ის ფაქტი, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტები მოუგვარებელია (თუ მოგვარებად არ ჩავთვლით სეცესირებული ნაწილის ლეგიტიმაციის ფაქტს), გვაფიქრებინებს, რომ რეალური გავლენა იმ ძალებისა, რომლებიც არ არიან დაინტერესებული კონფლიქტის მოგვარებაში, აშკარად ჭარბობს კონფლიქტის მოგვარებაში დაინტერესებულ ძალათა გავლენაზე; ხოლო გლობალურ დონეზე გარკვეულ კანონზომიერებასთან გვაქვს საქმე.

კერძოდ, მთიანი ყარაბაღის და აფხაზეთის ომის შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბებული ვითარება ხელსაყრელია მთელი რიგი ადგილობრივი, რეგიონული და გლობალური დონის აქტორებისთვის. ამ ერთობლიობაში გამოიკვეთება მეტ-ნაკლებად კოორდინირებულად მოქმედი ჯგუფები. მიზეზები მდგომარეობს შემდეგში: "გაყინული", გაჭიანურებული კონფლიქტი, ერთი მხრივ, სტაბილურობის შთაბეჭდილებას (სიმულაციას) ქმნის, რასაც გეოპოლიტიკისთვის გარკვეული მიმზიდველობა გააჩნია: ნებისმიერი პოლიტიკოსი ცდილობს მართვის ამოცანა გაიმარტივოს. მეორე მხრივ, ძალიან დიდია ეკონომიკური და სხვა ტიპის მატერიალური სტიმულები მრავალგვარი ძალებისთვის, რომელნიც "იკვებებიან" კონფლიქტებით. მათ კონფლიქტის თეორიაში "მავნებლებს" (spoilers) უწოდებენ. ეს, მაგალითად, იმ ადამიანთა ჯგუფებია, რომლებიც შენიღბული არიან პარტნიორთა სახელით და, არაან რა სინამდვილეში დაკავებულნი კონტრაბანდით, მძევლთა აყვანით, აღვივებენ ამით დაძაბულობას და ხელს უშლიან სამშვიდობო პროცესს; ეს, აგრეთვე, კონფლიქტის ზონაში გამოკვეთილი ინტერესის მქონე პოლიტიკური ჯგუფებია; ასევე გარკვეული საერთაშორისო დონეზე მოქმედი ძალები, რომლებიც ხელს უწყობენ იმას, რომ მსოფლიოში არსებობდეს არაკონტროლირებადი ზონები ტერორიზმისა და კონტრაბანდისთვის; ეს, აგრეთვე, სხვადასხვა ქვეყანაში არსებული რესპექტაბელური ორგანიზაციებია, რომელნიც ოფიციალურად მშვიდობის მშენებლობით არიან დაკავებულნი, მაგრამ სინამდვილეში უფრო კონიუნქტურული და მერკანტილური მოტივები ამოძრავებთ; აგრეთვე ეს ბიუროკრატიული ძალებია სახელმწიფოთაშორის საერთაშორისო სტრუქტურებში, რომელნიც არ არიან დაინტერესებულნი იმაში, რომ გაყინული კონფლიქტების "გადნობის" პროცესის დინამიკა ინტენსიურად განვითარდეს.

ყოველი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის ზონის გარშემო საერთაშორისო დონეზე გარკვეული *მხარდაჭერის* და *ლობირების სისტემა* იქმნება. ეს არც შეთქმულებაა და არც უცხო სპეცსამსახურების შემუშავებული და ერთიანი ცენტრიდან მართული ოპერატიული გეგმის განხორციელება. ესაა კონფლიქტის კონკრეტულ ზონასთან დაკავშირებით რეგიონული და გლობალური მასშტაბით მოქმედი სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური, ეთნიურ-დიასპორული, გასამხედროებული თუ კრიმინალური დაჯგუფების ინტერესთა თანხვედრა და ამის შედეგად ერთიანი ვექტორის ჩამოყალიბება. უფრო მეტიც, ამგვარი სისტემები ურთიერთმოქმედებენ და აძლიერებენ ერთმანეთს. ამგვარი სისტემები კონფლიქტის არც ერთი მხარის, არამედ სტატუს-კვოს მხარდაჭერის სისტემებია. საერთაშორისო სომხური დიასპორის დაშნაკცუტიუნის პარტიასთან იდეოლოგიურად დაახლოებულ ნაწილს და რუსეთის რეაქციულ წრეებს ზოგადად სხვადასხვა, მაგრამ მთიანი ყარაბაღის და აფხაზეთის კონფლიქტთან მიმართებაში თანმხვედრი ინტერესები აქვთ. მათ შორისაა ამოცანა, არ შეიქმნას სხვა მოგვარებული კონფლიქტის პრეცედენტი, რათა არ გაჩნდეს ჯაჭვური რეაქცია, რომელიც გავლენას მოახდენს სხვა, მათთვის უფრო მნიშვნელოვან კონფლიქტის ზონებზე.

კონფლიქტის მხარდაჭერის სისტემას, როგორც ცეცხლის, ეშინია გაბედული, ინიციატივიანი, არასტანდარტულად მოაზროვნე პოლიტიკური ლიდერისა. სისტემის მიერ შექმნილი ატმოსფერო კონფლიქტის ნებიმიერ ფასილიტატორს, მკვლევარს, ექსპერტს, მთავრობების მრჩეველს იმისკენ უბიძგებს, რომ მდგომარეობის დესტაბილიზაციის შიშით მოერიდოს კონფლიქტის გაყინული მდგომარეობიდან გამოყვანის ნებისმიერ მცდელობას. ამის ალტერნატივა კი ისეთი ნაბიჯების მხარდაჭერაა, რაც ე.წ. "ნეგატიური მშვიდობის" (ანუ შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად საერთაშორისო მეთვალყურეობის ქვეშ მიღწეული მხარეთა დაშორიშორებისა და ცეცხლის შეწყვეტის მდგომარეობის) განუსაზღვრელად გაგრძელებას საფრთხეს არ შეუქმნის. ამას სამშვიდობო პროცესის სტერილიზაცია შეიძლება ვუწოდოთ. სტერილური პროცესი, რომელსაც არანაირი ნაყოფის გამოღება არ ძალუძს, პროცესი პროცესისთვის, პროფანაციად გადაქცეული პროექტები, ფინანსების, ადამიანთა ძალისხმევის, ნერვების ხარჯვა - მომხმარებლისთვის განკუთვნილი სურათია იმისა, რომ რაღაც კეთდება, მაგრამ, ამასთან - საბოლოო ნულოვანი რეზულტატი წინასწარ განსაზღვრულია, სამშვიდობო პროცესი კი - განწირული.

საერთაშორისო სტრუქტურების კონკრეტული შემსრულებელი და მათთვის რეკომენდაციების მიმწოდებელია კონფლიქტით დაზარალებულ ქვეყნებში არსებული საელჩოები, მისიები, წარმომადგენლობები, რომელთა თანამშრომლებს ადგილობრივი მოსახლეობისადმი და ადგილობრივი სპეციალისტებისადმი მყარი უნდობლობა ახასიათებს. მაშ საიდან უნდა შეიქმნან მათ წარმოდგენა ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე? მათ ხელთ არსებულ და ნდობით აღჭურვილ რეალურ სამუშაო მასალას (გარდა სპეცსამსახურების მეტწილად ოპერატიული ხასიათის მასალებისა) წარმოადგენენ ცნობილი დასავლეთ-ევროპელი და ამერიკელი ექსპერტების გამოქვეყნებული და/ან სხვადასხვა სამუშაო გრიფით გავრცელებული ანალიტიკური მასალები - ანგარიშები, დასკვნები, მიმოხილვები და სხვ. - რომელთა ნაწილი, მეტი სანდოობისთვის, გულმოდგინედ შერჩეულ ადგილობრივ პარტნიორთა ვიწრო წრესთან თანამშრომლობის ნაყოფია. ამ ნაწერებში შეინიშნება საერთო ტენდენცია, რომელშიც კონფლიქტებში მონაწილე მხარეებისადმი სიმპათია-ანტიპათია მონაწილეობს, და მიმართულია იმისკენ, რომ დასაბუთდეს კონფლიქტის ახლო მომავალში გადაუჭრელობა, გაბედული ნაბიჯების მიუღებლობა, სამშვიდობო პროცესის ხანგრძლივი ისტორიული დროის პერიოდში გაწელვის გარდუვალობა. (ეს თანდათან ხდება დონორთა პოლიტიკის და საპროექტო წინადადებათა შეფასება-შერჩევის ერთ-ერთი ფარული კრიტერიუმი).

ამ გარემოებებმა, ჩვენი აზრით, გავლენა მოახდინა იმაზე, რომ ბოლო წლებში გლობალურად ჩამოყალიბდა დაკვეთა კონფლიქტების *პრევენციის*, და არა *მოგვარების* შესახებ. "ჭკუიან" ავტორებს სრულიადაც არ სჭირდებათ, რომ ვინმემ ასეთნაირად დაუსახოს ამოცანა: ისინი ხვდებიან, თუ რაში მდგომარეობს დაკვეთა, კონიუნქტურა და შესაბამისად ამკვიდრებენ საკუთარ თავს კონკურენტულ გარემოში. უფრო მეტიც, ამის შედეგად მიღწეულია ის მდგომარეობა, როდესაც საერთაშორისო დონეზე მიმოქცევაში მყოფი მასალებიდან - გარდა სახელმწიფოთაშორისი დანიშნულების ოფიციალური დოკუმენტებისა - მთლიანად განდევნილია "ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის" ცნება, როგორც სამშვიდობო პროცესის ერთ-ერთი მიზნის და შემადგენელი ნაწილისა. უფრო მეტიც, კონფლიქტებისადმი მიძღვნილ განსწავლულთა საერთაშორისო შეხვედრებზე ამაზე საუბარი სირცხვილიც ითვლება! სამაგიეროდ, წინ წამოწეულია სამოქალაქო პრინციპების უზენაესობა, რომლის მიხედვითაც ყველამ უნდა ეცადოს, ამაღლდეს საკუთარ ეროვნებაზე და მოქალაქეობაზე და იზრუნოს მხოლოდ და მხოლოდ ძალის გამოყენების გამორიცხვაზე, მხარეთა თანაბარ პირობებში ჩაყენებაზე, უფრო "სუსტისთვის" ხელსაყრელი რეჟიმის შექმნაზე. ეს, რა თქმა უნდა, წაუგებელი არგუმენტებია. ამის საწინააღმდეგოდ რომელიმე ავტორმა თუ გაბედა ხმის ამოღება, ის არასანდო კატეგორიაში მოხვდება და დაეკარგება "სერიოზულობის" სტატუსი. *ნეგატიურ მშვიდობაზე* (ანუ ცეცხლის არგანახლების გარანტიებზე) გაჩერება სავსებით შეესაბამება საერთაშორისო ბიუროკრატიის მიზნებსაც, რომელთა მანდატი არც გულისხმობს *პოზიტიური მშვიდობის* მშენებლობას. ამ კულტივირებულ სურათზე, და არა ობიექტურ ანალიზზე დამყარებული რეკომენდაციები თავს იყრის საერთაშორისო ორგანიზაციების - გაეროს, ეუთოს, ევროპის საბჭოს - შტაბ-ბინებში და სერიოზულ გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე: ამით მარტივდება გლობალური გეოპოლიტიკური თამაშის პირობები, რომელი მასშტაბიდანაც კონკრეტულ ადამიანთა დასახიჩრებული ბედი ისევე განურჩეველია, როგორც ცალკეული მოლეკულების თავისებურებები.

აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოუგვარებლობის პირობებში, საერთაშორისო წრეებში გავრცელდა ქართული მხარის უინიციატივობის, არასანდოობის, უნიათობისა და ხშირად, უპრინციპობის სურათი, რომელიც უკავშირდებოდა არა მაშინდელ ხელისუფლებას, რომელიც ახერხებდა ამგვარი ბრალდებების აცილებას, არამედ ქართული საზოგადოების პოსტ-ტოტალიტარულ მენტალიტეტს, ქვეყნის თავისებურებებს, ასევე, ქართველთა ეროვნულ ხასიათს. იმაში, რომ საზღვარგარეთ საქართველოს უნიათო და მათხოვარი ქვეყნის რეპუტაცია დაუმკვიდრდა, ლომის წილი ექსპრეზიდენტ შევარდნაძეს ეკუთვნის: მის მიერ არჩეულ მინიმალური რისკის და კრიმინალურ ძალთა დაბალანსების და დაკმაყოფილების პოლიტიკას სჭირდებოდა ქართულ საზოგადოებაში არასრულყოფილების კომპლექსის დანერგვა, რათა ყველას იმის შეშინებოდა, თუ რა უნდა დამართვოდა ამ ქვეყანას შევარდნაძის ბრძნული მართვის გარეშე. ბუნებრივია, ამან თავისი დამანგრეველი შედეგი იქონია საქართველოს და გარე სამყაროს ურთიერთობის ჩამოყალიბებაში.

აფხაზეთის კონფლიქტის საგარეო სურათი, თითქოსდა, ცალსახა და ნათელი უნდა ყოფილიყო: ომის პროვოცირებაში ორივე მხარეს ბრალი მიუძღვის, მაგრამ ფაქტია, რომ მოხდა ეთნიური წმენდა, რომლის შედეგადაც აფხაზეთის ქართველი მოსახლეობა განიდევნა საკუთარი სახლიდან. ამავე დროს, აფხაზი სეპარატისტების შესახებ იმავე საერთაშორისო წრეებში, მიუხედავად პოლიტიკურ დონეზე გაკეთებული მკაცრი განცხადებების და "დიალოგისკენ ორივე მხარის" ტრადიციად ქცეული მოწოდებებისა, ჩამოყალიბდა გაცილებით უფრო ლმობიერი და ჰუმანიზირებული სურათი: მცირერიცხოვანი გაჭირვებული ხალხი, რომელნიც არავის თავს არ ესხმიან, "მეზობელ" საქართველოში არასტაბილური ვითარებით და დევნილთა მასობრივი დაბრუნების შედეგად შურისძიების საფრთხით შეშინებული და თავისი ეთნოფონდის გადარჩენით შეწუხებული. ერთის მხრივ, მოუწესრიგებელი, ანარქისტული, ერთმანეთს დარეული ქართველები, და მეორეს მხრივ, წესრიგის მოყვარე, კონსოლიდირებული, თანმიმდევრული, ერთ მუშტად შეკრული და მიზანმიმართული აფხაზები. ხოლო "მიუკერძოებელი" რუსი შუამავალი ყოველთვის ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ქართველებს სჩვევიათ თავიანთი ხელმოწერილი ხელშეკრულებების დარღვევა, ხოლო აფხაზები მათ პირნათლად იცავენ. გასაგებია, თუ რომელი უნდა გამოიყურებოდეს უფრო მიმზიდველად გარეშე თვალისთვის, "ტომი" თუ "ჯერი".

ერთი მხრივ, ხალხი სამართლიანად მოითხოვს აფხაზეთის საკითხის გადაჭრას, რეალური ნაბიჯების გადადგმას. ლიდერებს ესმით: ხალხმა უნდა დაინახოს, რომ ამ მიმართულებით რაღაც კეთდება. ამასთან, ისინი თავად გულწრფელად არიან დაინტერესებული ამ პრობლემის არაძალადობრივი გზით მოგვარებაში, თუნდაც იმიტომ, რომ მშვენივრად ესმით მოსალოდნელი საფრთხეები. მაგრამ, მეორე მხრივ, არსებობს საშიშროება, დიდი ცდუნება: როდესაც ამოცანა რეალურად რთულია შესასრულებლად, შეიქმნას ილუზია, საინფორმაციო სურათი, რომ რაღაც კეთდება. ამ, ახალ პირობებში ჯერ კიდევ არგანცდილ ცდუნებაზე არ აყოვნებს შემხვედრი წინადადებაც - მოდით, განვავითაროთ დიალოგის პროცესი, არსებობს საშუალებები: დაფინანსება, საჭირო კავშირები საერთაშორისო დონეზე და, რაც მთავარია, ნდობის კრედიტი კონფლიქტის ზონაში. ასეთი წინადადებები უკვე მომდინარეობს ევროპის კონკრეტული არასამთავრობო ცენტრებისგან, რომელთაც გააჩნიათ დონორთა სტაბილური ქსელი, მხარდაჭერის სისტემა, და პროფესიულად მუშაობენ კონფლიქტების ზონებში მრავალი წლის განმავლობაში. ოღონდ, უნდა დავფიქრდეთ იმაზე, რას ემყარება ის ნდობის კრედიტი, რომელიც მათ მოახერხეს, რომ კონფლიქტის ზონაში (მაგ., აფხაზეთში, რომელიც საბრძოლო მზადყოფნაში მყოფ სამხედრო ბანაკს წააგავს) მოეპოვებინათ. ეს უდავოდ ხდება არა მხოლოდ ან არა იმდენად მაღალპროფესიულობის შედეგად, არამედ გარკვეული კომპრომისის ხარჯზე, როდესაც სეცესირებული ტერიტორიის დე ფაქტო ხელისუფლება რწმუნდება იმაში, რომ კონკრეტული სახალხო დიპლომატები მათთან შეთანხმებით იმოქმედებენ და მათ ინტერესებს არ შეეწინააღმდეგებიან. იმისდა მიხედვით, თუ რამდენად არიან კონკრეტული შუამავლები ნებსით თუ უნებლიეთ ჩართული კონფლიქტის მხარდაჭერის სისტემაში, მივიღებთ კონფლიქტის მონაწილე მხარეების დაახლოვებას ან გაუცხოვებას. სწორედ უკანასკნელი მოხდა ჩვენს შემთხვევაში: 1995-1999 წლებში სახალხო დიპლომატიის შედეგად მიღწეული გარღვევის ფონზე, 1999-2003 წლებში მოხდა აფხაზეთის კიდევ უფრო ჩაკეტვა, კონსოლიდაცია ანტიქართულ და პრორუსულ პლატფორმაზე.

ერთადერთი გამოსავალია, საქართველოს ხელისუფლების პრინციპული და უკომპრომისო პოზიცია კონფლიქტის ზონაში მოქმედი ყველა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უცხოურ არასამთავრობო ჯგუფებთან მიმართებაში, რათა მიღწეულ იქნეს დიალოგის პროცესის გათავისუფლება მომაკვდინებელი ჩარჩოებიდან. აუცილებელია, მოიშალოს ამ პროცესებზე იმ პიროვნებათა ყოვლისმომცველი კონტროლი, რომელნიც ევროპაში მშვიდობის მშენებლობაში ლექციებით ჩადიან, ხოლო საქართველოს პრესისთვის მიცემული ინტერვიუებით გვაფრთხილებენ, რომ ვინაიდან აფხაზმა ხალხმა სრული დამოუკიდებლობის სასარგებლოდ თავისი საბოლოო არჩევანი უკვე გააკეთა, ამიტომ ქართველებს იმაზე მეტი იმედი არ უნდა ჰქონდეთ, რომ ჩვენი "კარგი ქცევის" შედეგად საქართველო და აფხაზეთი კეთილმეზობლურ ურთიერთობებს მიაღწევენ.

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ აფხაზებთან შერიგების და არსებული უნდობლობისა და გაუცხოვების გადალახვის ნებისმიერი ნამდვილი, არასიმულაციური მცდელობა მძლავრ წინააღმდეგობას წააწყდება. ამავე დროს, ეს მოჯადოებული წრე შესაძლებელია გაარღვიოს გამორჩეულად ძლიერმა და გაბედულმა პოლიტიკურმა ლიდერმა, რომელთა რიცხვს უდავოდ მიეკუთვნება მიხეილ სააკაშვილი. ანუ საბოლოო ბერკეტი მაინც პოლიტიკური ნება რჩება, რა თქმა უნდა, სამართლებრივად დასაბუთებული და საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერილი.



გიორგი ხუციშვილი.

**გიორგი ხუციშვილი**

*კონფლიქტების დარგში საერთაშორისო ექსპერტი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი*

# თბილისის პოლიციის ახალი ძველი სახეები

ხათუნა ჯანგირაშვილი

*ნოემბრის რევოლუციის შემდეგ, პოლიციაში დაწყებულ მასშტაბურ საკადრო ცვლილებებს ბოლო არ უჩანს. რეფორმის ტალღას აყოლილი ეს ცვლილებები, სავარაუდოდ, კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება. თუმცა, ამ პროცესს ცვლილება პირობითად შეიძლება ეწოდოს, რადგან ერთი და იგივე მაღალჩინოსანი პოლიციელები, ბოლო თვეების განმავლობაში, გამუდმებით უცვლიან ერთმანეთს თანამდებობებს. მაღალჩინოსანთა ელვისებური სისწრაფით განხორციელებული გადაადგილებების მიუხედავად, სისტემაში ახალი სახე ჯერჯერობით არ გამოჩენილა.*



*ერთი და იგივე მაღალჩინოსანი პოლიციელები, ბოლო თვეების განმავლობაში, გამუდმებით უცვლიან ერთმანეთს თანამდებობებს.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ბოლო უფროსის, ირაკლი კლდიაშვილის თანამდებობა მერიის წინ შეკრებილ მოქალაქეთა სასტიკად დარბევის ფაქტს შეეწირა. თუმცა, ოფიციალურმა წყაროებმა ეს ინფორმაცია არ დაადასტურეს და განაცხადეს, რომ ირაკლი კლდიაშვილი ამერიკაში მიდის სტაჟირებაზე. გუშინ გავრცელებული ინფორმაციით კი, ირაკლი კლდიაშვილი, შესაძლოა, უშიშროების მინისტრის ერთ-ერთ მოადგილედ დაინიშნოს, თუმცა ოფიციალური წყაროები ამ ინფორმაციას არც ადასტურებენ და არც უარყოფენ. ირაკლი კლდიაშვილის ადგილს, ამჯერად, მრავალწლიანი პოლიციური გამოცდილების მქონე ლევან გვაზავა იკავებს. ის დღეიდან დედაქალაქის პოლიციის მთავარ სამმართველოს უხელმძღვანელებს. თბილისის პოლიციის თავკაცად ლევან გვაზავას დანიშვნამ მორიგი საკადრო ცვლილებები თავისთავად მოიტანა.

დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის უფროსი, კრწანისის რაიონის პოლიციის უფროსი, თბილისის სამმართველოში ოპერატიული სამსახურის ყაჩაღობის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსი, უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული სამმართველოს უფროსი და ბოლოს, შსს-ს სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი - ასეთი გახლავთ ლევან გვაზავას წარსული პოლიციური კარიერა. გუშინ ის ახალ თანამდებობაზე შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ გია გეწაძემ წარადგინა. როგორც გეწაძე აცხადებს, დედაქალაქის პოლიციის სამმართველოს უფროსის ბოლო კანდიდატურა მინისტრმა რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით შეარჩია. ამ კრიტერიუმებს შორისაა: წესიერება, პროფესიონალიზმი, დამნაშავეთა სამყაროსთან შეურიგებელი ბრძოლა და დიდი ორგანიზებული ნიჭი. **"შს სამინისტროს ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ლევან გვაზავა ყველა ამ კრიტერიუმს აკმაყოფილებს და ის ქალაქში წესრიგის დამყარებას შეძლებს. ლევან გვაზავა გამოცდილი კადრია და პრინციპულობით გამოირჩევა, რაც კრიმინალთან ბრძოლისას აუცილებელია,"** - ასე ახასიათებს პოლიციის ახალ შეფს შს მინისტრის მოადგილე. თავად ლევან გვაზავა კი, როგორც მან გუშინ ჩვენთან საუბარში განაცხადა, ამ შეთავაზებას ნამდვილად არ ელოდა.

რაც შეეხება თბილისის რაიონული პოლიციის ხელმძღვანელებს, აქ კვლავ "ძველი" გადანაწილებაა: მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციის უფროსის სავარძელს კვლავ ამ სავარძელს მიჩვეული პაატა ჟღენტი იკავებს, რომელიც ბოლოს თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის პოსტზე მუშაობდა. მის ადგილს ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის უფროსი ზურაბ ბაქრაძე იკავებს. სხვათა შორის, ბაქრაძე ვაკე-საბურთალოს რაიონში ცნობილი პოლიციელია, რადგან ის ამ რაიონში 15 წლის მანძილზე, სხვადასხვა მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა. რაც შეეხება გლდანი-ნაძალადევის პოლიციას, იქ უფროსის ადგილს ინარჩუნებს პაატა ჟღენტისა და ზურაბ ბაქრაძის წინამორბედი, ცოტა ხნის წინ პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეობიდან გათავისუფლებული დავით კეკუა. ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის უფროსის პოსტი დავით ბედიას უკვე მესამედ ერგო, პირველად - სოსო ალავიძის უფროსობის დროს, მეორედ - გია ბარამიძის შს მინისტრობისას, მესამედ კი - ახლა. სხვათა შორის, ირაკლი ოქრუაშვილის მინისტრად დანიშვნისთანავე ის ამ თანამდებობიდან გაათავისუფლეს და ამჟამად ხელახლა დანიშნეს. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის უფროსი - ირაკლი ფირცხალავა იქნება. ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის სათავეში დავით იაშვილი დაინიშნა, ის ბოლოს შსს-ში ლევან გვაზავას მოადგილე გახლდათ.

ასეთი გახლავთ რაიონების პირველი პოლიციელების ბოლო გადანაცვლებები. უნდა ითქვას, მათი უმრავლესობა თავის დროზე, პოლიციის ყოფილმა შეფმა სოსო ალავიძემ დააფრთიანა და გზა გაუკვალა. სწორედ ეს ახალგაზრდები არიან, რომლებმაც პოლიციური გამოცდილება კარგა ხნის წინ

## გოგიაშვილის დაკითხვამ უპრობლემოდ ჩაიარა

*თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაბარებულ ფინანსთა ყოფილ მინისტრთან, მირიან გოგიაშვილთან საგამოძიებო მოქმედება გუშინ ზუსტად სამი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. გამომძიებლების მხრიდან დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემისთანავე, მოწმის სტატუსით დაკითხულმა ყოფილმა მინისტრმა პროკურატურის ტერიტორია გუშინ უპრობლემოდ დატოვა.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

თუმცა, გამორიცხული არ არის, კონტროლის პალატის არქივში შენახულ ერთ-ერთ აქტთან დაკავშირებით, რომელიც სტრუქტურულ კრედიტებს ეხება, მირიან გოგიაშვილი დაკითხვაზე კიდევ დაიბარონ. ყოფილი ფინანსთა მინისტრის გარდა, პროკურატურაში დაკითხვაზე გამოცხადება სხვა ყოფილ თუ ამჟამინდელ მაღალი თანამდებობის პირებსაც მოუწევთ. როგორც თბილისის პროკურორმა ვალერი გრიგალაშვილმა განგვიცხადა, მათ შორის იქნებიან ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, ფინანსთა მინისტრის ყოფილი მოადგილე ლევან ჩრდილელი, ასევე, ყოფილი მოადგილე და კონტროლის პალატის ამჟამინდელი თავმჯდომარე ზურაბ სოსელია. ფინანსთა სამინისტროში დაგეგმილია რევიზიის ჩატარება, რომელიც, ქალაქის პროკურორის განმარტებით, ბევრ საეჭვო კითხვას გასცემს პასუხს.

თბილისის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე ფინანსთა სამინისტროს იმ ხელმძღვანელ პირთა მიმართ აღიძრა, რომლებიც უწყების სათავეში 2000-2003 წლებში იდგნენ. საქმე ეხება კონტროლის პალატის მიერ ამ წლებში ფინანსთა სამინისტროში ჩატარებულ რევიზიას, რომლის დასკვნის მიხედვით, "მსოფლიო ბანკის" მიერ გამოყოფილი 18,5 მილიონი ლარის ოდენობის თანხა არამიზნობრივად დაიხარჯა.

როგორც ქალაქის პროკურორი აცხადებს, აღნიშნული თანხით საპენსიო დავალიანებები უნდა დაფარულიყო, უნდა შევსებულიყო სახელფასო და საბიუჯეტო დეფიციტი, თუმცა თანხა "ეროვნულ ბანკში" გადაირიცხა იმ კრედიტის დასაფარად, რომელიც ფინანსთა სამინისტროს 1998 წელს ჰქონდა აღებული.

**"საქმე ეხება კონტროლის პალატის მიერ ამ წლებში ფინანსთა სამინისტროში ჩატარებულ რევიზიას, რომლის დასკვნის მიხედვით, "მსოფლიო ბანკის" მიერ გამოყოფილი 18,5 მილიონი ლარის ოდენობის თანხა არამიზნობრივად დაიხარჯა. აღნიშნული კრედიტიდან მხოლოდ საპენსიო ფონდს შვიდი მილიონი ლარი დააკლდა და, ეს დანაკლისი რომ არა, საპენსიო უზრუნველყოფის მხრივ ბევრი პრობლემა მოგვარებული იქნებოდა,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას თბილისის პროკურორმა ვალერი გრიგალაშვილმა.

ყოფილი ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი პროკურატურის ბრალდებებს უარყოფს და აცხადებს, რომ სამინისტროს "სტრუქტურულ გარდაქმნათა კრედიტი" არამიზნობრივად არ დაუხარჯავს.

**"ქალაქის პროკურატურაში კონტროლის პალატის მიერ 2001 წელს "სტრუქტურულ გარდაქმნათა კრედიტის" ათვისებასთან დაკავშირებით ჩატარებული მოკვლევის დასკვნის გამო დამიბარეს. პროკურატურის დაინტერესება, ძირითადად, დასკვნაში არსებულმა ჩანაწერმა გამოიწვია, რომლის თანახმად, ხარჯი, რომელიც აღნიშნული კრედიტით უნდა დაფინანსებულიყო, ეროვნული ბანკიდან აღებული სესხით დაიფარა. ამის გამო, თავის დროზე ჩვენ კონტროლის პალატას შენიშვნითაც მივმართეთ,"** - აცხადებს მირიან გოგიაშვილი. მისივე მტკიცებით, კრედიტი სრულიად კანონიერად, საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნათა შესაბამისად დაიხარჯა.

გოგიაშვილი დარწმუნებულია, რომ პროკურატურისათვის ყველაფრის ახსნას შეძლებს.

**"გამოძიება ამ საკითხთან დაკავშირებით კონკრეტულ დამნაშავეებს გამოავლენს, რომელთა პასუხისმგებლობის საკითხი დღის წესრიგში აუცილებლად დადგება,"** - აცხადებს თბილისის პროკურორი, რომელიც დაკითხვაზე სხვა ყოფილ თუ ახლანდელ მაღალჩინოსნებს ელოდება.

# გენპროკურატურა აქცენტს საბანკო დანაშაულებზე აკეთებს

*ბოლო პერიოდში უმაღლესი სამართალდამცველი ორგანოს აქცენტი უფრო საბანკო დანაშაულისკენ და, აქედან გამომდინარე, ბანკირებისკენ არის მიმართული. ამაში, ერთი მხრივ, გასაკვირი არც არაფერია, რადგან ბევრი დანაშაული სათავეს სწორედ საბანკო ოპერაციებში იღებს.*

თამარ კაციტაძე

ამ კუთხით ამჯერად აქტუალური "გამა ბანკი" გახდა. გუშინ გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა "გამა ბანკის" სათავო ოფისი და ფილიალები დააყადაღეს, ხოლო სასამართლომ ნებართვა გასცა საბუღალტრო და საფინანსო დოკუმენტაციის ამოღების და ჩხრეკის ჩატარების შესახებ, რაც სპეცრაზმის გამოყენებით განხორციელდა. ამ ფაქტზე პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე გადასახადების გადახდისთვის თავის არიდებისა და თაღლითობის მუხლებით აღიძრა. დაყადაღებისთანავე "გამა ბანკში" "ეროვნული ბანკის" დროებითი ადმინისტრაცია შევიდა, რათა გამოძიებისთვის საჭირო საბუთების გატანა-განადგურება არ მოხდეს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, გენერალური პროკურორის მოადგილემ კახა კობერიძემ გუშინ ბრიფინგი გამართა და განაცხადა, რომ 2004 წლის იანვარ-თებერვალში "გამა ბანკმა" მოკლევადიანი სესხები თხუთმეტ იურიდიულ არარეზიდენტ პირზე გასცა, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ამერიკასა და ბულგარეთში. სულ გაცემულია 2 მლნ 394 ათასი ლარის ოდენობის თანხა, რაც "გამა ბანკის" საკრედიტო პორტფელის 95 პროცენტს შეადგენს.

**"თანხა გამსესხებლების მიერ მხოლოდ სასესხო განცხადების საფუძველზე, უაღრესად დაბალი საპროცენტო განაკვეთებით არის გატანილი, რაც ბანკის შემოსავლებისა და ბიუჯეტში შესატანი თანხების დამალვის წინაპირობაა. გარდა ამისა, სასესხო დოკუმენტაციებში არ არის მითითებული სესხის მიზნობრიობა, არ არის გაფორმებული სასესხო და საგირავნო ხელშეკრულებები,"** - განაცხადა გუშინდელ ბრიფინგზე კახა კობერიძემ.

გენერალური პროკურატურა ეჭვობს, რომ ბანკმა ფულის გათეთრების კლასიკური ოპერაცია განახორციელა. ამიტომ, მათი აზრით, ჩატარებული ოპერაციებისთვის პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს არჩილ ქადაგიშვილს, გენერალურ დირექტორს გიორგი ქადაგიშვილს, მოადგილეს იამზე კორსანტიას, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს ზაზა გომელაურს და მთავარ ბუღალტერს იაგო გოტიშვილს.

გუშინვე გაიჩხრიკა ბანკის მმართველის, ირაკლი ქადაგიშვილისა და კიდევ რამდენიმე ხელმძღვანელი პირის საცხოვრებელი სახლები. გენერალური პროკურორის განცხადებით, კონკრეტულ პირთა დაკავებისა თუ ბრალდებულად ცნობის საკითხი მოგვიანებით გადაწყდება. თუმცა, გამოძიების პროცესში შესაძლებელია გაიზარდოს იმ პირთა სავარაუდო წრე, რომელთაც მაქინაციებისთვის პასუხისმგებლობა დაეკისრებათ.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ პროკურატურამ 2 მილიონ 400 ათასი ლარის გათეთრებაში დაადანაშაულა "საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორი დავით ფანჯიკიძე, რომელიც დაკითხვის დასრულების შემდეგ დააკავეს. დავით ფანჯიკიძე წარდგენილ ბრალდებას უარყოფს და აცხადებს, რომ პროკურატურის მიერ წარმოდგენილ საბუთებში იგი ბანკისა და საკუთარ ბრალეულობას ვერ ხედავს.

სხვათა შორის, სამი დღის წინათ, ზუგდიდის რაიონულმა პროკურატურამ "საქართველოს ბანკის" ერთ-ერთი ფილიალის ხელმძღვანელი ივანე ნიკოლეიშვილი დააკავა. აღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე, გამორიცხული არ არის, რომ უახლოეს დღეებში "საქართველოს ბანკში" რევიზია ჩატარდეს და ბანკის ანგარიშები დაყადაღდეს.

ერთი სიტყვით, საბანკო დანაშაულებისთვის სისხლის სამართლებრივი შეფასებები დაწყებულია და როგორც საგამოძიებო ორგანოები ვარაუდობენ, შესაძლებელია, პასუხისმგებლობა ბანკირებთან ერთად იმ მაღალჩინოსნებმაც გაიზიარონ, ვინც მათ საქმიანობას მფარველობდნენ. თუ, რა თქმა უნდა, მათი გვარები ცნობილი გახდება.


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## შესწორება

გაზეთ "24 საათის" 12 ივლისის ნომერში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ვაკანსიაში "B კომპონენტის კოორდინატორი" პუნქტი "კვალიფიკაცია და მოთხოვნები" უნდა შესწორდეს და წაიკითხოს შემდეგნაირად:

უმაღლესი განათლება

ქართული ენის კარგი ცოდნა (როგორც ზეპირი, ისე წერილობითი);

ინგლისური ენის ცოდნა (პრიორიტეტი)

მეტყველებისა და წერის კარგი უნარ-ჩვევები

საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილება (პრიორიტეტი)

კომპიუტერული უნარ-ჩვევები (Microsoft Office; Microsoft Excel; Microsoft Power Point; და უპირატესობა მიენიჭება PhotoShop-ის ცოდნას)

კოორდინატორად მუშაობის 2 წლის გამოცდილება

საქართველოს განათლების სისტემაში მუშაობის მინიმუმ 2 წლის გამოცდილება (სასურველია).

**ვაკანსიაში მითითებული განაცხადების წარდგენის საბოლოო ვადა გაგრძელებულია 29 ივლისამდე.**



## ს.ს. "თელასი" აცხადებს ტენდერს ასფალტის საფარის აღდგენით სამუშაოებზე:

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართონ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;

ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება შეუძლიათ განცხადების გამოცხადების დღიდან და დაინტერესების შემთხვევაში, თავიანთ შემოთავაზებები დატოვონ სს "თელასის" კანცელარიაში.

თბილისი, ვანის ქუჩა N3, I სართული.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 2 აგვისტო.



## "ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**22 ივლისს, 11.00-დან 15.00-სთ-მდე:**
ჭავჭავაძის გამზირის(ნაწილობრივ), მემედ აბაშიძის, ბარნოვის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, კეკელიძის, ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**23 ივლისს, 11.00-დან 15.00-სთ-მდე:**
ერისთავი-ხოშტარიას, კოტე მაყაშვილის, კოტე მესხის, ყიფიანის, კერესელიძის, ჭოველიძის, ზანდუკელის, ბესიკის, მთაწმინდის, გუნიას, თორაძის, გოგებაშვილის, კოსტავას, კაკაბაძის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**22 ივლისს, 11.00-დან 15.00-სთ-მდე:**
გლდანის VIII მიკრორაიონის მაცხოვრებლებს.

**23 ივლისს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**
ყაზბეგის (ნაწილობრივ), ვაჟა-ფშაველას (ნაწილობრივ) გამზირების, ამბროლაურის, ტაშკენტის ქუჩების მაცხოვრებლებს.



„ცენტრ პოინტი" ყველგან და ყველასთვის

15 წლის საუკეთესო გამოცდილება

მენაშენეთა ერთ-ერთი ლიდერი ცენტრ პოინტი

დაბალი ფასი, უმაღლესი ხარისხი, ზეთანამედროვე სამშენებლო ტექნოლოგიები

„ცენტრ პოინტი"

საუკეთესო არჩევანი!

თქვენ ეს დაიმსახურეთ!




სათავო ოფისი: თბილისი, ჭავჭავაძის 66, ტელ. 253216, 253217 232260
www.centerpoint.ge cp@centerpoint.ge

# კონფლიქტის ანატომია

*"24 საათი" აგრძელებს ცნობილი დემოგრაფის, პროფესორ ანზორ თოთაძის წერილების გამოქვეყნებას, იმის თაობაზე, თუ როგორ წარმოიშვა ქართულ-ოსური კონფლიქტი, როგორია ისტორიული და სოციალური რეალობა, რატომაა აბსურდული საუბარიც კი, "გახლეჩილ ოს ხალხზე" და მათ გაერთიანებაზე. დღეს გთავაზობთ პუბლიკაციათა სერიის მეორე წერილს (დას.იხ. "24 საათი" N170).*

## დამახინჯებული რეალობა

ანზორ თოთაძე
პროფესორი,
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალურ საკითხთა პოლიტიკის დეპარტამენტის დემოგრაფიის სამმართველოს უფროსი

ახლა ცხინვალის რეგიონში ქართველი ხალხი და უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტი ეძებენ კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის გზებს. ქართველი კაცი ოსებთან მხოლოდ მშვიდობიან თანაარსებობას ითხოვს და ეს მისი სავსებით სამართლიანი მოთხოვნაა. მას სჯერა, რომ აქ არსებული წინააღმდეგობის გადაწყვეტა სავსებით შესაძლებელია ურთიერთნდობისა და კეთილი ნების პირობებში. ცხინვალის მოსახლეობის შესახებ ზემოთ აღნიშნული მონაცემები ნათლად გვიჩვენებენ, რომ ქართველ კაცს ოსები ცხინვალში უშურველად მიუღია და მათთვის კეთილმეზობლობაც გაუწევია. თუ იაკობ გოგებაშვილის სიტყვებს მოვიშველიებთ, "ეხლაც ქართველობას... სხვებისათვის სიკეთის მეტი არაფერი სურთ, ითხოვს მხოლოდ, რომ მას მიუწყონ იმავე საწყაულით, რომლითაც იგი უწყავდა სხვებს".

2004 წლის 10 ივლისს რუსეთის დუმამ მიიღო სრულიად უპრეცენდენტო, პროვოკაციული განცხადება იმის შესახებ, რომ ოსეთი ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს 1774 წელს და რუსეთი მოვალეა დაიცვას თავისი ოსი მოქალაქეების უფლებები. მათი აზრით, რუსეთს ამ წელს შეუერთდა როგორც სამხრეთი ისე ჩრდილოეთი ოსეთი - ცხინვალიდან ვლადიკავკაზის ჩათვლით. ამდენად ისინი აცხადებენ, რომ დამოუკიდებელ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი რუსი სამხედროები ახლა უკვე საკუთარ მოქალაქეებს იცავენ და რუსეთი, თითქოს, გასაჭირში მყოფ თავის მოქალაქეებს არ მიატოვებს ბედის ანაბარად. ისტორია და ფაქტები კი სრულიად სხვას მეტყველებენ.

ქართველ ხალხს ოსებთან ერთად ბევრჯერ გაუყვია ჭირი და ლხინი და სწორედ საქართველოში შეიქმნა პირობები ოსური კულტურის, ლიტერატურის, ენის განვითარებისთვის. როდესაც საქართველოში ზრუნავდნენ ოსური სკოლების გახსნის, მათი სულიერი მემკვიდრეობის შენარჩუნებისათვის, ამ დროს რუსეთი ოსების ასიმილატორულ პოლიტიკას ატარებდა, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

"ზოგიერთები, ვინც ვლადიკავკაზსა და მოსკოვში სხედან, - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა 2004 წლის 11 ივლისს ოსების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე, - ცდილობენ თავიანთი ავადმყოფური ამბიციები დაიკმაყოფილონ ქართველებისა და ოსების ხარჯზე. ჩვენ ყოველთვის ვეცდებით, ხელი შევუწყოთ ოსური ენის, კულტურის განვითარებას. არავის არ უნდა ომი, გარდა კოკოითისა და მისი მფარველებისა მოსკოვში, რომლებიც ცდილობენ ოსები ფარად აიფარონ თავიანთი იმპერიული მიზნების დასაკმაყოფილებლად." მიხეილ სააკაშვილის მიერ არსებული ვითარების საბოლოო შეფასება ობიექტურ რეალობას ემყარება: "თუ ვინმეს მიაჩნია, რომ საქართველო ამგვარ პროვოკაციას წამოეგება, ძალიან ცდება, რადგან ჩვენ სახელმწიფო ვართ და ასე ადვილად ვერ დაგვაშინებენ. თუ იქიდან აგრესია იქნება, მზად ვართ თავი დავიცვათ. პრეზიდენტმა პუტინმა აღმითქვა, რომ ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა მშვიდობა იყოს".

ახლა თუ ისევ განსახილველ საკითხს დავუბრუნდებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ XIX საუკუნემდე არავითარი ისტორიული დოკუმენტი არ არსებობს, სადაც შიდა ქართლის მთიანეთი ოსეთად იწოდებოდეს. წარსულში ქართლის მთიანეთში მცხოვრებ ოსს აზრადაც არ მოუვიდოდა ეთქვა, ოსეთში ვცხოვრობ, რადგან მან კარგად იცოდა - ქართულ მიწაზე ხიზნად იყო დასახლებული. შიდა ქართლი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო.

მაგრამ ჩინოვნიკები არც ერთ ეპოქას არ აკლდა და, ძირითადად, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ისინი ხელოვნურად და წინასწარგანზრახულად შეთხზულ ტერმინებს - "ჩრდილოეთ ოსეთსა" და "სამხრეთ ოსეთს" ამკვიდრებენ ხმარებაში. ასე რომ, გარკვეულ ძალებს ყოველთვის აწყობდათ ოსების ასეთი დაყოფა კოლონიური პოლიტიკის გასატარებლად. სწორედ ასეთმა ძალებმა მიგვიყვანეს დღეს არსებულ კონფლიქტამდე. როგორც სამართლიანად მიუთითებენ, ეს იმას ჰგავს, რომ საქართველოს რაიონებს, სადაც ამჟამად სომხები, აზერბაიჯანელები და ბერძნები ცხოვრობენ, შესაბამისად ვუწოდოთ ჩრდილოეთი სომხეთი, დასავლეთი აზერბაიჯანი ან აღმოსავლეთი საბერძნეთი. ბუნებაში მხოლოდ ერთი, ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარე ოსეთი არსებობს.

რაც შეეხება ოსეთის რუსეთთან გაერთიანების პროცესს, იგი XIX საუკუნის 20-იან წლებში დასრულდა და, რა თქმა უნდა, არ შეეხებოდა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ოსებს, რომლებიც ახალი გადმოსულები იყვნენ საქართველოში საცხოვრებლად და ქართლ-კახეთის სამეფოს ქვეშევრდომებს შეადგენდნენ. უფრო მეტიც, 1774 წელს რუსეთს შეუერთდა ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები არა ყველა ოსი (იმ პერიოდში ოსეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმონაქმნი, არ არსებობდა), არამედ, როგორც დოკუმენტები ადასტურებენ, მათი ერთი ნაწილი. როგორც ცნობილია, XIII-XIV საუკუნეებში ჯერ მონგოლ-თათრების, შემდეგ კი თემურ ლენგის ურდოების შემოსევების შედეგად, ჩრდილოეთ კავკასიის ნაყოფიერ ველებზე ოსები სასტიკად იქნენ დარბეულნი. ოსთაგან მიტოვებული დაბლობები ყაბარდოელებმა ჩაიგდეს ხელთ და ამის შედეგად ოსები მთლიანად მცირე მიწიან მთებში აღმოჩნდნენ შემწყვდეულნი, სადაც ჩამოყალიბდა "ალაგირის", "ქურთათის", "თაგურის" და "დიგორის" ოსური თემები. ამ საკითხების შესანიშნავი მცოდნე, აწ გარდაცვლილი ახალგაზრდა მეცნიერი ვ. ითონიშვილი აღნიშნავდა: "XVIII საუკუნის შუა წლებიდან ოსეთში საბოლოოდ იძალა პრორუსულმა ორიენტაციამ. საუკუნეების მანძილზე ცენტრალური კავკასიონის ვიწრო ხეობებში შეყუჟული და ყაბარდოელ ფეოდალთაგან შევიწროებული ოსი ხალხის ისტორიული არჩევანი 1774 წელს გაკეთდა, როდესაც ალაგირის, ქურთათისა და თაგურის ოსური თემები, ყაბარდოსთან ერთად, რუსეთს შეუერთდა... 1781 წელს იგივე ნაბიჯი გადადგა დიგორის ოსურმა თემმაც" (ვ. ითონიშვილი. სამხრეთ ოსეთი - ცენტრალურ საქართველოში?! იხ. კრებული: ოსთა საკითხი. თბ., 1996, გვ. 15). საქართველოში მცხოვრები ოსებისა და სხვა ეროვნებების რუსეთის შემადგენლობაში შესვლა გიორგიევსკის ტრაქტატის დადების შედეგად მოხდა.

ტერმინი "სამხრეთ ოსეთი" პირველად გამოყენებულია 1830 წელს წერილების სერიაში, რომელიც დაიბეჭდა "ტიფლისკი ვედომოსტში" (№ 72-86). როგორც ჩანს, კორესპონდენტი ამ ტერმინს საკუთარი ინიციატივით იყენებს, რადგან 1830 წელს გრაფ პასკევიჩის სამხედრო მინისტრ ჩერნიშოვისადმი წარდგენილ ანგარიშში აღნიშნულია: ოსი ტომის დაშოშმინებისათვის მიზანშეწონილად მივიჩნიე მცირე სამხედრო ექსპედიციის ჩატარება. ეს ექსპედიცია მიმართული იქნება კავკასიის მთიანეთის სამხრეთით მდებარე ჩრდილოეთ ქართლის ოსების წინააღმდეგ. (ს. ლეკიშვილი. როდის გაჩნდა ტერმინი "სამხრეთ ოსეთი?" იხ. წიგნში: "ოსთა საკითხი". თბ., 1996, გვ. 261). კორესპონდენტის აზრით, მის მიერ "სამხრეთ ოსეთად" წოდებული ზონის მოსახლეობის საერთო რაოდენობა 7200 სულს შეადგენდა. საერთოდ ტერმინ "სამხრეთ ოსეთის" გაჩენის შესახებ დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის მკვლევარი ს. ლეკიშვილი. მან დაამუშავა ოსეთის შესახებ

**1774 წელს რუსეთს შეუერთდა ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები არა ყველა ოსი (იმ პერიოდში ოსეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმონაქმნი, არ არსებობდა), არამედ, როგორც დოკუმენტები ადასტურებენ, მათი ერთი ნაწილი.**

არსებული თითქმის ყველა ისტორიული დოკუმენტი და საბუთი და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ 1830 წლამდე, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ წერილობით წყაროებში ოსეთის მიმართ რაიმე მსაზღვრელის - "ჩრდილოეთის" თუ "სამხრეთის" გამოყენების არცერთი ფაქტი არ დასტურდება. ტერმინ "სამხრეთ ოსეთს" არ იყენებენ ევროპელი თუ რუსი მისიონერები და მოგზაურები, კერძოდ, არქანჯელო ლამბერტი, ჟან პიერ შარდენი, ი. გიულდენშტიდტი, ი. კლაპროტი, ე. ზიჩი, ვ. რუბრუკვისი, ბარბარო და სხვ. მხოლოდ გერმანელი პროფესორი კ. კოხი აფიქსირებს ტერმინ "სამხრეთ ოსეთს" ქართული ისტორიული პროვინციის დვალეთის აღსანიშნავად და ისიც XIX საუკუნეში. დვალეთის შესახებ კი, რომ არაფერი ვთქვათ ქართულ წყაროებზე, რუსულ წერილობით ძეგლებში შემდეგია აღნიშნული: "დვალეთი (ნარ-მამისონის ქვაბული) მთელ შუა საუკუნეებში საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ იგი შედიოდა თბილისის გუბერნიაში და მხოლოდ 1859 წელს შეუერთდა ვლადიკავკაზის (ოსეთის) ოკრუგს (Очерки истории Юго-Осетинской А/О, т. I, 1985, с. 120). ამასთან, აღსანიშნავია, რომ რუსი მეცნიერები ჩრდილოეთ ოსეთს უწოდებენ ისტორიულ ოსეთს (დ. ლავროვი. "ნარკვევი ოსეთისა და ოსების შესახებ". ჟურ. "ტერსკიე ვედომოსტი". №20, 1874).

ს. ლეკიშვილის გამოკვლევით მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ტერმინი "სამხრეთ ოსეთი" იშვიათად გვხვდება. როგორც იგი მიუთითებს, კავკასიის არქეოლოგიური კომისიის აქტების თორმეტტომეულში, რომელიც შეეხება 1864-1917 წლებს და მოიცავს ათი ათასზე მეტ ისტორიულ დოკუმენტს ქართულ, არაბულ, რუსულ, სპარსულ და თურქულ ენებზე, ტერმინი "სამხრეთ ოსეთი" დაფიქსირებულია მხოლოდ ერთხელ. 1852-1915 წლების ქართულ პერიოდულ პრესაში, კერძოდ, 30-ზე მეტი დასახელების ჟურნალ-გაზეთში, ტერმინი "სამხრეთ ოსეთი" გამოყენებულია მხოლოდ ორჯერ. ამავე დროს რუსი მეცნიერები მიუთითებენ, რომ "სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ოსები შედარებით ახალმოსულები არიან. ადრე აქ სხვა ხალხი ცხოვრობდა, რომელმაც თავის შესახებ ხსოვნა ბევრი ადგილის გეოგრაფიულ სახელწოდებებში დატოვა" (Г. Чурсин. Осетины; сб. Юго/осетия, 1924, с.133-137). პროფესორი ვ. პფაფი კი აღნიშნავს: "ყველა ამიერკავკასიელ ოსს ახსოვს, რომ გადმოსახლდა ჩრდილოეთიდან" (В. Пфаф. Этнологические исследования об осетинах, сб. свед. о Кавказе, №2). აკად. ნ. დუბროვინი ამავე საკითხზე კი შემდეგს მიუთითებს: "მცირე მიწიანობის გამო ოსების ნაწილი კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებზე გადმოსახლდნენ... დაიკავეს რა დიდი და მცირე ლიახვის, ქსნისა და მისი შენაკადების ხეობები, ოსები გახდნენ თავად ერისთავებისა და მაჩაბლების ყმები. ეს გადმოსახლებულები შეადგენენ სწორედ ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის

**წარსულში ქართლის მთიანეთში მცხოვრებ ოსს აზრადაც არ მოუვიდოდა ეთქვა, ოსეთში ვცხოვრობ, რადგან მან კარგად იცოდა - ქართულ მიწაზე ხიზნად იყო დასახლებული.**

მოსახლეობას" (Н. Дубровин. История воины и владычества Руских на Кавказе. т. I, с. 187, СПБ, 1871). ცნობილი კავკასიათმცოდნე ლ. ზაგურსკის მიხედვით, "ძირეული ოსეთი მდებარეობს კავკასიის ქედის ჩრდილოეთის კალთებზე" (Л. Загурский. Административные отделы Кавказского края. Известия Кавказского отдела. Тб., 1877-1878. с. 118).

ჩვენ მიერ მოტანილი მასალა მოპოვებული აქვს მკვლევარ ს. ლეკიშვილს. საილუსტრაციოდ მრავალი ასეთი მასალის მოტანა შეიძლება, მაგრამ საკითხის თვალსაჩინოებისათვის აღნიშნულიც სავსებით საკმარისია. ის, რომ საქართველოში ოსები შედარებით ახლახანს გადმოსახლდნენ მათი ისტორიული სამშობლოდან - ჩრდილოეთი ოსეთიდან, ქართულ მეცნიერებაში არავითარ ეჭვს არ იწვევს და ეს საკითხი საკმაოდ კარგად არის გაშუქებული. მაგრამ ჩვენ აქ სპეციალურად მოვიყვანეთ მხოლოდ ცნობილი რუსი მეცნიერების მოსაზრებანი, რომლებიც აბსოლუტურად თანხვდება ქართველ მეცნიერთა შეხედულებებს.

სწორედ ზემოთ აღნიშნულის გამო რუსულმა მმართველობამ აღმოსავლეთ საქართველოს ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის დროს ცხინვალის რეგიონი მიაკუთვნა თბილისის გუბერნიის გორის მაზრას, სადაც ცხინვალი საპოლიციო უბანს წარმოადგენდა. "სამხრეთ ოსეთის" ოლქი შეიქმნა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს არსებობისათვის უნდოდათ შეექმნათ რეალური საფრთხე, რასაც მიაღწიეს კიდეც. ჯერ 1920 წლის 28 ოქტომბერს რუსეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ განიხილა საკითხი "სამხრეთ ოსეთისათვის ავტონომიის მინიჭების თაობაზე", ხოლო შემდეგ, 1922 წლის 7 აპრილს უძველესი ქართული პროვინცია ცხინვალის რეგიონი, საქართველოს ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტის საფუძველზე, ყოველგვარი სამართლებრივი ნორმების უგულებელყოფით, "სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქად" გამოცხადდა.

ეს საზღაური გაღებულ იქნა ოსი ბოლშევიკების სამსახურისათვის - მათ 1918-1920 წლებში სამჯერ მოაწყვეს აჯანყება საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დასამხობად. გარდა ამისა, "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" შექმნით რუსეთს ყოველთვის შეეძლო ზეწოლა მოეხდინა საქართველოზე, რამაც შესანიშნავად გაამართლა 70 წლის შემდეგაც კი - დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პირობებში. რუსეთის რეაქციული ძალების მხარდაჭერით, ოსმა სეპარატისტებმა შუაგულ საქართველოში, შიდა ქართლში გამოაცხადეს სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი, სუვერენული რესპუბლიკა. ოსი ხალხის საკმაოდ დიდმა, ჯანსაღმა ნაწილმა მაშინვე იგრძნო და დაგმო ერთი მუჭა ოსი სეპარატისტების ყოვლად უაზრო და დაუფიქრებელი მოქმედება. საქვეყნოდ ცნობილმა ოსმა მეცნიერმა ვ. აბაევმა, რომელიც მოსკოვში მოღვაწეობდა, გამოაქვეყნა სტატია "სამხრეთ ოსეთის ტრაგედია". მან ისტორიულ რეალობებზე დაყრდნობით, ობიექტურად შეაფასა 1990-იანი წლების დასაწყისში "სამხრეთ ოსეთში" მიმდინარე პროცესები. იგი აღნიშნავდა: "მინდა ვიყო ობიექტური და გავარკვიო, იყო თუ არა ოსების მხრიდან რაიმე ნაჭარევი, მოუფიქრებელი მოქმედებები, რომლებმაც პროვოკაციის მოწყობით გაამწვავეს დაპირისპირება, და უნდა გამოვტყდე, რომ ასეთი მოქმედებები იყო. მხედველობაში მაქვს სუვერენიტეტის გამოცხადება, რომელიც მთლიანად ორიენტირებული იყო მოსკოვზე, პერსპექტივაში სამხრეთი და ჩრდილოეთი ოსეთის გაერთიანებით. სამხრეთელი ოსების მისწრაფება თავის ჩრდილოელი თვისტომებისაკენ ადამიანურად გასაგებია, მაგრამ გეოპოლიტიკური პლანით ეს შეცდომაა. კავკასიის მთავარი ქედი - ბუნებრივი საზღვარია საქართველოსა და ოსეთს შორის და ამ საზღვრის მოშლის ყოველგვარი მცდელობა გამოიწვევს პერმანენტულ კონფლიქტურ მდგომარეობას ქართველებსა და ოსებს შორის. იმისათვის, რომ აღვადგინოთ ტრადიციული მეგობრული ურთიერთობები ორ ხალხს შორის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დავამთავროთ საუბარი საქართველოდან სამხრეთ ოსეთის გამოყოფის შესახებ. საქართველოს არც ერთი ხელისუფლება ამას არასოდეს შეურიგდება და მართალიც იქნება". მისივე აზრით, სამხრეთ ოსეთი უნდა გათავისუფლდეს ბუტაფორიული "სუვერენიტეტისაგან" (Абаев В. Трагедия Южной Осетии. "Независимая газета", №3, 1992).

როგორც იქნა, ე. წ. სამხრეთ ოსეთში მიმდინარე კონფლიქტს თავისი სახელი დაერქვა. საქართველოს პრეზიდენტმა გარკვევით აღნიშნა, რომ ახლა რეალურად საქართველოს შიდა კონფლიქტის ნაცვლად, საქართველოსა და რუსეთს შორის დაპირისპირებას აქვს ადგილი. "ამ კონფლიქტში მეორე მხარე მოსკოვია და არა ცხინვალი. ეს ქართულ-რუსული ურთიერთობის საკითხია".

ეს კონფლიქტი თავის დროზე რუსეთის რეაქციულმა წრეებმა მოამზადეს: ისინი აშკარად თუ ფარულად ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ოსი ხალხი ქართველებისათვის დაეპირისპირებინათ. ამ საქმეში ისინი მოხერხებულად იყენებდნენ ერთ მუჭა პროვოკატორებსა და სეპარატისტულ ძალებს, სათანადო მუშაობასაც ყოველთვის მეთოდურად წარმართავდნენ, განსაკუთრებით ფართოდ იყენებდნენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს.

მაშინდელი საკავშირო პრესა მეტად დამახინჯებულად, ცალმხრივად, რეალური ვითარების გვერდის ავლით განიხილავდა ქართველთა და საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების, მათ შორის ოსთა, ურთიერთობის საკითხებს, ტენდენციურად აშუქებდა საქართველოში ოსი მოსახლეობის განსახლების ისტორიას, საერთოდ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებს და ამით, ფაქტობრივად, ამზადებდა იმ სისხლისმღვრელ კონფლიქტებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში. საილუსტრაციოდ,

**საქვეყნოდ ცნობილი ოსი მეცნიერი ვ. აბაევი 1990-იანი წლების დასაწყისში წერდა: "სამხრეთელი ოსების მისწრაფება თავის ჩრდილოელი თვისტომებისაკენ ადამიანურად გასაგებია, მაგრამ გეოპოლიტიკური პლანით ეს შეცდომაა. კავკასიის მთავარი ქედი - ბუნებრივი საზღვარია საქართველოსა და ოსეთს შორის და ამ საზღვრის მოშლის ყოველგვარი მცდელობა გამოიწვევს პერმანენტულ კონფლიქტურ მდგომარეობას ქართველებსა და ოსებს შორის. იმისათვის, რომ აღვადგინოთ ტრადიციული მეგობრული ურთიერთობები ორ ხალხს შორის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დავამთავროთ საუბარი საქართველოდან სამხრეთ ოსეთის გამოყოფის შესახებ. საქართველოს არც ერთი ხელისუფლება ამას არასოდეს შეურიგდება და მართალიც იქნება".**

"ვთქვათ მრავალთაგან მცირედი":

1990 წელს საკავშირო ჟურნალ "დიალოგში" (№13) დაიბეჭდა ვინმე ა. ტაუსოვას სტატია "წინადღე", რომელსაც სპეციალურად შეკვეთილის ნიშნები აშკარად ეტყობა. სტატიამ ხელი შეუწყო ისედაც დაძაბული სიტუაციის გამწვავებას. მაგალითად, ა. ტაუსოვა სტატიაში აღნიშნავდა: "ოსები ორად არიან გაყოფილი და ქმნიან ავტონომიურ წარმონაქმნებს ორ მოკავშირე რესპუბლიკაში - საქართველოსა და რუსეთში". საქმის არსში გაუთვითცნობიერებელ მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თითქოს ვილაცამ შეგნებულად გაყო ერთიანი ოსეთის მიწა, თითქოს ეს ისეთივე მოვლენა იყო, როგორც ორად გაყოფილი გერმანია ან კორეა. მკითხველისათვის დაფარულია ჭეშმარიტება, მოვლენის მთავარი არსი, კერძოდ ის, რომ ოსები არც ისე დიდი ხნის წინათ გადმოსახლდნენ თავიანთ სამშობლოდან - ოსეთიდან საქართველოში და ამის შემდეგ ცხოვრობენ აქ ქართველებთან ერთად. ეს ზუსტად ისეთივე შემთხვევაა, სომხებმა რუსეთში, კერძოდ, როსტოვის ოლქში ან სტავროპოლის მხარეში რომ მოითხოვონ ავტონომია, სადაც ისინი საკმაოდ მრავლად და დიდი ხანია ცხოვრობენ. რუსეთში უკვე ცხოვრობს შვიდი ისეთი ეროვნების ხალხი, მათ შორის სომხები, რომელთა რაოდენობა ცალ-ცალკე ერთ მილიონს აჭარბებს. თუ 1989 წელს რუსეთში სომხების რაოდენობა 532 ათას კაცს უდრიდა, 2002 წელს მათმა რაოდენობამ მილიონ 130 ათასი კაცი შეადგინა.

ტენდენციურობისა და ფაქტების უაღრესად დამახინჯების ნიმუშს წარმოადგენს გაზეთ "კომსომოლსკაია პრავდაში" (31 იანვარი 1991წ.) გამოქვეყნებული საკუთარი კორესპონდენტის ფ. სიზის წერილი: "სახლი ფანჯრებით ომისაკენ". იგი ცხინვალში იმყოფებოდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ინტერნაციონალურ ოჯახში ცხოვრობდა. და აი, ამ ოჯახის ფანჯრიდან იგი მხოლოდ იმას ხედავს, თუ როგორ ხოცავენ ქართველები ოსებს, როგორ აწიოკებენ ქართველები ცხინვალის მოსახლეობას და როგორ ძარცვავენ ისევ ქართველები მაღაზიებს, არბევენ საზოგადოებრივ შენობებს და სხვა. მას არ უნდა მოვლენებს თავისი ნამდვილი სახელი უწოდოს. იგი სიტყვასაც არ ძრავს იქ დახოცილი ქართველი მოსახლეობისა და ქართველი მილიციელების შესახებ, მილიონობით მკითხველს შეგნებულად უმალავს უამრავი ქართველი ლტოლვილის ბედს, რომლებიც იძულებულნი გახდნენ სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით აყრილიყვნენ ძირძველი ქართული მიწა-წყლიდან.

კიდევ ერთ სტატიას უნდა შევეხოთ, რომელიც ჟურნალისტმა ს. ჩერიომინმა გამოაქვეყნა გაზეთ "ტრუდში" (16 და 17 მაისი, 1991 წ.). ეს დაკვეთილი სტატია, რომლის სათაურია "დაპირისპირება", ჩვენ მოგვაქვს როგორც ნიმუში იმისა, თუ როგორ ქმნიდნენ რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ქართველი ხალხისგან მტრის ხატს. თავის დროზე უამრავი ასეთი სტატია გამოქვეყნდა, თუმცა, რუსეთისთვის საჭირო მომენტში, არც ახლა იგრძნობა ანალოგიური ხასიათის სტატიების ნაკლებობა. ს. ჩერიომინს წინასწარ აკვიატებული აზრები იმდენად აწუხებს, რომ მკითხველი ადვილად ხედავს აშკარად შენიღბულ ზრახვებს, ხელოვნურად შეთითხნილ ვერსიებსა და ფაქტებს. როგორც მოსალოდნელი იყო, იგი უაზრობისა და ულოგიკობის ტყეობაში აღმოჩნდა. ამდენად, ს. ჩერიომინსა და გაზეთ "ტრუდის" რედაქციასაც მონდომებამ უქმად ჩაუარა, რადგან "დათხუპნული, დახატული არაა".

ავტორს ისე მოუვიდა, როგორც ერთ დაღესტნელს, რომელმაც შეყვარებული ნაბადში გაახვია და ისე მოიტაცა, მაგრამ ნაბადი რომ გახსნა, თავისი შეყვარებულის უკბილო ბებია შერჩა ხელში.

ამჯერად ზედმიწევნით გამართლდა ძველი ლათინური გამოთქმა: ჭეშმარიტება სიძულვილს შობსო; ამ სიძულვილმა ისე დააბნელა ს. ჩერიომინის გონება, რომ საბოლოოდ, ავტორის დიდი სურვილის მიუხედავად, დაემალა თავისი ნამდვილი სახე, აშკარად ტენდენციური და უკბილო პუბლიკაცია შეგვრჩა ხელთ.

ს. ჩერიომინი ცინიკურად შენიშნავს, რომ ქართველი მეცნიერები იქექებიან არქივებში წინაპრების ვინაობის დასადგენად, მაგრამ მათ ამოძრავებთ არა მეცნიერული ინტერესები, არამედ იმის სურვილი, დაამტკიცონ, რომ ქართულ მიწაზე ოდითგან მცხოვრები ხალხები აქ "სტუმრები", "უცხოელები" არიან. აქვე ს. ჩერიომინი ისევ აგრძელებს ქილიკს: თავისთავად "ბინადრობის ცენზის" შესახებ კამათი და ლაპარაკი სქოლასტიკური ოინბაზობააო. მას დიდ ცოდვად მიაჩნია ქართველი მეცნიერების მიერ წინაპრების ვინაობის დადგენა, მაგრამ როდესაც თვითონ მართლაც აბსურდულ სტატიებს აქვეყნებდნენ თავიანთი წინაპრებისა და მათი ვინაობის შესახებ, არავის ეყო მეცნიერული სინდისი ეთქვა სიმართლე. აი, რას წერდა, მაგალითად, პოპულარული ჟურნალი "ტეხნიკა მოლოდიოჟი" (№8, 1977 წ.): "ჩვენს წელთაღრიცხვამდე II ათასწლეულის ბოლოს და I ათასწლეულის დასაწყისში კიმერიულ-სლავიანური რაზმები, თრაკიისა და ბოსფორის გავლით, იჭრებოდნენ მცირე აზიაში, ხოლო სამხრეთ რუსეთიდან დარიალის ხეობით ამიერკავკასიაში შედიოდნენ... მალე ურარტუს სათავეში მოექცა მეფე რუსა I (მე-8 საუკუნე ჩვ. წელთაღრიცხვამდე). კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთით, თბილი წყაროების ახლოს, დაარსდა საყრდენი პუნქტი ტეპლიცე, შემდგომში ტიფლისი (ამჟამად თბილისი). შემდეგ სლავებმა აღმართეს სამეგრელოში ციტადელი, რომელმაც მიიღო გორდას სახელწოდება ("გოროდ"-იდან, "გრად"-იდან). ამრიგად, გამოდის, რომ თბილისი და გორდა სლავებს დაუარსებიათ. კომენტარები აქ, მართლაც, ზედმეტია; ამაზე შორს ვერსად წავა კაცი. მაგრამ თუ მაინცდამაინც უფრო შორს წასვლას დააპირებენ, მაშინ იქნებ მოკლე, უვადო ხმლის "გორდას" ან კახეთის სამეფოს ძველ დედაქალაქ გრემის ეტიმოლოგიაც გაარკვიონ. ეს უკანასკნელი არ არის გამორიცხული, რომ რუსული სიტყვა "გრემეტ"-დან იყოს წარმოშობილი.

ახლა გავეცნოთ ს. ჩერიომინის მიერ მოტანილ მთლიანად არაფრის მთქმელ მონაცემებს, რომლებიც, მისი აზრით, თითქოს გვიჩვენებენ თუ როგორ ცუდად ცხოვრობენ და იჩაგრებიან ოსები საქართველოში. არავინ არ არის ისეთი გულუბრყვილო, რომ იფიქროს ს. ჩერიომინს, მართლაც, გული შესტკიოდეს ოს ხალხზე, მას მხოლოდ იმპერიული ინტერესები ამოძრავებს, ცდილობს დაუბნელოს ასეთი პუბლიკაციებით ადამიანებს გონება, მოწამლოს მათი ცნობიერება, დააყენოს ისინი აგრესიის გზაზე.

რადგან ს. ჩერიომინს წინასწარ აკვიატებული აზრები აწუხებს, იმასაც გვდებს ბრალად, რომ მოსახლეობის ერთ სულზე საქონელბრუნვა ანუ საქონლის შესაძენად გაწეული ფულადი დანახარჯები სამხრეთ ოსეთში უფრო დაბალია, ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკაში. არადა, ასეთი მოვლენა სავსებით კანონზომიერია. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფლის მცხოვრებთა ხვედრითი წილი ყოფილ სამხრეთ ოსეთში უფროა მაღალი იყო, ვიდრე შესაბამისი რესპუბლიკური მაჩვენებელი. ამასთან, სოფლის მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი ნაკლებია, რადგან სოფლებში მაღალია ნატურალური მოხმარების დონე, რაც ძირითადად პროდუქციის წარმოებაში პირადი დამხმარე მეურნეობის დიდი ხვედრითი წილით იყო განპირობებული. ქალაქად და განსაკუთრებით თბილისში, სადაც რესპუბლიკის მოსახლეობის ყოველი მეოთხე კაცი ცხოვრობს, მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილება სასურსათო და არასასურსათო საქონელზე ძირითადად ვაჭრობის მეშვეობით ხდება. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ საკურორტო მეურნეობა საქართველოს სხვა რეგიონებში უფრო განვითარებული იყო, ვიდრე ყოფილ სამხრეთ ოსეთში, საქონლის შესაძენად დამსვენებელთა მიერ გაწეული ფულადი დანახარჯები კი საქონელბრუნვის რესპუბლიკურ მაჩვენებელში აისახებოდა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ: როკის გვირაბის აშენების შემდეგ, ყოფილი სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა თავის ისტორიულ სამშობლოში - ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში იძენდა დიდი რაოდენობით სასურსათო და არასასურსათო საქონელს, და, ბუნებრივია, მათ მიერ გაწეულ ფულადი დანახარჯებიც ჩრდილოეთ ოსეთის საქონელბრუნვის მოცულობაში აისახებოდა.

ს. ჩერიომინი არ ცხრება და კვლავ აგრძელებს ყოვლად უსაფუძვლო მონაცემების მოტანას, კვლავ ცდილობს თვალებში ნაცარი შეაყაროს მკითხველს. როგორც ჩანს, იგი ან საერთოდ ვერ ერკვევა მოვლენებსა და პროცესებში, ან თავს განგებ ისულელებს. მაგალითად, იგი აღნიშნავს, რომ 1987 წელს ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობამ ყოველ ათას დაბადებულზე საქართველოს რესპუბლიკაში 24,3, ხოლო ყოფილ სამხრეთ ოსეთში - 27 ბავშვი შეადგინა. თუ ავტორს ამით იმის თქმა სურს, რომ სამხრეთ ოსეთში უფრო მაღალია ბავშვთა მოკვდაობის დონე და ამას არავითარი ყურადღება არ ექცევაო, მაშინ ერთი წლის მონაცემების მოტანა უბრალოდ უხერხულია. ამას ისიც ადასტურებს, რომ წინა წლებში სრულიად საპირისპირო მოვლენას ჰქონდა ადგილი. კერძოდ, 1981 წელს ყოველ ათას ახალშობილზე ერთ წლამდე ასაკში ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 24,7 ბავშვი გარდაიცვალა, აფხაზეთში - 29,9; აჭარაში - 58,6; ხოლო რესპუბლიკაში - 29,7 ბავშვი. ასევე წლების მანძილზე თბილისში გაცილებით მაღალია ბავშვთა მოკვდაობის დონე, ვიდრე ყოფილ სამხრეთ ოსეთში. მაგალითად, 1989 წელს ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ერთ წლამდე ასაკში ყოველი ათასი ბავშვიდან გარდაიცვალა 22,5, ხოლო თბილისში - 24,2 ბავშვი. საინტერესოა ამ მონაცემებს როგორ კომენტარს გაუკეთებდა ს. ჩერიომინი?

რაც შეეხება მუშაობის ხარისხობრივ მაჩვენებლებს, აქ სრულიად საწინააღმდეგო ვითარებასთან გვქონდა საქმე: 1980-იანი წლების ბოლოს მნიშვნელოვნად შემცირდა შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი მრეწველობაში. დაბალი იყო სოფლის მეურნეობის განვითარების თითქმის ყველა მაჩვენებელი.

ამის მიუხედავად, სოციალური სფეროს განვითარების რიგი მაჩვენებლებით "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი" საბჭოთა კავშირში პირველ ადგილზე იმყოფებოდა.

### ქველმოქმედების კულტურა და კუბური ბალეტი



მსოფლიოში ერთ-ერთი ცნობილი დასის სოლისტი თბილისში ჩამოვიდა.

B2

### შურისძიება



დევიდ ბექჰემის უბედურება გრძელდება. მისი სახლი ხანძარს გადაურჩა.

B4

### ბესი - თეთრი სახლის უკანასკნელი იმედი



რამდენად გაზრდის ბუშის შანსებს ბენ ლადენის დაჭერა.

B7

*იუბილე*

# ბოროტ გოლიათებთან მებრძოლი

*105 წლის წინათ დაიბადა ერნესტ ჰემინგუეი, ამერიკელი მწერალი, თავგადასავლების მაძიებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი. ჩვენი საუკუნის არცერთ მწერალს არ უმოგზაურია, არ ჰყვარებია, არ განუცდია და არ დაულევია იმდენი, რამდენიც ერნესტ ჰემინგუეის უმოგზაურია, ჰყვარებია, განუცდია და დაულევია.*



*მას ბრძოლა უყვარდა: ომი, კრივი, ნადირობა, თევზაობა, მამლების ჩხუბი, კორიდა. მაგრამ მისი ცხოვრების ყველაზე მძიმე ბრძოლა საკუთარ თავთან ომი ყოფილა.*

ერნესტ ჰემინგუეის ბრძოლა უყვარდა: ომი, კრივი, ნადირობა, თევზაობა, მამლების ჩხუბი, კორიდა. მაგრამ მისი ცხოვრების ყველაზე მძიმე ბრძოლა საკუთარ თავთან ომი ყოფილა.

ჰემინგუეი ამტკიცებდა, რომ ალკოჰოლი მის "ბოროტ გოლიათებს" ხოცავდა, რომლებსაც დეპრესია, მარტოობა, საკუთარი თავის მიმართ სიძულვილი და შიში ერქვათ. ჰემინგუეი საკუთარ თავს ისევე ქმნიდა, როგორც თავისი რომანების გმირებს. შიშებს უდიდესი ძალისხმევით სძლევდა, მარტოობას – თავდადებული მეგობრობით. ის თავის როლს კარგად ასრულებდა, იმდენად კარგად, რომ თავადაც სჯეროდა, რომ ასეთი იყო. რაც უფრო ცნობილი ხდებოდა, რაც მეტი ბესტსელერი დაწერა, რაც მეტი ჯილდო მიიღო, მით უფრო მეტად იპყრობდა იმის შიში, რომ საკუთარი ხელით შექმნილ ამ სახეს ვერ შეინარჩუნებდა.

ერთხელ ჰემინგუეიმ ხუმრობით თქვა, კარგი მწერლობის აუცილებელი წინაპირობა მძიმე ბავშვობააო. მართალია, უფრო ვულგარულად ბრძანა: ჩვენ ყველანი თავიდანვე განაბიჭვრებულები ვართო...

ის შეძლებული ექიმის ოჯახში გაიზარდა, მკაცრად და პურიტანულად, როგორც საშუალო ამერიკელს შეეფერებოდა გასული საუკუნეების მიჯნაზე. დედამისს ოდესლაც არ გაუმართლა – ოპერის მომღერლობა უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო, და ამიტომ ქალმა გადაწყვიტა, რომ დარბაზში თუ არა, საკუთარ სახლში მაინც ყოფილიყო მბრძანებელი. ჰემინგუეის დედა სძულდა და სუსტი, დეპრესიული მამა უყვარდა, რომელმაც საბოლოოდ თავი მოიკლა.

ჰემინგუეიმ წერა სკოლაში დაიწყო: მოსწავლეთა გაზეთისთვის – რეპორტაჟებისა და ლიტერატურული ჟურნალისთვის – პატარა მოთხრობებისა. კოლეჯში სწავლის ნაცვლად მან 17 წლის ასაკში "კანზას სიტი სტარის" რეპორტიორობას მიჰყო ხელი, ისიც მხოლოდ ექვსი თვე გაძლო, მაგრამ გაზეთში არსებული მკაცრი სტილისტური წესების წყალობით საკუთარი, გასაგები და მარტივი სტილი შეიმუშავა.

შემდეგი ეტაპი იტალიის ფრონტი იყო. წითელი ჯვრის მოხალისის სტატუსით მან ომი არა მარტო ნახა, არამედ შეიგრძნო კიდეც – ამიტომაც იყო ომისა და სიკვდილის უბადლო აღმწერი. სულ მალე გაზეთებში ფოტოსურათი გამოქვეყნდა: დაჭრილი ჰემინგუეი უსტვენდა. მისი ვაჟკაცობით ყველა აღტაცებული იყო, მხოლოდ დედამისი მიხვდა, რა ამბავიც იყო მისი შვილის თავს – ის ბავშვობაშიც უსტვენდა ხოლმე, როცა არ უნდოდა, რომ ვინმეს მისი ცრემლი დაენახა.

მაშინ, დაჭრილმა, ლაზარეთში მოწყალების და აგნეს ფონ კუროვსკი გაიცნო. ჰემინგუეის ქალი შეუყვარდა, მან კი ძალიან იოლად შეაქცია ზურგი. ათი წლის შემდეგ მწერალმა აგნესი თავის რომანში უკვდავყო, მართალია, ფინალში მოკლა და ამგვარად იძია შური.

ომიდან დაბრუნებული ჰემინგუეი კვლავ ჟურნალისტიკას დაუბრუნდა, მაგრამ ჩრდილო ამერიკაში დიდხანს ვერ გაძლო. ის ევროპაში "ტორონტო სტარის" საკუთარი კორესპონდენტი გახდა და თავის პირველ ცოლთან, ჰედლისთან ერთად ერთი ხანი პარიზში იცხოვრა. სწორედ მაშინ აღმოჩნდა ის იმ ახალგაზრდა მამაკაცთა წრეში, რომელთაც გერტრუდა შტაინმა "დაკარგული თაობა" უწოდა – მამაკაცები, რომელთაც ომიდან დაბრუნების შემდეგ აღარც ილუზიები ჰქონდათ და აღარც რეალობასთან ბრძოლის სურვილი.

ჰემინგუეი მუზეუმებში დადიოდა და ერთ დღესაც გადაწყვიტა, რომ ისე უნდა ეწერა, როგორც სეზანი ხატავდა. ეს გამოსდიოდა კიდეც: იჯდა კაფეში Closerie des Lilas, ყავას და სასმელს სვამდა და შორეული ამერიკის ამბებს წერდა.

მან ჟურნალისტობა შეწყვიტა – ან თავისი კოლეგების მსგავსად პროსტიტუცია არ სურდა, ან მოსწყინდა ის საქმე, რომელიც მეტისმეტად დიდ დროსართმევდა და პროზის წერაში ხელს უშლიდა. მართალია, პრესასთან ურთიერთობა საბოლოოდ არ შეუწყვეტია – მოგვიანებით ესპანეთის სამოქალაქო ომის შესახებ რეპორტაჟებს North American Newspaper Alliance-ს აწვდიდა.

მაგრამ მხოლოდ ლიტერატურით თავის გატანა ძნელი საქმე იყო. აშშ-ში მისი მოთხრობები ძალიან ძნელად იყიდებოდა. ამას კიდევ რამდენიმე მარცხი დაემთხვა. ასე, ერთხელ, ზამთარში, მისმა მეუღლე ჰედლიმ გადაწყვიტა, რომ ქმრის კვალდაკვალ შვეიცარიაში უნდა ჩასულიყო. მის გასახარებლად ქალმა ჩანთაში ხელნაწერები ჩააწყო და თან წაიღო – ჩანთა სადგურში მოჰპარეს. ჰემინგუეის ხელთ მხოლოდ ის მოთხრობებიღა აღმოჩნდა, რომლებსაც იმწუთას წერდა ან უკვე შტატებში ჰქონდა ფოსტით გაგზავნილი.

თავად მწერლის თქმით, მაშინ, როცა ვერ წერდა, ის უზომოდ იტანჯებოდა. ის ძალიან ბევრს, ბიოგრაფების თქმით, მანიაკალურად მუშაობდა, და ნელ-ნელა მოთხრობებს რომანები და მსოფლიო აღიარებაც მოჰყვა. ის სულ მოგზაურობდა: პარიზი, მადრიდი, ვენეცია, შვეიცარია, კუბა, ნიუ იორკი, აფრიკა, ნადირობაც იტაცებდა და თევზაობაც. ადგილსამყოფელების მსგავსად, ის ქალებსაც იცვლიდა: ჰედლი მისმა სუკეთესო მეგობარმა, ელეგანტურმა მოდის რედაქტორმა, პაულინა ფაიფერმა შეცვალა. პაულინას ადგილი თავდაჯერებულმა და ამპარტავანმა მართა გელჰორნმა დაიკავა, რომელმაც მწერალი მალევე მიატოვა, რადგან მის გვერდით დაჩაგრულად გრძნობდა თავს. მაგრამ ჰემინგუეის დიდხანს არ უდარდია და მერი ველშთან ჰპოვა ნუგეში, რომლის მეუღლედაც ცხოვრების ბოლომდე დარჩა: ამ ქალს მშვიდად შეეძლო მისი ცვალებადი ხასიათისა და ახალგაზრდა არისტოკრატ ქალებთან თუ მსახიობებთან ფლირტის ატანა, თუმცაკი ამ უკანასკნელთა რიცხვს მარლენ დიტრიხი, ინგრიდ ბერგმანი და ავა გარდნერიც მიეკუთვნებოდნენ.

წლებთან ერთად ჰემინგუეის სმამ კლინიკური ალკოჰოლიზმის ხასიათი მიიღო. მას მხოლოდ წერა ეხმარებოდა იმაში, რომ საბოლოოდ არ გალოთებულიყო. ჰემინგუეი ამბობდა: "ჩემი ცხოვრების განმავლობაში 1547-ჯერ დავმთვრალვარ, მაგრამ დილით – არასოდეს". ის ადრიანად დგებოდა, მეტწილად ფეხზე მდგომი წერდა და შევსებულ ფურცლებს პირდაპირ იატაკზე ყრიდა – შუადღისას ქაღალდის გროვაში აღმოჩნდებოდა ხოლმე. გადაკითხვისას თამამად შეეძლო, ასეულობით სიტყვა ამოეშალა. წერის დროს მის სიახლოვეს მხოლოდ მისი საყვარელი კატა იყო, რომელსაც ის ყველაფერს უზიარებდა, წნევის საწინააღმდეგო აბებსაც კი.

მაღალი წნევის გარდა, სმას სხვა პრობლემებიც მოჰყვა – რა მოსაყოლია... ნევროზი და დეპრესია მათ შორის ყველაზე უწყინარი სენებია. სმისთვის თავის დანებების მცდელობა პარანოიდალური შიზოფრენიით დასრულდა, ჰალუცინაციებითა და დევნის შიშით. იმხანად ჰემინგუეი ფსიქიატრის ხშირი პაციენტი იყო და აღარც წერა შეეძლო. ბოროტი გოლიათებისა და სუფთა ფურცლის წინააღმდეგ ბრძოლა მწერლის დამარცხებით დამთავრდა: 1961 წლის 2 ივლისს ერნესტ ჰემინგუეიმ თავისი საყვარელი სანადირო თოფით მოიკლა თავი.

## გამონათქვამები

**"იდეალისტი არის კაცი, რომელსაც იმის გამო, რომ ვარდს კომბოსტოზე უკეთესი სუნი აქვს, მიაჩნია, რომ ვარდის წვნიანი უფრო გემრიელი იქნება".**

**"კლასიკური ნაწარმოები ის წიგნია, რომელსაც ხალხი აქებს, მაგრამ არასოდეს კითხულობს".**

**"ბედნიერება უბრალოდ კარგი ჯანმრთელობა და ცუდი მეხსიერებაა".**

**"ასაკთან ერთად დაბრძენება არ ხდება. როცა ბერდები, უბრალოდ, უფრო ფრთხილი ხდები".**

**"ლაპარაკის სწავლას ორი წელი უნდა, დუმილის სწავლას – ორმოცდაათი წელი".**

**"მწერალი წერისას ფეხზე უნდა იდგეს. მაშინ ძალაუნებურად მოაფიქრდება მოკლე წინადადებები".**

**"დღისით გულგრილობა და არასენტიმენტალურობა ძალიან იოლია. ღამით სულ სხვა ამბავია".**

**"კატები იოლად აღწევენ იმას, რისი უნარიც ჩვენ, ადამიანებს არ გაგვაჩნია: ისინი ჩუმად ახერხებენ ცხოვრების გავლას".**

**"მხოლოდ ცოტა ადამიანია მართლა ცოცხალი, და ისინი არასოდეს კვდებიან. ის, ვინც მართლა უყვართ, არასოდეს კვდება".**

## ბიბლიოგრაფია

**"სამი მოთხრობა და ათი ლექსი"** – 1923 წ. ჰემინგუეის პირველი წიგნი, რომელშიც შესულია "მიჩიგანში", "სეზონის შემდეგ" და "ჩემი მოხუცი".

**"ჩვენს დროში"** – 1925 წ. შესულია 15 მოთხრობა, მათ შორის,

**The Torrents of Spring** – 1926 წ.

**"და ამოდის მზე"** – 1926 წ. წიგნი, რომლის შემდეგაც ჰემინგუეის დიდი ლიტერატურული ტალანტი აღიარეს.

**"ფიესტა"** – 1972 წ. "და ამოდის მზის" ბრიტანული ვერსია.

**"კაცები ქალების გარეშე"** – 1927 წ. მოთხრობათა კრებული.

**"მშვიდობით, იარაღო"** – 1929 წ. ჰემინგუეი 30 წლის იყო. ბევრი კრიტიკოსის აზრით, ეს პირველი მსოფლიო ომის თემატიკაზე შექმნილი საუკეთესო ამერიკული რომანია.

**"სიკვდილი შუადღეს"** – 1932 წ.

**"გამარჯვებული არაფერს იღებს"** – 1933 წ. მოთხრობათა კრებული.

**"აფრიკის მწვანე ბორცვები"** – 1935 წ.

**"ქონა არ ქონა"** – 1937 წ. კრიტიკოსებმა ამ ნაწარმოებს უმაღლესი შეფასება მისცეს. ის დაიწუნეს მხოლოდ მემარცხენედ განწყობილებმა – მათ ჰემინგუეის პროზაში მზარდი სოციალიზმის ნიშნებს მიაკვლიეს.

**"მეხუთე კოლონა და პირველი ორმოცხდაცხრა მოთხრობა"** – 1938 წ. პიესა ესპანეთის სამოქალაქო ომის შესახებ და მოთხრობათა კრებული. "მეხუთე კოლონის" მეორე ვერსია გამოიცა 1969 წელს და მასში მანამდე გამოუცემელი ოთხი მოთხრობა შევიდა.

**"ვის უხმობს ზარი"** – 1940 წ.

**"მდინარის გასწვრივ ხეებში"** – 1950 წ.

**"მოხუცი და ზღვა"** – 1952 წ.

**"დღესასწაული, რომელიც მუდამ შენთანაა"** – 1964 წ. ავტორის მემუარი პარიზში გატარებული ადრეული პერიოდის შესახებ.

**"კუნძულები ოკეანეში"** – 1970 წ.

**"ნიკ ადამსის მოთხრობები"** – 1972 წ. ჰემინგუეის იმ მოთხრობების კრებული, რომელთაც პერსონაჟი ნიკ ადამსი აერთიანებს. დალაგებულია ქრონოლოგიის მიხედვით და იკითხება, როგორც ერთი რომანი.

**"სახიფათო ზაფხული"** – 1985 წ. ჟურნალ "ლაიფში" გამოქვეყნებული წერილი, რომელიც წიგნის სიგრძის ნაშრომში გადაიზარდა. ჰემინგუეი ანტონიო ორდონესისა და ლუის მიგელ დომინგინის კორიდულ თავგადასავლებსა და ბრძოლაზე მოგვითხრობს, 1959 წ. ზაფხულში.

**"ედემის ბაღი"** – 1986 წ.

**"ერნესტ ჰემინგუეის ნოველების სრული კრებული"** – 1987 წ. საკმაოდ ძვირფასი გამოცემა, რომელშიც შესულია მწერლის ყველა მოთხრობა რამდენიმე მანამდე გამოუქვეყნებელ ნაწარმოებთან და ჰემინგუეის სამი ვაჟის წინასიტყვაობასთან ერთად.

**"ერნესტ ჰემინგუეი, წერილები, 1917-1961"** – 1981 წ. ეს წიგნი ისევე საინტერესოდ იკითხება, როგორც მწერლის ბიოგრაფია. ჰემინგუეის იუმორის გრძნობა და ინტელექტი ყოველ წერილში ხდება თვალსაჩინო.

**"True At First Light"** – 1999 წ. აფრიკული რომანი, რომელიც 1999 წლის ივლისში, ჰემინგუეის ასი წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოიცა.













# აფიშა

## კინოთეატრები

**"რუთაველი"**
"ადამიანი ობობა 2"
დას: 14:30; 17:00; სთ.

"სპარტანელი"
დას: 19:30; 22:00 სთ.

**"ამირანი"**
"გოგონა ჯერსიდან"
დას: 14:00; 18:00; 20:00 სთ.

"ცუდი აღზრდა"
დას: 16:00; 22:00 სთ.

## გამოფენები

**დიდი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალი**
საქართველოს სამუზეუმო კოლექციები მცხეთაში
თიანეთის მხარეთმცოდნეობითი მუზეუმის გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
აფხაზეთის მხატვართა საანგარიშო გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება) და ზურაბ ჭედიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა)

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
გიგიშა პაჭკორიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (კერამიკა)

**TMS**
გოგი ჩაგელიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**"ბაიას გალერეა"**
ამერიკელი მხატვრის ჰენრი უერდემანის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა)

**"ქარვასლა"**
კოტე ჯინჭარაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა "ეკრანი და ათი ვნება"

ჟან ჟაკ კრესდერის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა "4,5 კმ ფოტოგრაფია"

**"ჰობი"**
"კალეიდოსკოპი"

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

## წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

**ხუთშაბათს, 22 ივლისს**, პუბლიცისტ გაიოზ ერაძის სამენოვანი წიგნის – "აფხაზეთის პრობლემის მეცნიერული გადაწყვეტა" პრეზენტაცია. დას: 17:00 სთ.

*მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50*

## ლევან შენგელიას "ევოლუცია" ბათუმში



გუშინ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში კომპოზიტორ-შემსრულებლის ლევან შენგელიას მუსიკალურ-კინეტიკური შოუ "ევოლუცია" გაიმართა. კონცერტით მუსიკოსმა მსოფლიო ტურნე დაიწყო - ბათუმის შემდეგ იგი კონცერტებს ინგლისში, შემდეგ კი ამერიკაში გამართავს.

რაც შეეხება ბათუმის შოუს, საღამოს მუსიკოსმა მუსიკალურ-კინეტიკურ სანახაობად მოიხსენია. შოუ უკვე იხილეს ქუთაისსა და თბილისში, თუმცა ბათუმში მუსიკალურ პროგრამას რამდენიმე ახალი კომპოზიცია დაემატა. სულ პროგრამაში 14 კომპოზიციაა შესული. კონცერტზე წარმოდგენილი იყო ჯაზი, ლათინური და ქართული ქორეოგრაფია, პანტომიმური ნომრები, რომლის რეჟისურაც კახა ბაკურაძეს ეკუთვნის.

*ინტერ-პრესი*

## აჭარის კულტურული დაწესებულებები არ დაიხურება

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ აჭარაში სამეცნიერო ცენტრებისა და ინტელექტუალური რესურსების განვითარებისთვის საჭიროა იდეების გამომუშავება.

"არ ვაპირებთ ბათუმის კაპელას დახურვას, რადგან ეს არის უნიკალური კულტურული დაწესებულება, მაგრამ საჭიროა ფიქრი იმაზე, რომ იქნებ სჯობდეს, იგი არა ადგილობრივმა, არამედ ცენტრალურმა ბიუჯეტმა დააფინანსოს", - განაცხადა პრეზიდენტმა და დასძინა, რომ აუცილებელია ბათუმის უნივერსიტეტის გაძლიერებაც, რათა იგი ქვეყანაში ერთ-ერთი მთავარი საგანმანათლებლო ცენტრი გახდეს; ამას კი სჭირდება მნიშვნელოვანი ძალისხმევა არა მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის, არამედ დონორების მოძიების თვალსაზრისითაც.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ იგი თვალყურს ადევნებდა ბოლო დღეებში აჭარაში განვითარებულ მოვლენებს კულტურული ცენტრების შესაძლო დახურვასთან დაკავშირებით. მისივე თქმით, მსგავსი რამ არ მოხდება. "მთავრობა არ შეამცირებს სამეცნიერო ცენტრებს. ჩვენ გვაქვს ცოტა ფული და ეს თქვენი გადასაწყვეტია, რაში დაიხარჯება იგი. იქ, სადაც შესაძლებელია ეკონომიის გაკეთება, ჩვენ ეს უნდა გავაკეთოთ" - განაცხადა პრეზიდენტმა.

*მედია-ნიუსი*

# ქველმოქმედების კულტურა და კუბური ბალეტი

თეონა ჯაფარიძე

კარგია, როცა კლასიკურ ქველმოქმედებას გადააწყდები, კარგი კი არა გადასარევია, მით უმეტეს თუ ეს თბილისში ხდება. კლასიკურ ქველმოქმედებაში ვგულისხმობ ნაკლებ პრეტენზიულობასა და საჭირო საქმის უხმაუროდ კეთებას, თანაც მაღალი ხარისხით.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მსოფლიო ძირითადად ოთხ საბალეტო სკოლას – რუსულს, ბალანჩინის სკოლის წყალობით ამერიკულს, ფრანგულსა და კუბურს იცნობს და თუ ამ უკანასკნელის წარმომადგენელი თბილისში იმყოფება, თანაც წმინდა წყლის საქველმოქმედო გეგმებით, ეს უკვე საინტერესო და მისასალმებელია.

"სამეფო უბნის თეატრში" **კუბის სახელმწიფო მოდერნ ბალეტის დასის სოლისტი – დჰიანკო კარალერო ესპინოსა** უკვე ერთი კვირაა, რაც რეპეტიციებს გადის, თეატრის უძველეს სივრცეს ითვისებს და თბილისურ პუბლიკასთან შესახვედრად ემზადება. ეს არ იქნება მხოლოდ საპრემიერო შეხვედრა და კუბური ბალეტით ტკბობა. 24 ივლისს შემოსული ჰონორარით საქართველოში თანამედროვე ბალეტის ფონდს ჩაეყრება საფუძველი. **მსოფლიოში ერთ-ერთი ცნობილი დასის სოლისტის** თბილისში ჩამოსვლას თან არ მოჰყოლია გამაფრთხილებელი პომპეზური სატელევიზიო სარეკლამო რგოლები თუ ჩვენი საზოგადოებისათვის საკმაოდ ძვირადღირებულ ბილეთებზე პრომოუტერთა წუწუნი და ვაჭრობა – ეს მხოლოდ მიზერული თანხაა, თორემ ჩვენს მიერ ჩამოყვანილი ვარსკვლავი გაცილებით მეტ ჰონორარს იღებსო. როგორც წესი, მათი წუწუნის ხარისხი ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება ხოლმე მოწვეული ვარსკვლავის ხარისხს. პუბლიკის გარკვეული ნაწილი (პოტენციური ნაწილი, რომელთაც პრაქტიკულად შეუძლიათ ქველმოქმედების გაწევა, მაგრამ ამის სურვილი არ გააჩნიათ), მიუხედავად ხარისხისა, მხოლოდ იმითაა კმაყოფილი, რომ ძვირადღირებულ სანახაობას დაესწრო. სულ ეს არის და ეს.



*"სამეფო უბნის თეატრში" კუბის სახელმწიფო მოდერნ ბალეტის დასის სოლისტი დჰიანკო კარალერო ესპინოსა უკვე ერთი კვირაა, რაც რეპეტიციებს გადის.*

კუბელი მოცეკვავის გასტროლი უფრო კეთილი ნების გამოხატულებაა. ერთი შეხედვით ყველაფერი გასაგებია – მას ხომ ქართველი მეუღლე ჰყავს – მხატვარი ნატა ფირცხალავა. "თბილისში იმ საზოგადოებისათვის, რომელიც ხელოვნების ნამდვილი შემფასებელია, ხშირად ბილეთის ფასი ხელმიუწვდომელი რჩება. ამიტომ გადავწყვიტეთ წარმოდგენაზე ბილეთი მხოლოდ 10 ლარი დავაფასოთ. თეატრის ფოიეში საქველმოქმედო ყუთიც დაიდგმება მათთვის, ვისაც თანამედროვე ბალეტის ფონდის დაარსებაში მონაწილეობის სურვილი ექნება." – ამიხსნა ნატამ შოუბიზნესისთვის მიუღებელი, სამაგიეროდ ქველმოქმედებისათვის დახვეწილი და კულტურული გეგმა.

რას შეასრულებს 24 ივლისს სამეფო უბნის თეატრში დჰიანკო კარალერო ესპინოსა?

პირველი მოქმედება ვიდეოპერფორმანსს დაეთმობა, მეორე მოქმედებაში მოცეკვავე კუბელი ქორეოგრაფების ისიდრო როლალანდოსა და მიგელ ეგლესიასის მიერ დადგმულ მოდერნს შეასრულებს ეგნასიო ვიჟას მუსიკაზე, რომელსაც ასე ჰქვია – "მომაყოლინე". ეს სოლო პარტიაა და 80-იანი წლებიდან იდგმება კუბასა და ამერიკაში. კუბის სახელმწიფო მოდერნ ბალეტის დასში ამ ცეკვას ორი ცნობილი შემსრულებელი ჰყავდა: - არმანდო რიოსი და არმანდო მარტენი. კუბის სახელმწიფო მოდერნ თეატრში ამ პარტიის შემსრულებლად დღეს ჩვენი სტუმარი ითვლება.

კუბური ბალეტისა და მოდერნ თეატრის შესახებ ნატამ და დჰიანკომ ამიხსნეს, რომ ეს ნომერ პირველი ხელოვნებაა, რომელიც სახელმწიფოს მიერ სუბსიდირდება. ჰავანაში ორი დიდი თეატრია – ნაციონალური სახელმწიფო ბალეტისა და მოდერნ ბალეტის. დასებთან მსოფლიოს ცნობილი ქორეოგრაფები მუშაობენ. ამ თეატრებში დღეში ერთდროულად რამდენიმე რეპეტიცია მიმდინარეობს, რომელსაც მოწვეული თუ მსოფლიოში ცნობილი კუბელი ქორეოგრაფები ატარებენ. საერთოდ, კუბაში ბალეტი უყვართ, უამრავი დასია და და დაახლოებით ისეთივე ბუმია ბალეტის, როგორიც ჩვენთან, ნაციონალურ ცეკვებზე. იქაც თითქმის ყოველი მეორე ბავშვი ბალეტზე შეჰყავთ.

თბილისური გასტროლისა და კიდევ იმის შესახებ, შეავსებს თუ არა ჩვენი საზოგადოება საქველმოქმედო ყუთს, 24 ივლისის შემდეგ მოგიყვებით. აქვე შეგახსენებთ, რომ თანამედროვე ბალეტის ახლად დაარსებული ფონდი, **ფონდ "ტატოს"** (ტატო კოტეტიშვილის სახელობის ფონდს) შეუერთდება.

# "სოთბი" კარავაჯოს ვერსიას არ იზიარებს

სამი წლის წინ აუქციონზე 75 ათას გირვანქა სტერლინგად (110 ათას დოლარად) გაყიდული ნახატი, შესაძლოა, რამდენიმე მილიონ დოლარად გაიყიდოს. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ეს ტილო იტალიელი ოსტატის - კარავაჯოს ნამუშევარია. არტდილერმა კლოვის უიტფილდმა ეს აღმოჩენა მაშინ გააკეთა, როცა კლიენტის თხოვნით ნახატს ამოწმებდა. "ბარბითზე დამკვრელი აპოლონი" 2001 წელს ნიუ იორკში "სოთბის" აუქციონზე გაიყიდა. აუქციონის ექსპონატთა კატალოგში ის XVII საუკუნის მხატვრის - კარლო მანიონის ნამუშევრად იყო მოხსენიებული.

მაგრამ, ექსპერტის მოსაზრებას "სოთბი" არ იზიარებს. მას საკუთარი ექსპერტები ჰყავს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ნახატი კარავაჯოს კუთვნილება არ არის.

აუქციონის პრესმდივანი აცხადებს, რომ სანამ ნახატი გაიყიდებოდა, მას ჰქონდა კონსულტაციები ხელოვნების რამდენიმე ექსპერტთან. ეს იყო 2001 წლის იანვარში. მას შემდეგ "სოთბის" პოზიცია არ შეცვლილა.

XVII საუკუნის იტალიური ხელოვნების ექსპერტმა უიტფილდმა მასმედიის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ ის მაშინვე დაინტერესდა ამ ნახატით, როცა მის სახელწოდებას აუქციონის კატალოგში მოჰკრა თვალი.

ამ ტილოს კარავაჯოს იმ ნამუშევრის ასლად მიიჩნევდნენ, რომელიც ნიუ იორკის მეტროპოლიტენის მუზეუმში ინახება; დაახლოებით ასეთივე ვერსია დაცულია ერმიტაჟშიც.

უიტფილდი ამბობს, რომ სწორედ კარავაჯოს ამ ტილოს აღწერს ბიოგრაფი ჯოვანი ბალიონი. და ექსპერტმა კვლევაც იმიტომ დაიწყო, რომ ეს ნახატი ძალიან შეესაბამებოდა ბიოგრაფის აღწერილობას. რენტგენის სხივებით შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ეს არ არის ასლი, ნახატი ორიგინალს უფრო ჰგავს. საბოლოოდ უიტფილდმა ეს მოსაზრება დადასტურა. მის დასკვნას მხარი დაუჭირა ხელოვნებათმცოდნეების ერთმა ნაწილმა, მათ შორის დენის მაჰონმა, რომელიც XVI-XVII საუკუნეების იტალიური ხელოვნების წამყვან ექსპერტად ითვლება. თავდაპირველად დენის მაჰონიც აცხადებდა, რომ ნახატი კარავაჯოს არ ეკუთვნოდა, მაგრამ ნახატის გაწმენდისა და ჩატარებული ექსპერტიზის შემდეგ მან აზრი შეიცვალა. თუმცა, ამას "სოთბის" გადაწყვეტილებაზე ზემოქმედება არ მოუხდენია. "სოთბი" კვლავ მანიონის ვერსიას უჭერს მხარს. "ჩვენ არანაირი საფუძველი არა გვაქვს იმისათვის, რომ ამ ვერსიას მხარი დავუჭიროთ. და არც იმ აზრს ვიზიარებთ, რომ ჩვენი ექსპონატების კატალოგი გადახედვას საჭიროებს. ახლა ეს ტილო აუქციონზე რომც გამოიტანონ, ჩვენ მას კარავაჯოს ნამუშევრად მაინც არ ვცნობთ," - აცხადებენ "სოთბის" ექსპერტები.

# სიცილი, რომელიც სასაფლაოს სევდას არღვევს

### ახლად აღმოჩენილი რუმინეთის უნიკალური საგანძური

ევროკავშირის ახალი წევრები სულ უფრო ხშირად ხვდებიან წამყვან ტურისტულ ვებ-გვერდებზე. ამ ქვეყნებს სულ უფრო დიდ ყურადღებას უთმობენ ცნობილი მოგზაური მწერლები. ასე რომ, ახალი ძველი ევროპის აღმოჩენის პროცესი შეუფერხებლად გრძელდება. ჟურნალისტების ცნობისმოყვარეობა კი ამა თუ იმ ქვეყნის წამყვან და ყველაზე თვალშისაცემ ღირსშესანიშნაობებს უკვე დიდი ხანია, ცდება. ისინი უკვე ძველი ევროპის კულტურულ და ისტორიულ კუნჭულებში იხედებიან და ისეთ პრივატულ, მაგრამ საინტერესო დეტალებსაც აღმოაჩენენ, როგორებიც, მაგალითად, ერთი რუმინული სოფლის სასაფლაოა.

მოქმედება საპანტაში, უკრაინის საზღვართან ხდება. ახლა საზღვრებგახსნილ ევროპაში რუმინეთის ამ ნაწილს, მართლაც, უამრავი ტურისტი ესევა. თუმცა, ამ ადგილს სტუმრები უცხოეთიდან არც 1970-იან წლებში აკლდა, მაშინ, როცა იქაური საფლავები და მათი უნიკალური თავისებურება აღმოაჩინეს – შეხედავ ამ საფლავებს და სიცილს ვერ იკავებ.

ნუ დაიბნევით, ამ არაადეკვატური რეაქციის მიზეზი საფლავის ქვის ეპიტაფიებია. მნახველები მათ კითხულობენ და, მართლაც, შემდეგ სიცილით იგუდებიან. მგლოვიარე ოჯახები კი შეურაცხყოფილად სულაც არ გრძნობენ თავს. წავიკითხოთ ერთ-ერთი წარწერა და თავად განვსაჯოთ:

"მობრძანდით, მე თქვენ ქლიავის ბრენდით გაგიმასპინძლდებით, შესვით სასმისი და დაივიწყეთ მწუხარება... ერთის ნაცვლად მალე დაინახავთ ორს. როცა ცოცხალი ვიყავი, მაგარ ბრენდის ვამზადებდი, ამ საქმიანობას თავი 54 წლის ასაკში დავანებე", - ეს ეპიტაფია წერია ჯვარზე, რომელზეც გამოსახულია გარდაცვლილი ქალი თავისი ბრენდის ჩამომსხმელი დანადგარით.



*"სასაფლაოები ბავშვობიდან შიშის ზარს მცემდა, მაგრამ არა ეს. აქ ყველაფერი მშვენიერია", - ამბობს საპანტაში ჩასული ნიუ იორკელი ტურისტი.*

ამ იუმორისტულ ტრადიციას პატარა რუმინულ სოფელში ადგილობრივმა სტან იონ პატრასმა ჩაუყარა საფუძველი. პირველი ხის ჯვარი ეპიტაფიით მან 1935 წელს გააკეთა. შეღება ცისფრად და ზედ გარითმული ტექსტი ამოტვიფრა. პატრასი იდეებისთვის ჯერ ახლად გარდაცვლილი თანასოფლელის პანაშვიდებს ესწრებოდა, იქმნიდა საერთო შთაბეჭდილებას და მერე ლექსიც თვითონ მოდიოდა.

ახლა საპანტას სასაფლაოზე უკვე ასობით ასეთი ფერადი და ეპიტაფიით დამშვენებული ხის ჯვარია. ზოგან ვკითხულობთ: "როცა ახალგაზრდა ვიყავი, ვიოლინოს მელოდიებზე ვცეკვავდი. მაგრამ შემდეგ დავქორწინდი და ცოლი საცეკვაოდ აღარ მიშვებდა"...

როგორც ჩანს, სიკვდილისადმი ასეთი იუმორნარევი მიდგომით გარდაცვლილის ნათესავები მწუხარების შემსუბუქებას ლამობდნენ. პატრასიც სულ უფრო მეტ შეკვეთებს იღებდა და სოფლის მართლმადიდებლური ეკლესიის გარშემო გაშენებული სასაფლაოც თანდათან ივსებოდა სასაცილო ჯვრებით.

შეიძლება, მათი ავტორი ვერც წარმოიდგენდა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ეს ჯვრები ჩრდილოეთ რუმინეთის მთავარი ტურისტული ღირსშესანიშნაობა და ადგილობრივი, ხუთი ათას კაციანი მოსახლეობის ისტორიული საგანძური ხდება.

ამ საგანძურს უკვე ამერიკელებიც იცნობენ. "სასაფლაოები ბავშვობიდან შიშის ზარს მცემდა, მაგრამ არა ეს. აქ ყველაფერი მშვენიერია", - ამბობს საპანტაში ჩასული ნიუ იორკელი ალექსა ვარიანო. მისი მეგობარი, სიეტლელი ანდრეა კი დასძენს: "აქ უფრო სიცოცხლის ზეიმს ვგრძნობ, ვიდრე გარდაცვლილთა გლოვას. სიკვდილისადმი ასეთი დამოკიდებულება სხვაგან არსად მინახავს".

ახლა პატრასის საქმეს მისი შეგირდები განაგრძობენ. დუმიტრუ პოპი შეკვეთებს უკვე მთელი მსოფლიოს მასშტაბით იღებს. ჯვრების დამზადებას ის ორ კვირას უნდება და ამ საქმეში ათ მილიონ ლეის, ანუ სამას დოლარს ითხოვს.

"კომუნიზმის გადავარდნის შემდეგ სულ უფრო მეტი სტუმარი გვყავს. ადგილობრივები სიამაყით აღარ არიან, როცა უცხოელი ტურისტები ჩამოდიან და მათი მშობლების საფლავის ქვებზე გაკეთებულ წარწერებს კითხულობენ", - ამბობს პოპი.

თუმცა, ეს ტერიტორია თანდათან ემსგავსება ნამდვილ ტურისტულ მიწას. სასაფლაოს შესასვლელში ხომ სუვენირების მაღაზიაც ფუნქციონირებს. პატრასის ოროთახიანი სახლი კი მუზეუმადაა გადაკეთებული.

პატრასის შეგირდი პოპი კი განგვიმარტავს, რომ ამ უცნაური ეპიტაფიების მთავარი მიზანი სიმართლის თქმაა. "თუ ვხედავ, რომ ვიღაცა მთელი დღის განმავლობაში ლოთობის მეტს არაფერს აკეთებს, ამას მისი ჯვრის დამზადებისას ვიტყვი კიდეც", - აცხადებს ის და მართლაც. ერთ-ერთ საფლავზე ვკითხულობთ:

"ტუიცა (რუმინული ბრენდი) ნამდვილი ჯოჯოხეთია. ცრემლებისა და მწუხარების მეტი მას არაფერი მოაქვს. სწორედ ტუიცამ შემახვედრა სიკვდილს. ასე რომ, გახსოვდეთ, ყველას, ვისაც ტუიცა უყვარს, ჩემი ბედი არ აცდება. მე ხომ მიყვარდა ის და სწორედ ბოთლით ხელში გარდავიცვალე".

ამ ეპიტაფიების წაკითხვის შემდეგ ტურისტები ოცნებით აღსავსე თვალებით ათვალიერებენ მშვენიერ გარემოს, მზეზე აკაშკაშებულ ხის ფერად-ფერად ჯვრებს და მერე გულწრფელად ნატრობენ: "ნეტავ, მეც აქ დავსაფლავდე"...

ვიცი, ვიცი, როცა ამ ყველაფერს გაზეთში კითხულობ, რუმინელების ეს იუმორი თავზარდამცემად გეჩვენება. ამიტომ თხრობას აქვე ვწყვეტთ. თქვენ კი, თუ მაგარი გული გაქვთ და თუ საშინელებათა ჟანრის ეს რუმინული ვარიანტი არ გაშინებთ, გირჩევთ, საპანტაში იმოგზაუროთ.

# მიკის დღეობა

ნინო დეკანოსიძე



ქართული კინო ყველასაგან განსხვავებულია. იმიტომ, რომ ქართულია. ქართველები კი მხოლოდ ჩვენ ვართ და ეს კინოც ჩვენია.



ბატონებო, გილოცავთ! წელს მიკი მაუსი, ეს სასაცილო თაგუნა, თქვენ წარმოიდგინეთ და, 75 წლის გამხდარა. თაგუნა. გმირი. ეპოქის პროდუქტი ან სულაც, სოციალური მოვლენა (ნუ შეგვეშინდება ანიმაციური პერსონაჟის ასე ხმამაღლა და პათეტიკურად მოხსენიება). მიკი, რომელიც, დიდი ხანია ტონის მომცემი და, გარკვეულწილად, ცხოვრების ნაწილიც გახდა, ამერიკელსაც მოსწონს და ევროპელსაც. უწყინარი, სულ ერთი ბეწო, შემთხვევის წყალობით შექმნილი უსულო ნახატი. მთელი სამოცდათხუთმეტი წელია, მას ყველა იცნობს! მაშ, რით არ არის იგი მეოცე საუკუნის მოვლენა? რა თქმა უნდა, ერთადერთი არა, მაგრამ ერთ-ერთი ხომ არის?!

მიკი უოლტ დისნეიმ გამოიგონა. შექმნა. უფრო სწორად, დახატა. უოლტ დისნეი ამერიკელი იყო. ამერიკელი იყო მიკიც, ოღონდ, სულ ცოტა ხნით.

მიკი მცირე დროში იპყრობს მთელ მსოფლიოს, ბიზნესის უზარმაზარ ინდუსტრიას ჩაუდგება სათავეში და მრავალი წელი პირველობას არავის დაუთმობს. ვინ არის მიკი? წრიპინა და საყვარელი ხმით მოლაპარაკე თაგვი-გმირი. უბრალო წრუწუნა. კოსმოპოლიტი არსება. დისნეი კი იყო, ამერიკელი, მაგრამ ჩვენ ქართველები ვართ. ჩვენ არ გვყავს მიკი. არც იხვი დონალდი. არც სუპერ-თუ სპაიდერმენები. ვესტერნის ჟანრიც არა გვაქვს.

გვიყვარს თუ არა ქართული კინო? ჩვენ, ქართველებს, მე და თქვენ და ჩვენს მეზობლებს, მეგობრებს, უცნობებსა და ნაცნობებს. ყველას ერთად - ჩვენ! ეროვნული ქართული კინო!

ვახტანგ ნინუას ცეკვა მაგიდაზე, ჟორა შავგულიძე და ვასო გოძიაშვილი, ნატა ვაჩნაძის თვალები, გეიდარ ფალავანდიშვილი გაჭენებულ ცხენზე, ოთარ მელვინეთუხუცესის დათა თუთაშხია, ელდარ შენგელაიას ცაში აჭრილი ოდა თავისუფლებაზე და ვერშემდგარი მხატვარი აგული ერისთავი, ავთო ვარაზის ნიკალა ან ლევან აბაშიძის გმირები - ახალგაზრდა კომპოზიტორისაგან მთაში გაქცეულ მასწავლებლამდე, გია აგლაძე, რომელიც შაშვი იყო, ან არც იყო. გალობდა და გალობდა.

და კიდევ მრავალი.

ვინ იყო მიხეილ კალატოზიშვილი და რატომ გახდა იგი კალატოზოვი? რატომ იღებდა ფილმებს საქართველოში სერგო ფარაჯანოვი - უკომპრომისო ხელოვანი და რატომ არ დავაფასეთ ჩვენ, ქართველებმა იგი მერე, სიკვდილის შემდგომ. არ დავაფასეთ მე და თქვენ. რატომ არ ვაჩვენებთ მათ ფილმებს სახელმწიფო და კომერციულ არხებზე, მომავალ თაობებს რატომ არ ვუყვებით მათ შესახებ? იმიტომ ხომ არა, რომ რაც კარგები ვართ ქართელები ვართ? თუ ყველა ერზე ცუდები ჩვენ ვართ? იქნებ, მეჩვენება, რომ ახალგაზრდობას არ უყვარს საკუთარი კინო? არ უყვარს იმიტომ, რომ არ იცის.

...სალვადორ დალის ვერც შოვინიზმში დავადანაშაულებთ და ვერც სხვა რომელიმე "იზმში". გარდა სიურეალიზმისა, რა თქმა უნდა.

ჩვენ პატარა ერი ვართ, პატარა ერისათვის დამახასიათებელი კომპლექსებით. ზოგ რამეში სხვას ვჯობივართ, ზოგში კი ის, სხვა გვჯობს. ამაში გასაკვირი და მით უმეტეს, სამარცხვინო არაფერია.

გავლენა კარგია. წაბაძვა კი ცუდი. ჯერ ჩვენსას გავეცნოთ, მერე სხვისას და მხოლოდ ამის შემდეგ ვიკამათოთ, რომელი სჯობს. ამის მერე შეიძლება.

ვიკამათოთ საშა რეხვიაშვილის კინოგმირებზე ოღონდ, ჯერ უნდა ვიცოდეთ, ვინ არიან ისინი.

მარტინ სკორსეზე იტალიური წარმოშობის კინორეჟისორია. მისი საკმაოდ საინტერესო ნამუშევრებიდან ამჯერად ერთს გამოვყოფდი. ეს არის დოკუმენტური ფილმი "ამერიკული კინოს 100 წელი." სურათში კინოქრონიკასთან პარალელურად, უბრალო ადამიანები იხსენებენ საყვარელ ამერიკულ ფილმებს, მსახიობებს, ჟანრებს, სიყვარულით ამბობენ მთლიან ფრაზებს ამ ფილმებიდან, ანსახიერებენ ამ გმირებს, ბაძავენ მსახიობებს. ამერიკამ მოიგონა ჟანრი - ვესტერნი მწყემსების ცხოვრებაზე და კლასიკის დონეზე აიყვანა იგი.

ჯონ უეინი, მსახიობი, ამერიკის გმირი და სიმბოლოა დღესაც. ეს ეროვნული სიამაყეა, ეს სიყვარულია, რომელიც მრავალი წლის წინ პროვინციულ ფაშიზმად იწოდებოდა.

არავის მოვუწოდებ, მხოლოდ ქართული ფილმები გვიყვარდეს და გულში მჯიღისცემით ვუმტკიცოთ ერთმანეთს, რომ ჩვენი კინო ყველაზე უკეთესია. ის არც უკეთესია და არც უარესი. უბრალოდ, ყველასაგან განსხვავებულია. იმიტომ, რომ ქართულია. ქართველები კი მხოლოდ ჩვენ ვართ და ეს კინოც ჩვენია.

კინოფირზე ასახულია რეალობა. ანუ ის, რაც ობიექტივის წინ ხდება და შემდეგ ფირზე ფიქსირდება. ჩვენ ხან ვთამაშობთ კამერის წინ, ხან კი შიშველ სიმართლეს ვიღებთ. ფირი კი ყველაფერ ამას აღბეჭდავს. ასე იწერება კინოს ისტორია. ასე დაიწერა ქართული კინოს ისტორია "აკაკის მოგზაურობიდან" და "ქრისტინედან" დღემდე. ეს ისტორია გრძელდება.

და სანამ იგი გრძელდება, ცოტათი უკან დავიხიოთ.

რა არის ქართული კინო. რომელიც დრო იყო და, ოლიმპზეც ბევრჯერ ასულა?

რატომ არ გვაქვს კინოთეატრი, სადაც მხოლოდ ქართულ ფილმებს უჩვენებენ?

რა მოხდა? რატომ არ იცის ქართველმა მოზარდმა ქართული კინო? არ ეცინება იპოლიტე ხვიჩიას გმირების დანახვისას და საერთოდაც, ითავისებს, კი ამ გმირებს?

ფასეულობები გადაფასდა? თუ სტერეოტიპებით ვიცხოვრეთ კომუნისტურ სივრცეში და მათ ნგრევასთან ერთად დამოუკიდებელი და ეროვნულ სახელმწიფოში რატომღაც მაინცდამაინც ეროვნული პრინციპები დაირღვა? თუ ორივე ერთად დაგვტეხია თავს და ვერც კი მივმხდარვართ?

ბევრი კითხვაა უპასუხოდ. სად არის, როგორია გამოსავალი? აქვს თუ არა აზრი ქარის წისქვილებთან ბრძოლას? მაგრამ, განა, წისქვილი ეროვნული საგანძურის სიმბოლოა?! ან სად იწყება ჩვენი დონ-კიხოტობა?!

თუ ეს ტექნიკური პროგრესის ბრალია, ამას ვერავინ შეაჩერებს და იდილიურ-პასტორალურ ყოფაში ვერ დაგვაბრუნებს. არა მგონია, ეს ჩვენი სურვილიც იყოს. ნეტავ, მხოლოდ პროგრესულმა მანქანამ – ჭკვიანმა კომპიუტერმა შეცვალა გემოვნება თუ ფასეულობები ახალმა ტენდენციებმა გაგვიუფასურა? კინო და ეროვნულობა, ორივე ერთად კი - ეროვნული კინო, მაღლა, სხვენში ავიტანეთ და ბლომად ნაფტალინიც დავაყარეთ, ჩრჩილმა არ შეჭამოსო...

პირადად მე, მიკის დღეობა მინდა მივულოცო და ჩვენთვისაც ვისურვო ჩვენი მიკი მაუსი. მინდა ისევე გვიყვარდეს, როგორც იმ უბრალო ამერიკელებს, რომლებიც გულღია სიცილით ისე ჰყვებიან ამბებს სპენსერ ტრეისიზე, როგორც საკუთარ ახლობლებზე. ამერიკელებს, რომლებიც ყოველდღე მიდიან ვიდეოთეკებში, გამოაქვთ ძველი ამერიკული ფილმები და ოჯახებით, ერთად უყურებენ. უყურებენ ისე, თითქოს პირველად ხედავენ და შეძახილებით ამხნევებენ მინის ეკრანს მიღმა მყოფ გმირებს. უყურებენ არა იმიტომ, რომ კასეტების გამქირავებლები გაამდიდრონ. მათ უყვართ თავიანთი კინოგმირები, გაადამიანურებული კერპები და კერპებად ქცეული მსახიობები.

უყვართ 50-იანი წლების ახალი ვარსკვლავი მარლონ ბრანდო, რომელიც მანამდე არსებულ სტერეოტიპებს ანგრევს. მისი გარეგნობაც და ჩაცმის მანერაც კი, ერთგვარი პროტესტი და გამოწვევა იყო საზოგადოებისათვის იმიტომ, რომ ბრანდო ე.წ. "გაღმერთებული" ამერიკული გმირის საქციელს კარდინალურად ცვლიდა. საზოგადოებას კი იგი მაშინაც უყვარდა და ახლაც უყვარს.

მოგვიანებით კი აქ, ჩვენთან ოთარ იოსელიანის "გიორგობისთვის" მთავარი პერსონაჟი ნიკო მოვა – რამაზ გიორგობიანი, სრულიად ახალი ტიპაჟი, გმირი, რომელსაც ასევე არატიპური, გმირისათვის არადამახასიათებელი გარეგნობა აქვს. და მოვა იგი თავისი პროტესტით. პროტესტი-იგავით, ამბით პატარა ადამიანისა, რომელიც მძლავრ სისტემას დაუპირისპირდება.

ნოემბრის თვის ძველ ქართულ სახელწოდებასთან, გიორგობისთვესთან ჩემს თაობას ასოციაციურად იოსელიანის ფილმი აგონდება. რა აგონდებათ შემდგომ თაობებს რამაზ გიორგობიანთან, მარლონ ბრანდოსთან მიმართებაში?!

მართალია, "ნათლიმამა"...

ჩვენ შეგვიძლია მათი გმირები ერთმანეთს შევადაროთ. ვიდაოთ მათზე, რატომაც არა? პოლონელი დანიელ ოლბრიხსკიც გავიხსენოთ. მისი პერსონაჟები. ვის გვანან ისინი, ვის – არა.

და მაინც... სად წავიყვანოთ ჩვენი შვილები? რომელ კინოთეატრებში ნახავენ ისინი ქართულ ფილმს და ჩვენც, მათთან ერთად?

ან რომელ არხზე გადავრთოთ ოჯახის წევრად ქცეული ტელევიზორები. ვინ ადგენს ორ, ხუთ თუ ათ პროცენტს შორის მოტივტივე ეროვნული პროდუქციის მოცულობას ქართულ ტელეარხებზე?

ალბათ, ამიტომაც მიმსხდარან ისინი (ჩვენი შვილები) ჭკვიან მანქანებთან და უკვე ნაცნობ და მშობლიურად ქცეულ კიბორგებსა და მონსტრებს ეთამაშებიან. ჩვენ კი გულხელი დაგვიკრეფია და კიდევ უფრო მეტ და მეტ ნაფტალინს ვამზადებთ. იმიტომ, რომ ჩრჩილის შესაჭმელად ჯერ მაინც გვეცოდება ჩვენი თავიცა და დრო გაგვყავს ნათელი მოგონებებით გარდასულ დღეებზე და გულსა თუ გონებაში სამუდამოდ დამკვიდრებულ ზოგჯერ კარგ, ზოგჯერ კი უფრო ცუდ ქართულ კინოზე. რომელიც გვიყვარდა. ვიცოდით! მსახიობებისა და კინოვარსკვლავების საკმაოდ უხარისხო ფოტოსურათების ასლებს ვაგროვებდით და სულ არ გვეგონა ჩვენი შვილები ემინემს თუ შეიყვარებდნენ.

წარსულ დროზე რომ ვიტიროთ, ნეოკომუნისტობას დაგვაბრალებენ, დაგვძრახავენ, ის ხომ უძრაობის ხანა და სიბნელე იყოო. ამ ცივილიზაციასაც ვერაფერს რომ ვერ ვუხერხებთ და მერე ყველაფერს მას ვაბრალებთ?

არა, ბატონებო, მიკის დაბადების დღეს კი გილოცავთ, მაგრამ კომუნიზმი კი არ მოგვენატრებია. არამედ ჩვენი ბავშვობა. ბავშვობა, რომელმაც ერთ-ერთ ავადსახსენებელ "იზმში" გაიარა. უძრაობის ხანა კი არა, ქართული ფილმი მოგვენატრებია! ისე, კაცმა არ იცის, ახლა რომელ "იზმში" ვცხოვრობთ. "ნიჰილი...", მგონი, უკვე გამოვიარეთ.

მაგრამ ახალი წელი მოდის. ახალი წელი კი "იზმების" გარეშეა და ჯერაც ხელშეუხებელია. ტრადიციაა იმისა, რომ გვიხაროდეს, ვიზეიმოთ, ნატვრა აგვისრულდეს.

ჰოდა, იმედი არ დავკარგოთ, რომ ჩვენ გავიხსენებთ და მომავალი თაობა ახლოს გაიცნობს ქართულ ფილმს, რომ ელექტრონული მედია პოლიტიკოსებიდან ქართველი მსახიობების ჩვენებაზე გადავა, პოლიტიკოსებისა და ფსევდოპოლიტიკოსების გვარებს, და სახეებს კი დიდი ხნით (იქნებ, სამუდამოდაც) დავივიწყებთ. ჩვენ კი გემრიელად მოვკალათდებით სავარძლებში და ვუყურებთ იმას, რაც გვინდა.

იმედია, რომ მართლა გვინდა, თორემ...

მაგალითად " - კინოთეატრი "რუსთაველი" წარმოგიდგენთ – "ჩარლის ანგელოზები – 2".

თურმე, ისინი ბრუნდებიან! ჩვენ სად გავასწროთ ამდენ უგემოვნობას? ნეტავ, ეს "ორი" რაღაა, ან ის პირველი რა იყო.

ან სად ვბრუნდებით ჩვენ ქართველები?

მანამდე კი – Happy Birthday მიკი!!!"

# ბრილიანტები არასდროს კვდებიან

### ახალი მოდური ფენომენი მამაკაცებისთვის



ბიჟუტერიის პარიზული გალერეა ალადინის გამოქვაბულს ჰგავს. იქ დაცული 1200-მდე ექსპონატი მნახველს ყველა ეპოქასა და მიმდინარეობაზე უქმნის წარმოდგენას: მე-18-19 საუკუნეები, ორიენტალიზმი, არტ ნუვო, არტ დეკო...

ვიღაცამ თქვა, რომ მინიმილიზმის აღზევების ხანა მეოცე საუკუნესთან ერთად დასრულდა. ის ადამიანებიც, რომელთაც წინათ სიმსუყისგან ხსნა მინიმალიზმში იპოვეს, ახლა უკან იხევენ, წარსული ცხოვრების ესთეტიკა ენატრებათ და ხელოვნურად შექმნილ ფუფუნებაზე გულის ზიდვა აღარ აწუხებთ. ალბათ, საქმისა და გემოვნების ასე ერთბაშად შემოტრიალების ბრალია ისიც, რომ მამაკაცები ბრილიანტების ტარებას იწყებენ, პარიზში კი დეკორატიული ხელოვნების მუზეუმში განთავსებულ ძვირფასი სამკაულის გალერეას ბოლო ხანს მნახველი არ ელევა.

დავიწყოთ პირველი თემით – მამაკაცები და ბრილიანტები. მაშინ, როცა აბრჭყვიალებული თვლები და ბიჟუტერია შავკანიანი რეპერების და ცისფერების აქსესუარებად ითვლებოდა, ჩვეულებრივი, ჯანსაღი და მაჩოობისკენ გადახრილი მამაკაცები შეურაცხყოფილად არიდებდნენ თვალს მოციმციმე ბრილიანტებს, ტელეშოუების წამყვანები კი უმოწყალო პამფლეტებს უძღვნიდნენ მათ. ახლა კი ბრილიანტების დროც მოვიდა. უფრო ზუსტად, როგორც 1971 წელს გვიმღეროდა შირლი ბეისი "ჯეიმს ბონდის" ფილმში – Diamonds, მართლაც, Are Forever, ანუ, მათი დრო არასდროს გადის და, როგორც ჩანს, არც მამაკაცებისთვის.

ეს ტრადიცია ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის მამაკაცებში დევიდ ბექჰემმა დაამკვიდრა. მისი ბიოგრაფიული ცნობების აღმრიცხველ ფანებს კარგად ემახსოვრებათ, რომ ბეკინგემის სასახლეში დედოფალ ელისაბედთან შეხვედრის დროს ფეხბურთელი ციმციმა ბრილიანტის საყურით გამოცხადდა, სამეფო შანდლების ბრწყინვალება რომ დაეჩრდილა.

თუმცა, ბექჰემი, რა თქმა უნდა, ბექჰემია და ბევრი მამაკაცი მას მაჩოობის კი არა, "მეშჩანობის" სიმბოლოდ უფრო აღიქვამს, კაცად, რომელიც ქალურ სარონგსაც დიდი სიამოვნებით იხვევს ტანზე. ასეთებისთვის, ცხადია, ბრილიანტების მოდაში დაბრუნების საკითხიც ეჭვქვეშ დგას. თუმცა, როცა ძვირფას ქვებს თავად ჯორჯო არმანი – მინიმალიზმის "მამამთავარი" იყენებს თავის ახალ კოლექციაში, მაშინ ეჭვები ქრება.

არმანი კი ბრილიანტებს მართლა მიუბრუნდა. მის ბიჭებს ხომ ყვავილის ფორმის სარჭები კოსტიუმის სახელოშიც აქვთ გაყრილი. ბრილიანტებზე ფიქრობს მიუჩა პრადაც და თავის ბიჭებს თვლიან ყელსაბამს ხან ჰალსტუხსა და პერანგის საყელოზე უმაგრებს, ხანაც მათ გემის ფორმის გულსაბნევით უხალისებს ქურთუკს.

ასე რომ, დრო ტრიალებს, საუკუნეების წინ გამქრალი მოდა ბრუნდება და სავაჭრო ნიშანი – მამაკაცების სამკაული თანდათან იკრებს ძალებს. საყურე, ყელსაბამი, ქამარსა და ჩანთაზე მიმაგრებული თვლები – კაცებს უკვე ყველაფერს სთავაზობენ, თვით "კაცურ" თემატიკასაც კი სამკაულისთვის – ზვიგენის კბილს, პატარა რქას, ნიჟარას...

მართალია, ბრენდი – მამაკაცის სამკაული შედარებით ახალი ფენომენია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ გუჩიმ "მედალიონიანი კაცის" იმიჯი ჯერ კიდევ 1970-იან წლებში გამოიგონა. იმიჯი ასეთი იყო – უხეში ფეხსაცმელი, "შლაქსი", გაღეღილი პერანგი და თმიან მკერდში აბრჭყვიალებული ოქროს მედალიონი.

ცხადია, "გუჩი" ტრადიციას არც ახლა არღვევს და კაცებს სამკაულებით უხვად ამარაგებს. მილანურ შოუზე "გუჩის" ბიჭებს მკერდზე მოოქროვილი ყელსაბამები უქანავებდათ, მაჯებზე კი, ასევე, ოქროს სამაჯურებს აჟღარუნებდნენ. დიორის მამაკაციც თავისი ძვირფასი სამკაულებით გამოირჩევა. თუმცა, გაცილებით უფრო ნაზითა და შეუმჩნევლით.

მოკლედ, ბრილიანტები მართლაც არ კვდებიან და თუ ჯერაც ამ წერილის კითხვაში ხართ გართული, შეგახსენებთ კიდევ ერთი მაგალითის – პარიზის ბიჟუტერიის გალერეის და მისი პოპულარობის შესახებ.

"ინთერნეშნლ ჰერალდ თრიბუნის" ჟურნალისტი სიუზი მენკესი ამ დარბაზებს ალადინის თანამედროვე გამოქვაბულს და ძველ სანქტ პეტერბურგულ ბუდუარს ადარებს – სადაც დედოფალი გამოჰფენდა ხოლმე თავისი სამკაულების კოლექციას.

ბიჟუტერიის პარიზული გალერეაც, რომელიც დეკორატიული ხელოვნების მუზეუმში გაიხსნა, ბრჭყვიალა ნივთების მოყვარულებისთვის ნამდვილი აღმოჩენა ყოფილა.

იქ დაცული 1200-მდე ექსპონატი მნახველს ყველა ეპოქასა და მიმდინარეობაზე უქმნის წარმოდგენას: მე-18-19 საუკუნეები, ორიენტალიზმი, არტ ნუვო, არტ დეკო მოდერნი...

მენკესს ყველაზე მეტად რენე ლალიკის შემოქმედება ანცვიფრებს და არტ ნუვოსა და არტ დეკოს პერიოდის ნიმუშები; მაშინ საფრანგეთი შემოქმედებითი დუღილის ეპიცენტრი იყო. თუმცა, არტ დეკო და ბუშერონის ძვირფასეულობა ფინალი სულაც არ გახლავთ. გალერეის მასპინძლები მე-20 საუკუნის სამკაულების საუკეთესო ნიმუშებსაც სთავაზობენ სტუმრებს, განსაკუთრებით კი 1940-50-იანი წლებსა და გასული საუკუნის ბოლო პერიოდში შექმნილ ნაწარმოებებს.

უხვადაა წარმოდგენილი ვერცხლეულიც, რომელსაც მსუყე ფრანგულ გარემოში, სკანდინავიური სიცივე შეაქვს. დიზაინერების ვივიანა ტორუნისა და ჰენინგ კოპელის ხელში კი ვერცხლი მოდერნისტულ მასალადაც იქცევა...

ასე გასრულდა ბრილიანტების, ოქროს ნაკეთობისა და ესთეტიკის ჩვენებური ხოტბა. თემით დაინტერესებულებს კი, პარიზში მოგზაურობამდე, ერთი გამოსადეგი ვებგვერდის მისამართს მოგცემთ – http://www.ucad.fr/galerie-bijoux/ - შეიარეთ, დაათვალიერეთ ეს ულამაზესი კოლექცია და თუ ფრანგულიც გესმით, წაიკითხეთ კიდეც ძვირფასი ნივთების ძველი ისტორიები.

მანამდე "როლექსის" ფინანსური მხარდაჭერით შექმნილი გალერეა ახალ პროექტებზე იმუშავებს. 2006 წელს კი დეკორატიული ხელოვნების მუზეუმს, რომელიც ლუვრის კომპლექსის ნაწილია, ძირფესვიანი რემონტიც ჩაუტარდება.

ფეხბურთი

## რევოლუციური ვარდი "ქობულეთისა" და "რუსთავისთვის"

### 12-დან 10-მდე

მიხეილ აბაიშვილი

დღეს საქართველოს პროფესიული ლიგის ხელმძღვანელები გაარკვევენ, 2004-2005 წლების საფეხბურთო სეზონში უმაღლეს ლიგაში 12 გუნდი იასპარეზებს თუ 10. ასევე დღეს გახდება ცნობილი, ჩემპიონატის პირველი ტური, დაგეგმილისამებრ, 23 ივლისს ჩატარდება თუ მოგვიანებით.

ასეთი კარდინალური ცვლილებების საფუძველი თითქოს არ უნდა არსებობდეს. უმაღლესი ლიგა დატოვეს გასული სეზონის აუტსაიდერებმა, თბილისის "სპარტაკმა" და ოზურგეთის "მერცხალმა", რომელთა ნაცვლად უძლიერესთა კამპანიაში პირველი ლიგის გამარჯვებულებმა, "ქობულეთმა" და წყალტუბოს "სამგურალმა" გადაინაცვლეს. ასევე ლიგას დაუბრუნდა "რუსთავი" (ყოფილი "გორდა"), რომელმაც გადასასვლელ მატჩში უმაღლესლიგელ "მცხეთას" 3:2 მოუგო. რაც შეეხება ბათუმის "დინამოს", მათ ანალოგიურ შეხვედრაში წნორის "მილანი" დაამარცხეს (1:0) და ელიტაში ადგილი შეინარჩუნეს.

საერთოდ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ აღებული და აფიშირებული კურსის თანახმად, უმაღლეს ლიგაში მონაწილეთა რაოდენობა 10-მდე უნდა შემცირებულიყო, მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო ეტაპობრივად და შემცირების პროცესი 2004-2005 წლის სეზონის შემდეგ დამთავრებულიყო.

მოვლენების ფორსირება შეიძლება პროფესიული საფეხბურთო ლიგის მიერ შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ მოახდინოს. ამ კომისიის მოვალეობაში შედიოდა უმაღლესი ლიგის თორმეტივე კლუბის რევიზია და ამ კლუბების მატერიალურ-ტექნიკურ შესაძლებლობებზე ინფორმაციის შეგროვება. წინასწარ იყო განსაზღვრული მთავარი კრიტერიუმები, რომელთა დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში გუნდებს უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის საშუალებას არ მისცემდნენ. მაგალითად, პროფლიგის ხელმძღვანელობის მოთხოვნით, უმაღლესი ლიგის კლუბს საკუთარ იურიდიულ ანგარიშზე, სულ მცირე, 300 ათასი ლარი უნდა ერიცხებოდეს და არ უნდა ჰყავდეს კრედიტორები. პფლ-ს შეფების განმარტებით, ეს თანხა საჭიროა იმისთვის, რომ კლუბმა ერთი სეზონის განმავლობაში ფინანსური თვალსაზრისით შეძლოს ფუნქციონირება. თუმცა, კომისია მხოლოდ კლუბების ფინანსურ მდგრადობაზე არ აგროვებდა მონაცემებს. შემოწმდა სტადიონები, რომლებზეც გუნდებს საშინაო თამაშების ჩატარება მოუწევთ, შეგროვდა ინფორმაცია კლუბების სტრუქტურულ მოწყობასთან დაკავშირებით. პროფესიული საფეხბურთო ლიგის პრესსამსახურის მიერ მოწოდებული წინასწარი ინფორმაციით, არსებული რეალობიდან გამომდინარე, უმნიშვნელო შეუსაბამობებზე პფლ განგაშის ატეხვას არ აპირებს და ასეთი დარღვევების გამო კლუბს უმაღლესი ლიგიდან არ მოხსნიან. თუმცა, ამავე დროს, თუ რომელიმე გენერალური კრიტერიუმი დარღვეული იქნება, ასეთი გუნდი ელიტიდან გაირიცხება და გუნდების რაოდენობა ავტომატურად შემცირდება.

კომისიის მიერ შეგროვებული მასალების თანახმად, ორი კლუბი ვერ აკმაყოფილებს საჭირო მოთხოვნებს და მათ პირველ ლიგაში მოუწევთ ჩანაცვლება. ეს კლუბებია უმაღლეს დივიზიონში ახლახან აღზევებული "ქობულეთი" და "რუსთავი". ჩემს ხელთ არსებული მონაცემებით, ვერც "ქობულეთი" და ვერც "რუსთავი" ფინანსური სტაბილურობით ვერ გამოირჩევიან. ყოველ შემთხვევაში, მთავარ მოთხოვნას – საკუთარ საბანკო ანგარიშზე 300 ათასი ლარის თაობაზე ვერ აკმაყოფილებენ. კულუარული ინფორმაციით, ეს გუნდები ისევ პირველლიგელებად უნდა მივიჩნიოთ. ასეთ შემთხვევაში, საქართველოს ჩემპიონატის პირველი ტური ერთი კვირით გადაიწევს და 23-ის ნაცვლად, 30 ივლისს დაიწყება. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ პროფესიულ საფეხბურთო ლიგას წინასწარ უზრუნია და 10-გუნდიანი ჩემპიონატის კალენდარი შეუდგენია. ასე რომ, წესით, დღეს სერიოზული რევოლუციური ცვლილებები მოხდება და საქართველო ჩემპიონატის ჩატარების ახალ, 10-გუნდიან მოდელზე გადავა.

## შურისძიება



ბექჰემის სახლი ხანძარს გადაურჩა.

დევიდ ბექჰემის უბედურება გრძელდება. ევროპის ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრების კაპიტანმა პენალტი ვერ გაიტანა, ეჩხუბა მადრიდის "რეალის" მწვრთნელს და, თითქოს ეს არ კმაროდა, ვიღაც უცნობმა გადაწყვიტა, ინგლისში მისი სახლი გადაეწვა. ბექჰემისთვის საბედნიეროდ, ეს მცდელობა მცდელობად დარჩა.

გვიან ღამით დევიდ და ვიქტორია ბექჰემების სახლის ტერიტორიაზე პოლიციამ შენიშნა უცნობი მამაკაცი ბენზინის ბალონით ხელში. ტერორისტმა სახლზე ბენზინის გადასხმა კი მოასწრო, მაგრამ ცეცხლის წაკიდება პოლიციამ არ აცალა. ასე გადარჩნენ ვიქტორია ბექჰემი, მისი ორი ვაჟი - ბრუკლინი და რომეო, რომლებიც ინციდენტის დროს შინ იყვნენ. დევიდ ბექჰემი კი ამ დროს ესპანეთში იყო (ის მადრიდის "რეალის" შემადგენლობაში ახალი სეზონისთვის ემზადება).

საინტერესოა, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა სუპერვარსკვლავის სახლს თავს ესხმიან. ორი წლის წინათ სკოტლანდ-იარდმა მოახერხა და შეაჩერა ბოროტმოქმედება, რომელიც შეიძლება ბრიტანეთში ყველაზე გახმაურებული გამხდარიყო. ლონდონში დააპატიმრეს 9 ადამიანი, რომლებიც ვიქტორია ბექჰემის გატაცებას ამზადებდნენ.

ბოროტმოქმედთა გეგმა მარტივი იყო: მათ ლონდონის ჰარტფორდშირის რაიონიდან უნდა მოეტაცებინათ ვიქტორია ორი ვაჟით, მსხვერპლს სპეციალური აირით დააძინებდნენ და ლონდონის სამხრეთით, წინასწარ მომზადებულ სახლში გადაიყვანდნენ. გამოსასყიდის სახით ბოროტმოქმედები 5 მილიონ გირვანქა სტერლინგს მოითხოვდნენ და, როგორც თვითონ ირწმუნებოდნენ, ამ თანხას იოლად მიიღებდნენ, რადგან დევიდ ბექჰემის ქონება 40 მილიონ გირვანქად არის შეფასებული და ხუთ მილიონს საყვარელი ცოლ-შვილისთვის ფეხბურთელი აუცილებლად გაიმეტებდა. ოპერაცია ჩაშალეს ჟურნალისტებმა, რომლებმაც ბანდაში შეაღწიეს.

ბექჰემების ოჯახში სხვა უბედურებაც მომხდარა. ოთხი წლის წინათ მათ ბინაში ქალი შეიჭრა. ჩაინილიუ მარი ობიუმ 13 წერილი მოიპარა (თუმცა, აღმოჩნდა, რომ ეს წერილები თაყვანისმცემლებისგან იყო და არა საყვარლებისგან). მკვირცხლმა ქალბატონმა ტაქსის მძღოლიც კი მოატყუა და შეჰპირდა, რომ ფულს მრიცხველის მიხედვით მისი მეგობრები გადაუხდიდნენ. მრიცხველმა 440 გირვანქა სტერლინგი დაწერა. მძღოლი გაღიზიანდა და მომხდარის შესახებ პოლიციას შეატყობინა. ეს შემთხვევა რომ არა, ჩაინილიუ მოპარული წერილებით ხელში მშვიდად მიაღწევდა სახლამდე.

სასამართლო მოსმენაზე ბევრი სხვა დეტალიც გაირკვა: აღმოჩნდა, რომ ფანატიკოს ქალბატონს ჩანთაში დანა ჰქონია და რამდენიმე წლის განმავლობაში პარანოიდული შიზოფრენიით ყოფილა დაავადებული. საერთოდ, დევიდ ბექჰემის მთელი უბედურება დიდი ტურნირების შემდეგ იწყება ხოლმე.

ბექჰემს დაბრალდა მსოფლიო ჩემპიონატის მერვედფინალში არგენტინასთან მარცხი. მაშინ მისი მშობლებიც კი შეაწუხეს. პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მოექცა ჩინგფორდში (ესექსის საგრაფო) ტედ და სანდრა ბექჰემების ოჯახი. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც "საქალაქთაშორისო ფირმის" ფანატების ექსტრემისტულმა დაჯგუფებამ დევიდის მშობლების სახლს რამდენიმე მინა ჩაუმტვრია და ოჯახს მუქარის წერილები გაუგზავნა. იმავე წელს ფეხბურთელის ფიტულს სამხრეთ ლონდონის რამდენიმე ლუდის ბარში გაუსწორდნენ.

იმავე წელს სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად გულშემატკივართა 40 პროცენტმა განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე არგენტინასთან მნიშვნელოვან თამაშში გაძევებას ბექჰემს არ აპატიებდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ბიბლიის ბრიტანულმა საზოგადოებამ გულშემატკივრებს მოუწოდა, დევიდისთვის ეპატიებინათ. როგორც ამ საზოგადოების ხელმძღვანელმა დევიდ სპრიგზმა განაცხადა, "დავიწყებას მიეცეს ამ ადამიანის მრავალრიცხოვანი ცოდვები".

ახლა, როგორც ჩანს, უკმაყოფილების მეორე ტალღა იწყება. იქნებ ბექჰემისთვის უკეთესი იყოს ნაკრებთან გამოთხოვება? მისივე უსაფრთხოებისთვის ასე აჯობებს.

საიტზე, სადაც მისი ოჯახის შესახებ ინფორმაცია არსებობს, წერია (იქ შეიძლება ვირტუალური ექსკურსიაც კი მოაწყო), რომ ბექჰემი უაღრესად ცრუმორწმუნეა. ხელს უქნევს კაჭკაჭებს, ბრაზდება, ამტვრევს შიშებს, ახალ ფეხსაცმელს მაგიდაზე არასოდეს დებს, უყვარს სუფთა წყალი, ალუბალი, ახალი პურის სუნი და ძაღლები. ძალიან უყვარს ცოლის სურნელი, ვერ იტანს კოქტეილს, შავ შოკოლადს, ჰოკეისა და გველებს. რეგულარულად უყურებს ფილმებს: "ნოთინგ-ჰილი", "თამაში" და "ოთხი ქორწილი და გასვენებები", უსმენს ვიქტორიასა და ემინემის სიმღერებს, ცდილობს, ცოლს ასწავლოს შამპუნზე თავსახურის დახურება და აბაზანაში წყლის დაკეტვა. ის მშვიდდება, როცა ვიქტორია თმას დაიხვევს და ღილს შეიკრავს. ძალიან ღიზიანდება, როცა ვიქტორია შესაფერის ან უდროო დროსაც კი პედიკიურს იკეთებს.

ეს ამ ადამიანისთვის სრულიად ნორმალური დახასიათებაა.

კალათბურთი

## დივაცი "შაკს" შეცვლის

36 წლის სერბი კალათბურთელი ვლადო დივაცი, რომელიც "საკრამენტო კინგზის" ღირსებას იცავდა, მომავალი სეზონიდან "ლოს-ანჯელეს ლეიკერსში" გადაბარგდება და შაკილ ო`ნილს შეცვლის. ო`ნილმა, როგორც ცნობილია, კონტრაქტი გააფორმა "მაიამი ჰიტთან" და მომავალში ამ გუნდის მაისურით იასპარეზებს.

დივაცი "ლეიკერსმა" 1989 წელს აიყვანა დრაფტზე, მაგრამ მეჯიკ ჯონსონის, ჯეიმი უორტის და სხვა გენიოსების კომპანიაში სერბი კალათბურთელი დიდხანს მეორე პლანზე იყო და ლიდერის პოზიციაზე დამკვიდრება ვერ შეძლო. ხოლო როცა გუნდის შემადგენლობაში შაკილ ო`ნილი ჩაირიცხა, დივაცი კობი ბრაიანტის სანაცვლოდ, უბრალოდ, გაწირეს. თუმცა, "შარლოტ ჰორნეთსში" გადასვლა მას მხოლოდ წაადგა. ამ გუნდში სერბი გიგანტი საკვანძო მოთამაშე გახდა და სულაც არ არის გასაკვირი, რომ როცა მას კონტრაქტის ვადა ამოეწურა, დივაცს ახალი კლუბის მოძებნა არ გასჭირვებია. სერბმა "საკრამენტო" აირჩია. იქ 1990-იან წლებში მომავლის გუნდი ყალიბდებოდა და, როგორც შემდგომში გაირკვა, სერბი კალათბურთელი არც ამჯერად შემცდარა.

NBA-ში ვლადო დოვაცის კარიერა კურიოზით დაიწყო. მისი პირველი სიტყვები, რომელიც მან "ლოს-ანჯელეს ლეიკერსში" ვარჯიშზე წარმოთქვა, ასეთი იყო: "თქვენ კიდევ მიიღებთ პასუხს ვიეტნამის გამო". ერთ-ერთმა პარტნიორმა დივაცი გააშაყირა კიდეც, როცა თქვა, რომ ინგლისურად ასეთი ფრაზა ნიშნავს - "დილა მშვიდობისა". წვერიანი ცენტრის საამაყოდ უნდა ითქვას, რომ ამ სიტუაციამ იგი სრულებითაც არ დააბნია და უკვე ექვსი თვის შემდეგ დივაცმა აშშ-ში სრული აკლიმატიცაზია გაიარა.

სერბმა ვეტერანმა 2001 წელს უარი თქვა ეროვნულ ნაკრებში თამაშზე. თუმცა, ამის მიუხედავად, სამშობლო არ დავიწყებია. ყოველ წელიწადს ის ბავშვებისთვის საზაფხულო ბანაკს აწყობს და, საერთოდ, დივაცი ცნობილია თავისი მცდელობით, გახდეს სპორტისა და ჯანმრთელობის ელჩი. მაგალითად, ის გაერთიანებულია რამდენიმე ორგანიზაციაში, რომელიც ნარკოტიკების გავრცელებას ებრძვის.

ის NBA-ის ერთ-ერთი ავტორიტეტული კალათბურთელია. ფრანგული ყოველკვირეული გამოცემა Basket News-ის გამოკითხვის შედეგად, რომელმაც კალათბურთის სფეროში ევროპის წამყვანი სპეციალისტები მოიცვა, გაირკვა, რომ დივაცი ევროპის 10 საუკეთესო კალათბურთელს შორის მერვეა. ეს გამოკითხვა გასული სეზონის შედეგებს ეყრდნობა.

დივაცს ახალ კლუბში სერიოზული მუშაობა მოუწევს. გასულ სეზონში ფინალში დამარცხების შემდეგ "ლეიკერსი" კინაღამ დაიშალა. გუნდი დატოვა მთავარმა მწვრთნელმა ფილ ჯექსონმა. მას ლიდერი შაკილ ო`ნილიც მიჰყვა. კობი ბრაიანტი კი მხოლოდ უსაშველოდ დიდმა ხელფასმა შეაჩერა. კლუბში არც ფსიქოლოგიური მდგომარეობაა ჯანსაღი. ფინალში დამარცხება (კაცმა რომ თქვას, ნებისმიერი გუნდისთვის დაღუპვის ტოლფასი შედეგის მომტანი)



დივასი "ლეიკერსში" მიდის.

დებითი შედეგი იქნებოდა) უაღრესად ნეგატიურად აისახა გუნდის მდგომარეობაზე. მოთამაშეების მხრიდან გამოითქვა ურთიერთსაყვედურები, ბრალდება. დივაცი კი გუნდში შექმნილ მიკროკლიმატს სწრაფად დაარეგულირებს. გარდა იმისა, რომ დივაცი მაღალი კლასის მოთამაშეა, მას იუმორის გრძნობაც განვითარებული აქვს და თანაგუნდელთა აყოლიებაც შეუძლია. ახალი ცენტრი "ლეიკერსში" სეზონზე 2,5 მილიონ დოლარს მიიღებს. სწორედ ამ თანხას სთხოვდა ის "საკრამენტოს", მაგრამ უარი მიიღო.

სხვათა შორის, დივაცისთვის სწორედ შაკილ ო`ნილი იყო იდეალური ცენტრი. სერბი ვეტერანი ასე ახასიათებს კალათბურთელს, რომლის შეცვლაც მოუწევს: "ის მაღალი, ძლიერი და სწრაფი მოთამაშეა. ბოლო დროს მან მნიშვნელოვნად დახვეწა თამაში, განსაკუთრებით საჯარიმო ტყორცნები. ამჟამად შაკილი საუკეთესო ცენტრია და, შეიძლება ითქვას, NBA-ის საუკეთესო მოთამაშე".

ფორმულა 1

## ტრასაზეა ექსპერტი შტუკი

შარშან, როდესაც სამეფო რბოლების მსოფლიო ჩემპიონატი მიიწურა, რიგ საჯინიბოებს იმედი მიეცათ, რომ 2004 წლის ასპარეზობებზე "ფერარის" ჰეგემონიას დაამხობდნენ და თავად მოექცეოდნენ სათავეში. ასეთებს იმედი გაუცრუვდათ. იტალიური საჯინიბოს პირმშო ისე არ ტოვებს რბოლას, რომ სამეულში ადგილი არ მოიპოვოს. თუმცა, სამეული რა მოსატანია, მიხაელ შუმახერმა 11 დიდი პრიზიდან 10-ში გაიმარჯვა. "ფერარის" წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვის "შუმის" ბრაზილიელ თანაგუნდელს რუბენს ბარიკელოსაც, რომელსაც ასევე მუდმივად ვხედავთ კვარცხლბეკზე. კონსტრუქტორთა დავაში "ფერარი" საგრძნობლად უსწრებს მეტოქე გუნდებს.

და მაინც, რა ხდება? ამ კითხვაზე პასუხის შესატყობად ცნობილ გერმანელ ექსპერტს ჰანს-იოაჰიმ შტუკს ინტერვიუ ჩამოართვეს. ინტერვიუში შტუკი "ფერარის" უპირატესობის მიზეზებზე საუბრობს, მაგრამ, იმავდროულად, ქებას არ იშურებს "მაკლარენის" მიმართ, რომელიც მიმდინარე სეზონის შუაში აშკარად მომძლავრდა.

**- "ფერარი" ერთადერთი გუნდია, რომელიც წლეულს სტაბილურად გამოდის. რატომაა, რომ გუნდი 2 არ არსებობს?**

- ეს ტენდენცია ჯერ კიდევ შარშან იგრძნობოდა. ყველა გუნდმა იცოდა, რა მიმართულებით უნდა ემუშავათ. ზოგიერთები მიუახლოვდნენ, თანაც, ძალიან მიუახლოვდნენ "ფერარის", მაგრამ არავინ ელოდა, თუ იტალიელები კიდევ უფრო დაწინაურდებოდნენ. სკუდერიის უკან მიმდინარე ორთაბრძოლები კი ძალზე მჭიდრო გახდა. "ფერარის" ამგვარი პროგრესი რომ არა, დღეს ჩვენ ბევრად საინტერესო ჩემპიონატს ვიხილავდით.

**- "ფერარის" მდევრებზე რას იტყვით?**

- "რენოს" გაძლიერება 2003 წელს შეიძლებოდა გვეწინასწარმეტყველებინა. აშკარა იყო ისიც, რომ დროთა განმავლობაში დევიდ რიჩარდსი "BAR-ჰონდას" მოაღონიერებდა. ის, რომ "მაკლარენ-მერსედესი" კვლავაც იბრძვის უმაღლესი შედეგებისთვის, გუნდის პოტენციალზე მიუთითებს. გამოდის, რომ გვყავს მდევართა დიდი ჯგუფი, მაგრამ სკუდერიელებს ვერავინ უახლოვდება.

**- რისი ბრალი უნდა იყოს?**

- ერთი მხრივ, "ბრიჯსტოუნის" საბურავები ყველანაირ პირობებში ბრწყინვალედ ფუნქციონირებს. ვერაფერს იტყვი, იაპონელები კომპლიმენტებს იმსახურებენ. მეორე მხრივ, "წითლებს" ძალზე შეხმატკბილებული გუნდი ჰყავთ. "ფერარიში" არაჩვეულებრივი ჰარმონიაა, რასაც ბრწყინვალედ ავსებს როს ბრაუნის სტრატეგიული ელექსირი. კარგი იქნება, თუ სხვებიც მათ მიბაძავენ. ჩემი აზრით, "ფერარისთან" მიახლოება შესაძლებელია, მაგრამ ამ გუნდის გასწრება...

**- ერთი სიტყვით, სხვები ძლივძლივობით ეწევიან, მაგრამ როს ბრაუნის სახით "ფერარი" კოზირს გაათამაშებს და კვლავაც მოიგებს?**

- ბრძოლები იოლად არასდროს მიმდინარეობს, მაშინაც კი, როდესაც ერთი შეხედვით ყველაფერი მარტივად ჩანს. სილვერსტოუნზე (დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი) როსს ვკითხე, რამდენი ჰქონდა მიხაელ შუმახერს ავზში საწვავი პეის-ქარის (უსაფრთხოების მანქანის) ფაზის შემდეგ (შტუკი გულისხმობს "რენოს" იტალიელი მრბოლის იარნო ტრულის ავარიის შემდგომ დროს, როდესაც რბოლები დროებით შეწყდა და უსაფრთხოების მანქანა გამოიძახეს. - რედ.).

"იმდენი, რამდენიც საჭირო იყო", - მიპასუხა ბრაუნმა. პეის-ქარი რომ არ გამოჩენილიყო, გამარჯვებას ბევრად იოლად მივაღწევდითო.

**- წლეულს ვინმეს თუ აქვს იმის შანსი, რომ მიხაელ შუმახერს მოუგოს?**

- კიმი რაიკონენს. ჩემთვის ის "შუმახერზე №1 მონადირეა". ამავე "ბანდას" შეგვიძლია მივაკუთვნოთ ჯენსონ ბატონი და ტაკუმა სატო (BAR), რენოელები ფერნანდო ალონსო და იარნო ტრული. მონტოიაც...

**- შთამბეჭდავია "მაკლარენ-მერსედესის" პროგრესი...**

- დარწმუნებული ვარ, ბევრად უკეთესებიც გახდებიან. "ვერცხლის ისრებმა" იყნოსეს სუფთა ჰაერი და დარჩენილ რბოლებს განსაკუთრებული მოტივაციით ჩაატარებენ.

**- სწორია თუ არა ხუან-პაბლო მონტოიას გადაწყვეტილება, 2005 წლიდან "მაკლარენში" იყოს?**

- მონტოიასთვის ჰო, მაგრამ არ ვიცი, რამდენად ბედნიერი იქნება მასთან ერთად გუნდი. დღემდე რაიკონენისა და კულჰარდის ტანდემში სრული ჰარმონია სუფევდა. 2005 წლის სეზონის პირველი რბოლები გვიჩვენებს, როგორი იქნება რაიკონენისა და მონტოიას დუეტი.

**- "ჰოკენჰაიმში" (გერმანიის დიდი პრიზი) ანტონიო პიცონია ("უილიამსის" ტესტ-პილოტი) იასპარეზებს. სწორია ამგვარი გადაწყვეტილება?**

- არა მგონია, რომ მარკ ჟენეზე (ესეც "უილიამსის" ტესტ-პილოტია) უკეთ გამოვიდეს. გასაგებია, რომ "უილიამსის" კოკპიტში ვერ ვიხილავთ იმ მრბოლებს, რომელთა ხილვასაც ვისურვებდით. პირადად მე მინდა, რომ "ჰოკენჰაიმზე" ჟაკ ვილნევი ვიხილო, მაგრამ მას 2005 წლამდე კონტრაქტი სურს. ამგვარ ვითარებაში კი, ჩვეულებისამებრ, ტესტ-პილოტები გამოდიან.

**- "BMW-უილიამსთან" მოლაპარაკებებს ნიკ ჰაიდფელდიც ("ჯორდანი") აწარმოებდა, მაგრამ ედი ჯორდანმა ("ჯორდანის" შეფი) მრბოლს იმედები ჩაუფუშა, როდესაც "უილიამსისგან" დიდი ფული მოითხოვა. ჯორდანის გადაწყვეტილება გესმით?**

- მესმის, რადგან არცთუ ხელსაყრელია უცაბედად, შუა სეზონში პილოტის დაკარგვა. მე მესმის ედის. "ჯორდანი" – ეს პილოტთა ბანკი არაა.

**- ნიკ ჰაიდფელდს აქვს თუ არა შანსი, გაისად "უილიამსში" აღმოჩნდეს?**

- ვფიქრობ, რომ არა. დიდი ხანია, ნიკი მოლაპარაკებებს აწარმოებს, მაგრამ უშედეგოდ. კარგი იქნება, თუ საკუთარ სისწრაფეს ტრასაზე დაამტკიცებს. ახლა იგი შეუმჩნეველია. "უილიამსის" ადგილზე მე მას კონტრაქტს არ შევთავაზებდი.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

განახლებული გადაცემა "ხალხის პირისპირ" სექტემბრიდან კვლავ გავა რუსთავი 2-ის ეთერში. [illegible]

[illegible]

ანკეტა გამოგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ", ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საშუალებით, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ ჰყავთ)

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

დამხმარე კატეგორია: [illegible]

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? [illegible]

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? [illegible]

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადახდენიათ თავს? კერძოდ რა?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? [illegible]

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

რატომ გინდათ, მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. მისი სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

„ხალხის პირისპირ" - ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაერთვის სხვადასხვა მონაწილე კონკურსანტებს.

შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

| შეკითხვის ტექსტი: | პასუხის ტექსტი: |
| --- | --- |
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |
| 4 | |
| 5 | |

სახელი და გვარი
ბინის მისამართი
სამსახურის ტელეფონის ნომერი
ბინის ტელეფონის ნომერი
მობილური ტელეფონის ნომერი

[illegible]

[illegible]

თუ კითხულობთ ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და შეუთითოთ შევსების თარიღი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

## მემარცხენე ქრისტიანობის ნელი განვითარება



ინდუსტრიალიზაცია, ანუ ევროპელთა უმრავლესობის ობიექტური ტრაგედია თავდაპირველად მხოლოდ საზოგადოების საერო ნაწილს აფიქრებდა. უფროსი თაობისთვის სკოლის მერხიდანაა ცნობილი **ფურიეს**, **სენ-სიმონის**, **პრუდონისა** და სხვათა სახელები. ეს უტოპისტები თუ ანარქისტები დღეს ლამის ეშმაკის მსახურებად არიან შერაცხული ჩვენი საზოგადოების კონსერვატიულ, უფრო ზუსტად კი გაუთვითცნობიერებელ ნაწილში, მაგრამ სწორედ მათი მოღვაწეობის ირიბი შედეგი იყო, რომ XIX საუკუნის განმავლობაში ნელ-ნელა, მაგრამ განუხრელად დამკვიდრდა ევროპული ქვეყნების კანონმდებლობაში მუშათა სასიცოცხლო საჭიროება — გაფიცვის უფლება. პიონერი ამ საქმეში დიდი ბრიტანეთი იყო: აქ არალეგალურობის პერიოდი 1824 წელს დასრულდა, ხოლო 1876 წელს გაფიცვის უფლებამ საბოლოოდ მიიღო იურიდიული აღიარება.

მთავარი მოქმედი პირი მუშათა უფლებებისათვის ბრძოლაში, რა თქმა უნდა, პროფკავშირი იყო. შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესი ერთგვარად სტიქიურად, ბუნებრივად მიმდინარეობდა. ამისგან განსხვავებით "მეცნიერულმა" სოციალიზმმა აშკარად პოლიტიკური გზა აირჩია. განსაზღვრება "მეცნიერული" **კარლ მარქსს** ეკუთვნის და მასში გამოხატულია ავტორის დაპირისპირება ფრანგ უტოპისტებთან: ისინი "არამეცნიერულნი" იყვნენ. ასე თუ ისე, 1848 წელს ლონდონში გამოიცა "კომუნისტური პარტიის მანიფესტი" — სოციალური მოძრაობის ისტორიაში ამ ტექსტს იგივე ადგილი უკავია, რაც ადამიანის უფლებათა დეკლარაციას ლიბერალიზმის ისტორიაში. კომუნისტურ პარტიათა ბუმი ელვის სისწრაფით მოედო მთელ ევროპას. საინტერესოა, რომ დიდ ბრიტანეთში, სადაც "მანიფესტი" გამოვიდა, სოციალისტურ-კომუნისტურმა მოძრაობამ ძალიან უხალისოდ მიიღო პარტიული სახე გასული საუკუნის დასაწყისისთვის. ეს იმით აიხსნება, რომ ქვეყანაში, სადაც ინდუსტრიალიზაციის აკვანი დაირწა, მუშათა მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემები ნელ-ნელა თავისთავად გვარდებოდა პროფკავშირული მოძრაობის დახმარებით.

ამიტომაც ვერ იტანდნენ პარტიული კომუნისტები პროფკავშირებს. ამიტომ დაიმონეს ისინი საბჭოთა კავშირში ლენინის მიმდევრებმა პროფკავშირული აპარატის პარტიულ ნომენკლატურაში ინტეგრირებისა და სრული პარალიზების გზით.

მაგრამ, რას ფიქრობდა ამ დროს დასავლეთის ეკლესია? — ამ სიტყვით საერო კათოლიკეებსა და სამღვდელო იერარქიას ვგულისხმობთ. უნდა ვაღიაროთ, რომ სოციალური პროცესების შეგნებამ ეკლესიის წიაღში ძალიან გვიან შეაღწია, თუ არ გავითვალისწინებთ მცირე გამონაკლისებს.

ეკლესიური შეხედულება სოციალურ საკითხებზე, ძირითადად, ორ ასპექტად შეიძლება დაიყოს. ამასთან, პირველი ასპექტი დროთა განმავლობაში სუსტდებოდა და თანდათანობით იქცეოდა ერთგვარ სულიერ მდგომარეობად თუ განწყობად; მეორე ასპექტი კი ასევე ნელა ძლიერდებოდა და შედარებით ღრმა და ქმედით სოციალურ დოქტრინად ვითარდებოდა. პირველი თვალსაზრისის თანახმად, ეკლესია მოუწოდებდა შერიგებისკენ, სიღარიბის შინაგანი მიღებისკენ, სოციალური ტანჯვის რელიგიური მნიშვნელობის აღიარებისკენ. ამ შეხედულებათა თანახმად ეკლესიის როლი უნდა შემოფარგლულიყო ვიწრო საქველმოქმედო საქმიანობით. მეორე თვალსაზრისი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ეკლესიამ უბრალოდ მოწყალება კი არ უნდა გასცეს და მშივრები უფასო სადილით დააპუროს, არამედ მხარი უნდა აუბას მათ სოციალურ ბრძოლას. თავიდან ეს მხარდაჭერა, ასე ვთქვათ, პატერნალისტურად იყო გაგებული: ჩვენ თქვენი მოძღვრები და წინამძღოლები ვართ, ამიტომ თქვენს ბრძოლაში ჩვენს წარმმართველ სიტყვას არ უნდა გადაუხვიოთ და ჩვენს მიერ დადგენილი საზღვრები უნდა დაიცვათ. მოგვიანებით ეკლესიის იერარქიაშიც მომწიფდა მუშათა უფლებების აღიარება და სოციალური ბრძოლის თავისთავადი კანონიერების შეგნება.

საინტერესოა, როგორ აისახა ეს ევოლუცია იტალიური კათოლიკური კონგრესების მეორე სექციის სახელწოდებაში. ეს სექცია პირველად 1874 წელს იყო მოწვეული და სახელად დაერქვა "ქველმოქმედების სექცია", 1879 წელს მას უკვე "ქველმოქმედებისა და კათოლიკური ეკონომიის სექცია" ერქვა, ხოლო 1887 წელს კი — "ქრისტიანული სოციალური ეკონომიის სექცია". აქ უნდა განვმარტოთ, რომ ტერმინი "ეკონომია" გულისხმობს იმას, რასაც დღეს უფრო ხშირად "მენეჯმენტი" ეწოდება.

და მაინც, უნდა ითქვას, რომ XIX საუკუნის განმავლობაში კათოლიკეთა უმრავლესობა სრულიად იზიარებდა სახელმწიფოთა ეკონომიკურ პოლიტიკას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ემხრობოდა ბურჟუაზიის პოზიციას. არგუმენტი მარტივი იყო: განა თვით იესომ არა თქვა, რომ ღარიბები ყოველთვის იარსებებენ? ადამიანები, რომლებიც ეკლესიის წიაღიდან სოციალური სიტუაციის გაჯანსაღებისკენ მოუწოდებდნენ უფრო ხშირად უსაფუძვლო ვიზიონერებად და უტოპისტებად მოჩანდნენ. ამის მიზეზი კი ორი იყო: ეკლესიას ეშინოდა, ერთი მხრივ, საკუთარი ეკონომიკური სიძლიერის დათმობისა და, მეორე მხრივ, კულტურისა და სოციალური თვითშეგნების ფართო მასებში გავრცელებისა. პირველი მას არსებობის მატერიალურ სახსარს მოუსპობდა, მეორე კი მორჩილსა და უტყვ სამწყსოს წაართმევდა.

სინამდვილეში ეს არგუმენტები ძალიან სუსტია: ჭეშმარიტ ეკლესიას არც სიღარიბის ეშინია და არც მისი წევრების განათლებულობისა. მაგრამ ერთიც და მეორეც სამღვდელოებისაგან უფრო მეტ შრომასა და გარჯას მოითხოვს. ამის მსურველი, ბუნებრივია, ძალზე ცოტაა.

მაგრამ ევროპის ქრისტიანებს კიდევ ერთი დაბრკოლება ეღობებოდა სოციალური შეგნებისკენ გზაზე: სახელმწიფოს მიმართ უნდობლობა. იტალიაში ეს უნდობლობა ახალი მთავრობის მიერ ეკლესიის მიმართ გატარებული მკაცრი პოლიტიკით იყო გაძლიერებული, გერმანიაში — პროტესტანტთა ხელში მყოფი პრუსიის სახელმწიფოს ფაქტორით, საფრანგეთში კი კათოლიკე დეპუტატები, ძირითადად, ყრუ და შეუგნებელი მონარქისტები იყვნენ, რომლებიც სამეფო ხელისუფლების აღდგენაზე ოცნებობდნენ და ისტორიული მომენტის გათვალისწინების არანაირი უნარი არ ჰქონდათ. 1848 წელს ანთებულმა რევოლუციურმა კოცონმა კი მორწმუნეთა შიშები კიდევ უფრო გაამძაფრა, მით უმეტეს, რომ პარიზში ეპისკოპოსი **აფრე** მოკლეს, რომში კი პაპს, **პიუს IX**-ს გაეტაში მოუწია გაქცევა.

კონსერვატორებს ეშინოდათ, რომ სოციალურ მოძრაობაში მონაწილეობა ეკლესიას მიწიერი საკითხების ორომტრიალში ჩაითრევდა. ამის საწინააღმდეგოდ კი სულ უფრო ხშირად ისმოდა რადიკალურად განწყობილი ცალკეული მღვდლებისა და ეპისკოპოსების ხმა. მათი სიმართლე უჩვეულო იყო და ხშირად გამოხატვისთვის სათანადო, უფრო სწორად კი ჩვეულ ფორმას ვერ პოულობდა, რამაც ოფიციალური იერარქიის მხრიდან საკმაოდ მკაცრი რეაქცია გამოიწვია. მაგრამ კანონიკური დისციპლინის დამრღვევებმა, თუმც კი ზოგიერთი მათგანის კარიერა შეეწირა მათსავე გულწრფელობას, მაინც დიდი სიკეთე მოუტანეს ეკლესიას.

მის წიაღში ნელ-ნელა მომწიფდა და განვითარდა საკუთრივ სოციალური მოძრაობა, რომლის მწვერვალი იყო პაპის, ლეონ XIII-ის ენციკლიკა Rerum novarum — "ახალი საქმენი".

# კიდევ ერთხელ პროლეტარიატის შესახებ

### მუშათა მდგომარეობა ინდუსტრიალიზაციის პირველ ხანებში

ყველასათვის ცნობილია სიტყვა "ინდუსტრიალიზაცია", თუმცა სხვადასხვა თაობის ადამიანებს სხვადასხვანაირად ესმით მისი მნიშვნელობა. გასული საუკუნის პირველ მესამედში დაბადებულ ბებიებსა და ბაბუებს ჯერაც ახსოვთ ამ გრძელი და ლითონივით ჟღრიალა სიტყვის ტრიუმფალური სვლა გაზეთების ფურცლებსა და რადიოეთერში. ეს საყოველთაო ტრიუმფი რეალურ ცხოვრებაში ერთგვარად ჩამწარებული იყო დაბალი ხელფასით, პროდუქტების დეფიციტით, შინსახკომის შავი მანქანების არცთუ იშვიათი გამოჩენითა და კიდევ ვინ იცის რამდენი უსიამოვნებით. უფრო გვიანდელი თაობების ცნობიერებაშიც აისახა ეს მძიმე განცდები.

მაგრამ, სინამდვილეში ყველაფერი სულ სხვანაირად იწყებოდა და თავისუფალ სამყაროში გაზრდილი ადამიანისათვის სიტყვა ინდუსტრიალიზაცია სულ სხვა რამეს ნიშნავს. ჯერ ერთი, ეს ადამიანი საკმაოდ განათლებული უნდა იყოს, რადგან ამ ტერმინით ისეთივე ეპოქა თუ ისტორიული პროცესი აღინიშნება, როგორც "განმანათლებლობა", "რენესანსი" ან სხვა მაგდაგვარი. მოკლედ რომ ვთქვათ, "ინდუსტრიალიზაცია" დასავლელი ადამიანის უშუალო გამოცდილების ნაწილი კი არაა, არამედ XVIII საუკუნიდან ნელა, თითქმის შეუმჩნევლად დაწყებული ხანა, რომლის შესახებ მან მხოლოდ წიგნებიდან თუ იცის რამე.

XIX საუკუნის განმავლობაში კი ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრებას ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო და ერთგვარად შემავსებელი ფენომენი ახასიათებდა. ჯერ ერთი, უეჭველია არნახული ტექნოლოგიური პროგრესი: ადამიანი ნელ-ნელა ეუფლებოდა სივრცესა და ენერგიას, სძლევდა ბუნების მიერ დადგმულ დაბრკოლებებს, თავისუფლდებოდა ათასობით მატერიალური ბორკილისაგან, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში აპირობებდა მის ცხოვრებას; თანდათანობით მოკლდებოდა მანძილები, მსუბუქდებოდა ტვირთი და ტექნოლოგიური პროგრესი ვაჭრობის კოლოსალურ განვითარებაზეც აისახა. ჯერ ეს ცვლილებები მხოლოდ ევროპის ქვეყნებში შეიმჩნეოდა, მერე კი კონტინენტებს გადააბიჯა. მაგრამ, მეორე მხრივ, მთელი ეს ტექნოლოგიური განვითარება ძალიან ნელა ახდენდა გავლენას საერთო კეთილდღეობის ამაღლებაზე — მოსახლეობის უმრავლესობა თვით ყველაზე განვითარებულ ქვეყნებშიც კი წარმოუდგენლად გაუსაძლის პირობებში ცხოვრობდა. ეს პირობები, შეიძლება ითქვას, ინდუსტრიალიზაციის დაწყებასთან ერთად ადრინდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუარესდა.

მით უმეტეს, რომ პროგრესის სვლა ერთობ არათანაბარი იყო. დიდი ინდუსტრიის გავრცელება ინგლისში დაიწყო XVII საუკუნის ბოლოს; საფრანგეთში, ბელგიასა და გერმანიაში — XIX საუკუნიდან, ხოლო იტალიაში — XIX საუკუნის ბოლოს. ამ პროცესებმა განუზომელი სიმდიდრე მეწარმეთა მცირერიცხოვანი ჯგუფის ხელში დააგროვეს, ხოლო პროლეტართა ურიცხვი უმრავლესობა მონურზე გაცილებით უფრო მძიმე უღლის ქვეშ აღმოჩნდა. საქმის ეს ვითარება სულაც არაა გადმოწერილი რომელიმე საბჭოთა სახელმძღვანელოდან, რადგან თვით რომის პაპი თავის ენციკლიკაში Rerum novarum (ახალი საქმენი) წერდა, რომ ქვეყნიერების ბედ-იღბალი რამდენიმე უმდიდრესი კაცის ხელშია, ისე რომ "მათი ნების საწინააღმდეგოდ სუნთქვასაც ვერავინ ბედავს". თვით XX საუკუნის პირველ ათწლეულებამდე ევროპის უდიდეს ტერიტორიაზე მუშათა კლასს არაადამიანურ მდგომარეობაში უწევდა არსებობა, პროლეტარები საყოველთაოდ იყვნენ დათრგუნულნი და მუდმივი შრომისაგან დეგრადირებულნი.

სამუშაო დღის ხანგრძლიობა თავიდან 14-17 საათს აღწევდა და მთელი ამ ხნის განმავლობაში მუშას ერთი და იმავე ჟესტის განუწყვეტელი გამეორება უხდებოდა ფიზიკურად და მორალურად არაჯანსაღ გარემოში. ქალები და ბავშვებიც ამავე პირობებში იყვნენ დასაქმებულნი და ეს უკანასკნელნი ხშირად ექვს წელზე მცირე ასაკიდანაც. ხელფასი ძლივს ყოფნიდა ერთი ადამიანის რჩენას, ოჯახისთვის კი ნამდვილად არ იყო საკმარისი. საცხოვრებელი ბინები ქალაქის ბნელსა და უსახურ უბნებში ხალხით გაჭედილი ვიწრო ოთახების გაუთავებელ სიმრავლეს წარმოადგენდა. ერთი სიტყვით, გერმანელი ეკონომისტის **კარლ მარქსის** ფუნდამენტური ნაშრომი "კაპიტალი" და ინგლისელი მწერლის, **ჩარლზ დიკენსის** რომანები სავალალო სინამდვილეს ეფუძნება.

არანაკლები სიდუხჭირე სუფევდა სოფელში, საიდანაც ხალხმა უკვე ქალაქისაკენ მასობრივი გაქცევა დაიწყო. სოფლის ტრადიციული სოციუმი თითქმის უკვე მოშლილი იყო და იქ აღარავინ რჩებოდა სურავანდით დაავადებული, ქოხმახებში ჩაჭყლეტილი ადამიანებისა, რომლებიც ყოველგვარი ტრადიციული წეს-ჩვეულებისა და კანონის გარეშე უწყვილდებოდნენ ერთმანეთს და საკუთარ თავზე უფრო საცოდავსა და სუსტ შთამომავლობას იძლეოდნენ.



*ბრინჯის პლანტაციებზე დღეში ოთხმოცი ცენტისთვის*

ამას ისიც ემატებოდა, რომ პროლეტართა დაუცველ მასაში ფართოდ იყო გავრცელებული სხვადასხვა საყმაწვილო და ქრონიკული დაავადებები, ბავშვთა სიკვდილიანობა. სასოწარკვეთილნი ალკოჰოლში ცდილობდნენ შვების პოვნას, ქალები კი შრომის საშინელებისაგან გათავისუფლებას პროსტიტუციის გზაზე ცდილობდნენ. აქა-იქ იშვიათად თუ იფეთქებდა იმთავითვე განწირული ამბოხება. ერთ-ერთი ამგვარი აჯანყება საფრანგეთის ქალაქ ლიონში ჩააქრეს 1831 წელს. ამის თაობაზე მოვლენათა თვითმხილველი, **კაზიმირ პერიე** წერდა, რომ მმართველ კლასებს არაფერი აქვთ შესათავაზებელი მუშებისათვის, თუ არა მოთმინება და ვითარებასთან შერიგება.

პარიზში 1848 წელს დამარცხებული რევოლუციის შემდეგ კი საფრანგეთის ეროვნული ასამბლეა აცხადებდა, რომ მუშები არიან "შეშლილნი და უგუნურნი, რომლებმაც იარაღი აიღეს ადამიანების დასახოცად და გასაძარცვად; ამ ახალ ბარბაროსთა შეტევის წინაშე დამხობის რისკის ქვეშ დადგა ოჯახი, რელიგია, თავისუფლება, სამშობლო, ცივილიზაცია". ამგვარად განსაზღვრავდა ხელისუფლება თავისი მოსახლეობის უმრავლესობას.

### ლიბერალიზაცია და ინდუსტრიული რევოლუცია

აღწერილი მძიმე მდგომარეობა ორმა ფაქტორმა განაპირობა. პირველი იყო დიდ სამეცნიერო აღმოჩენათა რეალიზაცია ტექნიკის თითქმის ყველა სფეროში. ამის შედეგები ყველასათვის ცნობილია. ასევე ცნობილია სკოლის მერხიდან ორი გვარი: **ადამ სმიტი** (1723 - 1790) და **დევიდ რიკარდო** (1772 - 1823). ორივენი, როგორც ვიცით, ინგლისელი ეკონომისტები იყვნენ, რომლებმაც თეორიული საფუძველი ჩაუყარეს კაპიტალისტური ეკონომიკის პრინციპებს. მაგრამ, მეწარმეთათვის ეს არა მარტო სტიმული იყო, არამედ მათი ეგოისტური ამბიციებისა და მოგებისაკენ აულაგმავი სწრაფვის უეჭველი და დაუძლეველი გამართლებაც. თეორიის მეცნიერულობა ამშვიდებდა და ლამის გამორიცხავდა მანამდე მნიშვნელოვან კატეგორიას: სინდისს.

ცოტა მოგვიანებით მანჩესტერის ეკონომიკურმა სკოლამ სმიტისა და რიკარდოს თეორია ოთხ ძირითად საწყისად ჩამოაყალიბა: **ეკონომიკური ამორალიზმი, თავისუფალი კონკურენცია, სახელმწიფოს ჩაურევლობა, ინდივიდუალიზმი**. დღეს ეს ყველაფერი თითქმის უსაფრთხოდ და სრულიად მისაღებად ჟღერს, მაგრამ ჩვენმა ქართულმა დღევანდელობამაც ხომ დაამტკიცა, რომ ყველაფერი კონკრეტულ რეალიზაციაზეა დამოკიდებული.

ეკონომიკური ამორალიზმი ეკონომიკურ კანონებს ჩვეულებრივ მიზეზ-შედეგობრივ ურთიერთობებად განიხილავდა, რის გამოც ადამიანისადმი პატივისცემა, ღირსება, სამართლიანობისა და უსამართლობის კატეგორიები სრულიად უადგილოდ იყო მიჩნეული. მაგრამ, ამ პრინციპის უკრიტიკოდ განხორციელება ნიშნავს, რომ ხელფასი მხოლოდ საქონელია და სრულიად ექვემდებარება მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთდამოკიდებულებას. ხელფასის დადგენისას არ უნდა მონაწილეობდეს არავითარი სხვა კრიტერიუმი გარდა წმინდად ეკონომიკურისა.

თავისუფალი კონკურენციის პრინციპმა ბოლო მოუღო აბსოლუტისტური სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელ გეგმაზომიერ წარმოებას. ასევე დაინგრა ყველა ის პრინციპი, რომლითაც ხდებოდა ხელოსანთა და მწარმოებელთა შუასაუკუნეობრივ კორპორაციათა შორის ურთიერთობის რეგულირება. ახლა უკვე წარმოება კი არ მისდევდა მოთხოვნას, არამედ თვით ქმნიდა და აპირობებდა მას. ერთი მხრივ, თავისუფალი კონკურენცია აქილევსის შუბს ჰგავს, რომელსაც არა მარტო ჭრილობის მიყენება, არამედ განკურნებაც შეუძლია. მაგალითად, კონკურენციულ ბრძოლაში იმარჯვებს უძლიერესი და საუკეთესო, ხდება საბოლოო პროდუქტის ბუნებრივი სრულყოფა, ადვილად ინერგება ტექნოლოგიური სიახლეები. მაგრამ ამის საფასური კვლავ მუშებს აწვება კისერზე, რადგან მწარმოებელი ულმობელ კონკურენციაში თავის გადასარჩენად სწორედ მათ უმცირებს ხელფასს და უხანგრძლივებს სამუშაო დღეს.

ამავე თეორიის თანახმად, სახელმწიფოს ჩარევა იქნებოდა უსარგებლო, მავნებელი და უსამართლო. უსარგებლო, რადგან ბუნება თავისთავად ამყარებს წონასწორობას; მავნებელი, რადგან სახელმწიფოს ჩარევა დააბრკოლებს ბუნებრივი კანონების მოქმედებას; უსამართლო, რადგან უსაფუძვლოდ შეზღუდავს ცალკეულ პირთა მოქმედების თავისუფლებას. ამის გამო თვით ლიბერალური სახელმწიფოებიც გვიან და უხალისოდ ერეოდნენ სოციალური ვითარების დარეგულირებაში. ინგლისში, მაგალითად, პირველი სახელმწიფო ზომა მიღებულ იქნა 1802 წელს, როცა აიკრძალა 12 საათზე უფრო ხანგრძლივი სამუშაო დღე. 1819 წელს კი აიკრძალა 10 წლამდე ბავშვების დაქირავება. პრუსიაში პირველი სახელმწიფო შრომის კანონი 1830 წლით თარიღდება, საფრანგეთში კი — მხოლოდ 1841 წლით. ეს უკანასკნელი აქტი ადგენდა, რომ სამუშაო დღე არ უნდა აღემატებოდეს 8 საათს რვიდან თორმეტ წლამდე ბავშვებისათვის და 12 საათს — 12-16 წლის მოზარდებისათვის. უნდა ითქვას, რომ პარლამენტმა ფრანგული კანონი მხოლოდ სერიოზული დისკუსიების შემდეგ დაამტკიცა. ეკონომისტი **პელეგრინო როსი**, პაპის, **პიუს IX**-ის მომავალი მინისტრი ამბობდა, რომ სახელმწიფო ხელისუფლებამ არ უნდა განიხილოს მსგავსი საკითხები არაკომპეტენტურობის გამო, იურისტი ტელანდიე კი აცხადებდა, რომ მოწყალების გრძნობა უნდა დადუმდეს სამართლის სიდიადის წინაშე. სინამდვილეში, სახელმწიფოს დეკლარირებული ჩაურევლობა სხვა არაფერი იყო, თუ არა ერთგვარი შეთანხმება ბიუროკრატიასა და მსხვილ ბურჟუაზიას შორის, სხვა სიტყვებით კი, ძალაუფლების მორჩილება კაპიტალის წინაშე.

რაც შეეხება ჩამოთვლილთაგან ბოლო ელემენტს — ინდივიდუალიზმს, თეორიულად ის წარმოადგენს ახალი დროის სუბიექტივიზმისა და განმანათლებლობის ხანისათვის დამახასიათებელი აბსტრაქტულ-რაციონალისტური სულისკვეთების ერთ-ერთ ასპექტს. ინდივიდუალიზმი ძალიან ხშირად არ ითვალისწინებს კონკრეტულ ისტორიულ გარემოებებს. პრაქტიკული თვალსაზრისით კი იმის გამო, რომ ზოგადად უარყოფს საკუთრების სოციალურ დანიშნულებას, ინდივიდუალიზმი ორ უშუალო შედეგს იძლევა: ყოველგვარი კოლექტიური კონტრაქტისა და პროფესიული ასოციაციის აკრძალვას.

მაგალითად, საფრანგეთში 1791 წელს მიღებულ იქნა ეგრეთ წოდებული **ლე შაპელიეს** კანონი, რომლის სახელი მომდინარეობს მისი შემდგენელი იურისტისაგან, შინაარსში კი სრულიად ცხადად გამოიხატება ეს ორმაგი კრიტერიუმი: "სახელმწიფოში უკვე აღარ არსებობს კორპორაციები, უკვე აღარ არსებობს არაფერი გარდა ერთი ადამიანის კონკრეტული და საყოველთაო ზოგადი ინტერესისა. სამუშაო დღის ხანგრძლიობას უნდა განსაზღვრავდეს თავისუფალი ინდივიდუალური ხელშეკრულებები, ხოლო ცალკეული მუშები ვალდებულნი არიან დაიცვან დამქირავებელთან დადებული ინდივიდუალური ხელშეკრულებები". ერთი სიტყვით, რაც არ უნდა ყოფილიყო აღნიშნული დამქირავებლისა და დაქირავებულის მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებაში, სახელმწიფოს არ ჰქონდა მასში ჩარევისა და რაიმე ცვლილების შეტანის უფლება.



*ადამ სმიტი და დევიდ რიკარდო*

ამის გამო, როცა 1831 წელს ლიონში მომხდარი უკვე ნახსენები ამბოხის დაშოშმინება მოახერხა ქალაქის პოლიციის პრეფექტმა და მუშებსა და მეწარმეებს შორის საკუთარი ავტორიტეტის ფასად ახალი პირობების დადებას მიაღწია, საფრანგეთის ცენტრალურმა მთავრობამ ეს პირობები არ სცნო: ინდივიდუალისტური კანონმდებლობით ამგვარი შეთანხმება განიხილებოდა როგორც თავდაპირველ ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი თავისუფლებისა და ნებაყოფლობის უხეში დარღვევა.

ლე შაპელიეს კანონით უქმდებოდა ყველა აქამდე არსებული ასოციაცია და კორპორაცია და მუშებს ეკრძალებოდა ახალი პროფესიული გაერთიანებების შექმნა, რადგან მიჩნეული იყო, რომ ეს წარმონაქმნები შეურაცხყოფენ ეკონომიკური ძალების თავისუფალ მოქმედებასა და პიროვნების უფლებებს. საფრანგეთის დიდი რევოლუციის ეს მონაპოვარი ნელ-ნელა გავრცელდა დანარჩენ ევროპაშიც. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინგლისში 1799 წელს მიღებულ კანონს Combination Low.

რა თქმა უნდა, პიროვნების უფლებები და თავისუფალი ეკონომიკა ერთობ მიმზიდველად ჟღერს, მაგრამ სინამდვილეში ბურჟუაზიამ მხოლოდ უძველესი პრინციპი — გათიშე და იბატონე — განახორციელა, რის წყალობითაც ერთმანეთისაგან სრულიად იზოლირებული პროლეტარები მეწარმის სრული ძალაუფლების ქვეშ აღმოჩნდნენ. ამ მდგომარეობის შემსუბუქება ახალმა სოციალურმა ძალამ — პროფესიულმა კავშირებმა იკისრა.

## პრემიერა ლა სკალაში



სახელგანთქმული საოპერო თეატრი ლა სკალა სამწლიანი სარეკონსტრუქციო სამუშაოების შემდეგ სეზონს, შეპირებისამებრ, 7 დეკემბერს ხსნის. შერჩეულია სპექტაკლიც. სეზონის პირველ დღეს ვენაში მცხოვრები იტალიელი კომპოზიტორის, ანტონიო სალიერის ოპერას წარმოადგენენ. 226 წლის წინათ ლა სკალა ხომ სწორედ სალიერის ოპერით გაიხსნა. როგორც ცნობილია, იტალიელმა კომპოზიტორმა მთელი ცხოვრება მისივე თანამედროვის – მოცარტის ჩრდილში გაატარა. მაგრამ, ჩანს, სალიერისთვის რევანშის დროც დადგა; ლა სკალაში ამ სეზონზე რეპერტუარში მოცარტის არც ერთი ნაწარმოები არ არის შეტანილი.

7 დეკემბრისთვის მილანის ხელისუფლება კარგა ხანია, ემზადება. მარტო სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვის 60 მილიონი ამერიკული დოლარი გაიღო. თეატრის განახლებაზე მომუშავე პერსონალი მეტად ჩქარობს, რომ დარჩენილი სამუშაოები დროულად დაასრულოს. ამონტაჟებენ თანამედროვე სცენის საუკეთესო დანადგარებს. რაც საშუალებას იძლევა, სპექტაკლის განმავლობაში სამჯერ შეიცვალოს სცენა. აქამდე დეკორაციის შეცვლას მინიმუმ რამდენიმე საათი სჭირდებოდა. რაც შეეხება პარტერს, 1800 ადგილიდან თითოეული აღჭურვილი იქნება პატარა ეკრანით, სადაც მაყურებელს ლიბრეტოს ნახვის შესაძლებლობა ექნება. პარტერში ადგილების ფასი დეკემბრისთვის ორი ათას ხუთას დოლარს მიაღწევს; ახალ სეზონზე თეატრში დაგეგმილია 13 ოპერის, ცხრა ბალეტისა და 12 საკონცერტო პროგრამის წარმოდგენა.

წლის ბოლოსთვის იტალიაში მეორე ცნობილი თეატრიც დაიწყებს ახალ ცხოვრებას - ვენეციის თეატრ "ფენიჩეში" რვა წლის წინათ გაჩენილი ხანძრის გამო სარეკონსტრუქციო სამუშაოები დასრულდა.

# ბესი – თეთრი სახლის უკანასკნელი იმედი

მელორ სტურუა
საკ. კორ. აშშ



*პრეზიდენტი ბუში, რომლის ხელახალი არჩევა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, შესანიშნავად ხვდება, რამდენად გაზრდის მის შანსებს ბენ ლადენის დაჭერა.*

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, სპეცრაზმი, "დელტა ფორსი", საზღვაო ფეხოსნები – ყველა უძლურია; პაკისტანის პოლიცია სახსენებელიც არაა. ალ ქაიდას მეთაური, უსამა ბენ ლადენი კვლავ მიუწვდომელია, უჩინმაჩინივითაა და მფრინავი ჰოლანდიელივით. ამერიკელი პროფესიონალი მეძებრების ეს უძლურება ბობი ერლ ჰერსტოკის, ცნობილი მონადირის, ჰილბილის, ანუ ამერიკის სამხრეთის მთიანეთის მკვიდრის პატრიოტულ გრძნობებს შეურაცხყოფს.

იმის მერე, რაც ერაყში მისი ძმისწული, დალტონი მოკლეს, ბობიმ გადაწყვიტა, რომ მოთმინების ფიალა აევსო. "ბესის ყურებში მოვკიდე ხელი და ვუთხარი: "როგორც ჩანს, ამ საქმეს მხოლოდ მე და შენ თუ მივხედავთ, ჩემო გოგო," – თქვა ჰერსტოკმა, რომელსაც თავად ბენ ლადენზე დიდი წვერი აქვს. ბესი მისი ერთგული მეძებარი ძაღლია. სწორედ ისაა ის საიდუმლო იარაღი, რომლის მეშვეობითაც ბობი მოუხელთებელი უსამას დაჭერას აპირებს.

რასაკვირველია, ამერიკულ სპეცრაზმს მრავალი მეძებარი ჰყავს, და ისინი თავიანთ საქმეს ერთგულად ემსახურებიან. მაგრამ მათ ბესიმდე ბევრი უკლიათ, როგორც სპეცრაზმს – უსამამდე (ბობის ეცინება, როცა ვაშინგტონი აცხადებს, რომ მისი ლაშქარი "ბინ ლადენს ისე მიუახლოვდა, როგორც არასდროს"). ბობი თვლის, რომ ბესი მსოფლიოში ყველაზე კარგი მეძებარია. ის ამტკიცებს, რომ მას ყველა სხვა მეძებარ ძაღლზე, სულ მცირე, ხუთჯერ უფრო მახვილი ყნოსვა აქვს. "ეს ძაღლიშვილი (ანუ უსამა – მ.ს.) ნებისმიერ სოროში შეიძლება შეძვრეს. მაგრამ ბესი რომ მისგან ხუთასი მილის მოშორებითაც აღმოჩნდეს, ისევე მიიმწყვდევს კუთხეში, როგორც ენოტს ან ოპოსუმს," – ტრაბახობს ტენესის პატარა ქალაქ კინგსპორტის 44 წლის მკვიდრი.

საერთოდ ცნობილია, რომ ჰილბილები ტრაბახა და ცრუპენტელა ხალხია, მაგრამ ამ შემთხვევაში ბობის ბესისადმი მიძღვნილ ოდას სამეცნიერო ექსპერიმენტებიც ამტკიცებს. ტიპური მეძებრის ყნოსვა ადამიანისას მილიონჯერ აღემატება; ბესის ყნოსვა – ხუთ მილიონჯერ. ბესი სრულიად ერთნაირ ორეულებსაც ასხვავებს, სიამის ტყუპებსაც, რაც სხვა მეძებრებს არ ხელეწიფებათ. ბესის პროფესორი-ვეტერინარი, დოქტორი ენ გრესტვუდი სცდიდა. "ტიპურ მეძებარს 33 კუბური მილის მოცულობის პირობით დახურულ სივრცეში ერთი უნცია ვანილინის შეგრძნება შეუძლია. ბესი ამასვე 160 კუბურ მილ ჰაერში ახერხებს," – ამბობს ის.

ბესის გასაოცარი უნარი არაერთგზის იყო გამოვლენილი. ის დაკარგულ ბავშვებს პოულობდა, ბოროტმოქმედებს იჭერდა, ისეთებსაც კი, რომლებიც წყალში გაქცევით შველიდნენ თავს. ერთხელ მან პოლიცია მკვლელის კვალზე დააყენა, როცა მკვლელობის შემდეგ ორი წლის თავზე ტყეში მსხვერპლის გვამი იპოვნეს.

ჰერსტოკი ბესისთან ერთად ავღანეთში გამგზავრებას გეგმავს, თან – ამას ხაზგასმით აღნიშნავს – საკუთარი ხარჯით. ძებნის დაწყებას თორა-ბორადან აპირებს, ბენ ლადენის უკანასკნელი ცნობილი თავშესაფრიდან. "ერთადერთი, რაც ხელისუფლებას ვთხოვეთ – რამე მაინც მოგვცენ, რაც იმ ძაღლიშვილ უსამას ეკუთვნოდა – თავსაბურავის ნაჭერი, ჭუჭყიანი თეთრეული ან რამე ასეთი," – ამბობს ბობი. მას იმედი აქვს, რომ ხელისუფლება ბენ ლადენის "ლაკმუსის ქაღალდს" მისცემს. "ისეთი სასოწარკვეთილები არიან, რომ ჩვენს შემოთავაზებაზე უარს არ იტყვიან და ნებას დამრთავენ, რომ ბესი ამ ურჩხულს კვალში ჩაუდგეს," – ამბობს ტენესელი ჰილბილი.

ვაშინგტონი, მართლაც, სასოწარკვეთილია. მაგრამ საკითხავია – დათანხმდება კი ასეთ დამცირებაზე, რომ თავისი გიგანტური სამხედრო მანქანის უძლურებას მოაწეროს ხელი და მთელი იმედები ექვსი წლის ძუკნაზე დაამყაროს? თუმცა, მეორე მხრივ, პრეზიდენტი ბუში, რომლის ხელახალი არჩევა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, შესანიშნავად ხვდება, რამდენად გაზრდის მის შანსებს ბენ ლადენის დაჭერა. თუნდაც ექვსი წლის ძუკნა ბესის დახმარებით. მერე კი, ვინ იცის, ეგებ ბესი ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ან გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორად დანიშნონ, მით უმეტეს, რომ ამ ორმა დირექტორმა უკანასკნელ დროს ძალიან შეირცხვინა თავი. ან იქნებ, ბესი თეთრ სახლში წაიყვანონ და პრეზიდენტის ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველად დანიშნონ, ასევე შერცხვენილი კონდოლიზა რაისის ნაცვლად? თეთრ სახლში ბესი არ მოიწყენს. ბუშებს კიდევ ორი ძაღლი ჰყავთ. (ისე კი, რად უნდა ბესის თეთრ სახლში ძაღლური ცხოვრება? მას ტენესის მთები უფრო მოსწონს, და ჰილბილი ბობიც პრეზიდენტ ჯორჯზე ბევრად უფრო კეთილია).

და კიდევ: არ ვიცი, აქვს თუ არა ცსს-ს ბენ ლადენის თავსაბურავის ნახევი ან მისი ჭუჭყიანი "კალსონები", მაგრამ გფბ-ს კი ნამდვილად ექნება რამე ჯონ კერის, მასაჩუსეტსის შტატის სენატორის და დემოკრატთა პრეზიდენტობის კანდიდატის გარდერობიდან. ეს განსაკუთრებით იმის გამოა შესაძლებელი, რომ გფბ-ს კერიზე დოსიე ჰქონდა, როცა ის ვიეტნამში აგრესიის წინააღმდეგ მოძრაობაში მონაწილეობდა.

ჰოდა, როგორც კი კერი თეთრ სახლს მიუახლოვდება, ბესი მას უმალვე იყნოსავს და ყეფა-ყეფით მთელ თეთრ სახლს დააყენებს ფეხზე. თუკი რომი ბარბაროსებისგან ბატებმა გადაარჩინეს, რატომ არ შეიძლება, რომ ბესიმ ვაშინგტონი დემოკრატებისგან გადაარჩინოს?

რასაკვირველია, თუ ეს ექვსი წლის ძუკნა აშშ-ს დემოკრატიული პარტიის წევრი არაა.

## სკანვორდი



## TV პროგრამა

*21 ივლისი*

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.20** მხ. ფილმი "კურიერი"(გ) **15.25** სერიალი "სასწრაფო" **16.30** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "საჰარას საიდუმლო" **23.00** სერიალი "სოპრანოს კლანი". **00.00** მხ. ფილმი "ჰამლეტი". მთ. რ-ში: მელ გიბსონი, გლენ ქლოუზი (18).

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.20(შვეიცარია), 02.45(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **11.05** ზიგ-ზაგ კაფე. **12.15** მათხოვე დურბინდი. დოკ. ფილმი. **16.25** კოლეტი. თავისუფალი ქალი. ტელესერიალი. **18.40** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** ბელგიის ეროვნული დღესასწაული. **20.30** მუჰამედ ალი. დოკ. ფილმი. **24.35** გადაცემა: ფესვები და ფრთები. **03.05** სამხრეთის ანარეკლი. **04.20** კრიმინალი. ტელესერიალი.

### JISI

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** ქართ. მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" "ამერიკული რაპსოდია". მთ. რ-ში: ნასტასია კინსკი. **03.00** პაუზის გარეშე

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "ცეკვის ბრწყინვალება" **15.20** სერიალი "რვაფეხა-6" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალის გაგრძელება **16.30** დოკ. ფილმი "ექსცენტრიკოსები" **17.00** მულტსერიალი "სიმბა ფეხბურთელი" **17.30** "მუსიკალური არჩევნები" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" **18.45** დოკ. ფილმი "ყველანი ორბიტაზე" **19.05** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "სოლედადი" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** მხ. ფილმი "რემბო-3" (15)

### 202

**10.00** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "ქსელი" (სანდრა ბალოკი) (12) **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "ოქროს ბავშვი" (ედი მერფი) (გ) **17.00** მულტფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** მხ. ფილმი "პატრიოტთა თამაშები" (ჰარისონ ფორდი) (15) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **22.45** დებატები 202-ზე **00.00** მხ. ფილმი "ფართოდ დახუჭული თვალები" (ნ. კიდმანი) (18)

### მზე

**09.00** მზერა დღის ბოლოს **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** მინისერიალი "ოდისევსი" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "კონან დოილის ქრონიკები" **13.10** მხ. ფილმი "გაიქეცი რონი გაიქეცი" (გ) (დევიდ როსი) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი "ალისა საოცრებათა ქვეყანაში" **17.10** მულტსერიალი "რედვოლი" **17.35** მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი" **18.10** მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" **18.35** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** მზერა დღის ბოლოს **00.00** მხ. ფილმი "გრაფი მონტე კრისტო-3" (გ)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "ბელფეგორი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა"(გ) **21.00** დოკ. ფილმი "მადმუაზელ მორო" **22.00** მხ. ფილმები "ვალენტინი" (გ)

### კავკასია

**13.00** მუსიკა **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** სერიალი "მილედი" 17-18 ს. **19.20, 21.00** სპექტრი **00.30** მუსიკა

### იმედი

**07.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 13.15, 17.20, 01.50** იმედის მელოდიები **08.30** ანიმაც. ფილმი "შავი მეკობრე" **09.10** სერიალი "რელიკვიების მაძიებელი" **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.05** "ჩ-კლუბივი" **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 01.20** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" **15.15** მხ. ფილმი "დამკვირვებელი" (გ) **17.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.00** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი "შავი მეკობრე" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" **21.30** "პირველი ნახევარი" **23.00** არტ-ბულვარი **23.30** მხ. ფილმი "სამი ალვის ხე პლიუსჩიხაზე" (ტ. დორონინა) (გ)

### იბერია

**18.00** მინისერიალი "გარონი" **19.35** დოკ. ფილმი **20.40** კონცერტი **22.30** მხ. ფილმი "უსირცხვილო" (15)

### აჭარის ტელევიზია

**08.30, 01.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.50** მუსიკა **09.00** მულტფილმი "ოლივერი და კომპანია" **10.15** დოკუმენტური ფილმი "ბარსელონა" **10.40** სათავგადასავლო ფილმი "ფათერაკების მაყიებელნი" **12.30, 16.30, 20.30, 22.30** საინფორმაციო გამოშვება **12.45** კომედია "როკის სკოლა" **14.35** მუსიკა **14.45** თრილერი "ციხე" **16.45** მულტფილმი "შრეკი" **18.15** მუსიკა **18.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.00** სერიალი "კონკიაზე ნადირობა" **19.50** დოკუმენტური ფილმი **21.00** კომედია "მედალიონი" **23.00** მხ.ფილმი "მზის ცრემლები" **01.20** თრილერი "უძილობა" **03.20** მუსიკა **03.50** მხ.ფილმი "ღმერთების შური"

### ОРТ

**06.00** Телеканал "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости **09.20, 21.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 10.30, 18.50 Сериал "КЛОН" 11.40** Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь" **12.10** Леонид Куравлев в фильме **"Мы, нижеподписавшиеся". 2-я с. 13.40** "Звезды эфира". Владимир Ворошилов. Часть 2-я **14.00 Сериал "Женщины в любви" 15.20 Сериал "Сезон охоты - 2" 16.30** Криминальная Россия. "Особенности провинциального сыска". 1с. **17.00** "Слабое звено" **18.20** Просто смех! **19.50** "Стирка на миллион" **20.00 Сериал "Черный ворон" 21.00** Время **22.40** "Убить Кеннеди". Док. фильм. 2-я серия **23.40** "Разведка. Версия для кино". "Майор Вихрь" **00.10** Детективный сериал **"24 часа" 01.00** Чарльз Бронсон в боевике **"Закон Мерфи" 02.50** Комедийный боевик **"Столичные таксисты" 04.40 Сериал "Бадди Фаро"**

### НТВ

**10.00** Сегодня утром. **10.25** Кулинарный поединок: Сладкая парочка. **11.30** Ток-шоу "Страна советов". **12.00, 15.00, 17.00, 19.00, 00.20** "Сегодня" **12.30** Василий Васильев в фильме **"НОВЫЕ ПРИКЛЮЧЕНИЯ НЕУЛОВИМЫХ". 14.15** Время есть. **14.35** Протокол. **15.30** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** "Дикий мир: борьба за выживание". "Киты во льдах". **18.35** Протокол. **19.40** Детектив на НТВ. **"ЛЕДНИКОВЫЙ ПЕРИОД". 7-я серия. 20.50 "СТРАНСТВИЯ И НЕВЕРОЯТНЫЕ ПРИКЛЮЧЕНИЯ ОДНОЙ ЛЮБВИ". 3-я серия. 22.00** "Страна и мир" **22.35 Сериал "ДЖЕЙК 2.0" (США). 23.40 Сериал "ЛЮБОВНЫЕ АВАНТЮРЫ". 3-я серия. 00.45** Айс Кьюб в боевике **"ОПАСНАЯ ЗЕМЛЯ"**

## ტრაგიკული ექსპონატები



"სექს პისტოლზის" ბასისტის – სიდ ვიშესისა და მისი მეგობრის ნენსი სპაგენის ტრაგიკული სიყვარულის ისტორიას მიეძღვნება ლონდონში გახსნილი გამოფენა. ექსპოზიციის ძირითად ნაწილს შეადგენს ნიუ იორკის სასტუმროს – "ჩელსის" ნომრიდან აღებული ნივთები; სწორედ ამ სასტუმროში დასრულა 26 წლის წინათ სიცოცხლე ნენსიმ. როგორც ცნობილია, გოგონა თავად ვიშესმა მოკლა. "დიდი სიყვარულისგან", - როგორც მოგვიანებით განაცხადა სიდმა. თავად მუსიკოსი ამ ფაქტიდან ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა. ამ ამბავს როკ-ენ-როლის ისტორიაში ზოგიერთები "მეტად რომანტიკულად", ზოგიერთები – "მეტად საზიზღრობად" მიიჩნევენ.

ექსპოზიციის ძირითადი საგანი იქნება "სექს პისტოლზის" ალბომის - Never Mind The Bollocks-ის სისხლში ამოსვრილი პლაკატი. მართალია, ექსპერტებს ჯერაც არ დაუდასტურებიათ მისი "აუთენტურობა".

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა ნივთები სასტუმროს ნომრიდან: ტანსაცმელი და აქსესუარები, იმ სიმღერების შესწორებები, რომლებიც დღემდე არ გამოქვეყნებულა.

ყველა ამ საგანს 15 წლის განმავლობაში აგროვებდნენ. სიდისა და ნენსის სიყვარულის ისტორიაზე გადაღებულია ფილმი. 1986 წელს ეკრანებზე გამოვიდა ალექს კოქსის "სიდი და ნენსი", სადაც, როგორც დამწყებმა მსახიობმა, მონაწილეობა მიიღო კორტნი ლავმა. გასაკვირი არაა, რომ ნენსის როლის შესრულება სწორედ მას მოუხდა.

## პაციფისტური მანიფესტი



ცნობა იმის შესახებ, რომ R.E.M-ის ახალი სიმღერა Future Soundtrack For America! ანტისაომარი სიმღერების კრებულში შევა, მთავარი ინფორმაციის შესავალი ყოფილა მხოლოდ. გახმაურდა ჯგუფის მორიგი, რიგით მეცამეტე ალბომის დეტალები. ალბომი გამოვა 2004 წლის ოქტომბერში, და რომ ეს შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე მოხდება, შემთხვევითი არაა. ჩანაწერი ყველაზე პოლიტიზირებული იქნება, - აღიარა ჯგუფის ფრონტმენმა მაიკლ სტაიპმა. "რამდენადაც ამერიკელი ვარ, იმდენად პაციფისტად ვგრძნობ თავს. ვფიქრობ, არ ვარ ერთადერთი, - უთხრა სტაიპმა ჟურნალ "როლინგსთოუნზს", - როგორც არ უნდა იყოს, მსოფლიოში არსებული ვითარება მოქმედებს იმაზე, რასაც ვწერ. მაგრამ ეს არაა პესიმისტური ჩანაწერი. ჩვენი ჯგუფის ყველაზე დეპრესიულ სიმღერაშიც კი არის იმედის მარცვალი".

ალბომში მხოლოდ ანტისაომარი სიმღერები არ შევა. მართალია პოლიტიკური კრიზისი სტაიპისთვის შთაგონების წყარო იყო, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, დაეწერა სიმღერა სიყვარულზე; ასევე, შეექმნა, უბრალოდ, პოპ-სიმღერა (Wanderlus).

ალბომი მაიამიზეა ჩაწერილი გიტარისტ პიტერ ბაკთან, ბას-გიტარისტ მაიკ მილსთან და ჯგუფის ახალ დრამერთან – ბილ რიფლინთან ერთად. ჩანაწერის პროდიუსერია პეტ მაკარტი, ადამიანი, ვისთან ერთადაც ჯგუფმა ითანამშრომლა 1998 წლის ალბომზე – Up.

## ერთობლივი ძალებით

ამ ქალბატონმა ათწლეულების წინათ სახელი ლეგენდარულ მუსიკოსებთან ("როლინგსთოუნზის" წევრებთან) ურთიერთობით გაითქვა. დღეს კიდევ იმით გვახსენებს თავს, რომ თანამშრომლობს მუსიკის ისეთ ვარსკვლავებთან, როგორებიც არიან: ნიკ ქეივი თუ პი ჯეი ჰარვი. მერიენ ფეიტფული ახალ სტუდიურ ალბომს უშვებს. ჩანაწერი - Before The Poison გაყიდვაში 27 სექტემბრიდან გამოვა. თითოთითო სიმღერა ამ ალბომისთვის დაწერეს დეიმონ ოლბარნმა (ჯგუფი "ბლერისა" და "გორილაზის" ლიდერი) და ამერიკელმა კომპოზიტორმა ჯონ ბრაიონმა. ფეიტფულისთვის სამი სიმღერა შექმნა პი ჯეი ჰარვიმ, ხოლო ორი – ამ ორი ქალბატონის ერთობლივი ძალებით დაიწერა; სამ კომპოზიციაზე კი ბრიტანელმა მომღერალმა ავსტრალიელ ნიკ ქეივთან ერთად ითანამშრომლა. დაბოლოს: სტატია ბუკლეტისთვის ამერიკელმა რომანისტმა უილ სელფმა მოამზადა.

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24




## განცხადება

გაეროს განვითარების პროექტი N 00037324 - "საქართველოს აგრობიომრავალფეროვნების აღდგენა, კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება" აცხადებს ტენდერს ავტომანქანების ნივა ვაზ-21213, ვაზ-21099 და კომპიუტერული ტექნიკის შეძენაზე:

1. P4-2.8(800)/ASUS P4S800/DDR400/PC3200 512Mb/40 GB 7200 HDD/ FX5200 8X, AGP 128 Mb DDR,/CD-ROM ASUS/FDD/ATX CASE/Opt mouse/keyboard/pad/17" EX700F; UPS APC 600VA; HP SJ 3970; LaserJet/1300;
2. P4-3.0(800)ASUS P4P800/DDR400/PC3200 1Gb/UATA 120GB/ASUS V9560 GEFORCE FX5700 8X, AGP 128 Mb DDR, TV-out/CD-RM ASUS/FDD/ATX CASE 450W/Opt mouse/keyboard/pad/17" EX700F; UPS APC 600VA; HP SJ 3970; LaserJet/1300;
3. ლეპტოპი Toshiba-ს ფირმის.

**საკონტაქტო ტელეფონი 53-64-89; 53-64-87;**
**ფაქსი: 53-64-84.**
**ელ-ფოსტა: biofarm@elkana.org.ge**










## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.